

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2010, #4

კერძო საჩივარი

1. განსჯადობა
2. დავის საგნის ფასის განსაზღვრა
3. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება
 - მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობისას ხარჯების ანაზღაურება
 - სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაბრუნება
 - სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და შემცირება, გათავისუფლება, ოდენობის განსაზღვრა
 - სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება (გათავისუფლების საფუძვლები)
4. საპროცესო ვადის აღდგენა, გაგრძელება
5. სასამართლო უწყების ჩაბარება
 - დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა
 - კერძო საჩივრის დაუშვებლად ცნობა
 - სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა
 - სასამართლო უწყების გაგზავნა, ჩაბარება
 - შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში
 - შეტყობინება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ
6. მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს
7. საპროცესო უფლებამონაცვლეობა
8. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. განსჯადობა

განჩინება

#ას-222-547-09

14 მაისი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2008 წლის 11 თებერვალს სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე ე. ძ-ძის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით, კერძოდ, ჯარიმის -14 000 ლარის, ზიანის -349,09 ლარის და პირგასამტეხლოს -14 000 ლარის 0,2% ყოველთვიურად 2005 წლის 12 სექტემბრიდან ხელშეკრულებაში მითითებული თანხის გადახდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მოსამსახურის მიერ ერთი წლის გასვლამდე კონტრაქტის მოშლისას რაიმე პასუხისმგებლობას.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც მოითხოვა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმიდან 3\ბ-950-08წ. ცალკე წარმოებად გამოეყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო მოთხოვნა ე. ძ-ძის წინააღმდეგ, ზიანის -349,09 ლარის დაკისრების ნაწილში და განსჯადობის წესების დაცვის განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დარჩა განუხილველი.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 1 000 ლარს. მოცემულ შემთხვევაში კი საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ზიანის ანაზღაურებისათვის ითხოვდა 349,09 ლარის ე. ძ-ძეზე დაკისრებას, რაც არ აღემატება 1 000 ლარს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ დაადგინა, რომ არსებობდა ზიანის 349,09 ლარის -ანაზღაურების ნაწილში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ვ. ჯ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ხონის რაიონული სასამართლოს მიერ საქმე განხილულ იქნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივარი ზიანის ანაზღაურების ნაწილში განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო წესით. აქედან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, თანახმად სსსკ-ის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა, ვალდებული იყო, გადაწყვეტილება გაეუქმებინა და საქმე დაებრუნებინა ხელახლა განსახილველად ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში ხონის რაიონულ სასამართლოში განხილულ იქნა სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განჩინების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო იმის გამო, რომ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 1000 ლარს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული მოსაზრება უსაფუძვლოა, რადგან მოცემული დავა არ განეკუთვნება სამოქალაქო სამართლებრივ დავას და მასზე არ შეიძლება გავრცელდეს სამოქალაქო დავების განხილვისათვის დაწესებული სამართლებრივი ნორმები.

ის გარემოება, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნა ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა ამის გამო კერძო სამართლებრივ შინაარსს იძენს. დავის არსის გათვალისწინებით, სადავო ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების სწორად განსაზღვრა სასამართლოს ვალდებულებაა და ამ შემთხვევაში სასამართლო მხარის მიერ დასახელებული სამართლის ნორმებით არ არის შებოჭილი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის V თავი („ადმინისტრაციული ხელშეკრულება“) სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენებას ადმინისტრაციული ხელშეკრულების მიმართ სრულიად დასაშვებად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე უნდა ემსჯელა არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე უნდა გაუქმდეს და სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად გადაეცეს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 4 თებერვლის განჩინება და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

განჩინება საბოლოო და არ გასაჩივრდება

2. დავის საგნის ფასის განსაზღვრა

განჩინება

#ას-1157-1302

24 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: გარიგების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ჰ. ა-ლის სარჩელი ა. წ-ელისა და ა. ი-ის მიმართ 2004 წლის 18 სექტემბრის წილის გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ჰ. ა-ლიმ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა საპროცესო ვადა 10 დღით. 2008 წლის 1 დეკემბერს ჰ. ა-ლიმ განცხადებით მიმართა სასამართლოს, სადაც აღნიშნა, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენს მხოლოდ 2004 წლის 18 სექტემბრის წილის გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რის გამოც საფუძველს მოკლებულია სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ სარჩელის დაკმაყოფილება უკავშირდება შპს „საქართველოს თამბაქო

საწარმოების” საწესდებო კაპიტალში 90%-იანი წილის მოსარჩელისათვის დაბრუნებას. აპელანტი მიიჩნევდა, რომ სარჩელის საგანს წარმოადგენს მოსარჩელისათვის ქონების გადაცემა ან მიწოდება.

პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილ იქნა 150 ლარი. სააპელაციო პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს დაევალა: 1) სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრა და მითითება სადავო წილის საბარო ღირებულების შესაბამისად და 2) ამ ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა უკვე გადახდილი 150 ლარის გათვალისწინებით.

2008 წლის 24 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ იქნა დამატებით სახელმწიფო ბაჟის -10 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სააპელაციო პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დანიშნული ვადა 5 დღით.

2008 წლის 12 ნოემბერს აპელანტმა განცხადებით მომართა სააპელაციო სასამართლოს იმაზე მითითებით, რომ დავის საგნის ღირებულება განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად 4000 ლარით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინებით აპელანტს კვლავ გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადა 5 დღით და დაევალა სახელმწიფო ბაჟის გადახდა შპს „საქართველოს თამბაქოს წარმოების“ საწესდებო კაპიტალში სადავო 90%-იანი წილის ღირებულების 4%-ის ოდენობით, არაუმეტეს 5000 ლარისა.

პალატამ გაიზიარა აპელანტის მითითება იმის შესახებ, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მხოლოდ 2004 წლის 18 სექტემბრის წილის გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, თუმცა ხელშეკრულების ბათილად ცნობის მიმართ მოსარჩელის იურიდიული ინტერესი მიმართულია ისეთი ქონებრივი უფლების დაცვისაკენ, რომელსაც საბაზრო ღირებულება გააჩნია და ამასთან, ამ ღირებულების განსაზღვრა, შესაძლებელია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ჰ. ა-ლის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჰ. ა-ლიმ.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი და უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ ბატონმა ჰ. ა-ლიმ არ შეავსო ხარვეზი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარი და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით ჰ. ა-ლის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმის გარემოებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო საჩივრისათვის შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4%-ს. მოცემულ შემთხვევაში დავის საგნის ფასი უნდა განისაზღვროს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რადგან აპელანტის მოთხოვნას წარმოადგენს წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა, რომლის დაკმაყოფილების შემდეგაც აპელანტს წარმოეშობა სადავო წილის დაბრუნების მოთხოვნის უფლება. სწორედ ამისკენ არის მიმართული აპელანტის იურიდიული ინტერესი. ამ მოთხოვნას კი საბაზრო ღირებულება გააჩნია და რადგანაც მისი განსაზღვრა შესაძლებელია, შესაბამისად, დავის საგნის ფასიც იქნება მისი ღირებულება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ დავის საგნის ღირებულება განსაზღვრული უნდა ყოფილიყო სსსკ-ის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად 4000 ლარით, რადგან მოცემული დავა არ წარმოადგენს ისეთ კატეგორიას, სადაც შეუძლებელია დავის საგნის ფასის განსაზღვრა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე, 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

3. ა-ლის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება

მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობისას ხარჯების ანაზღაურება

განჩინება

#ას-923-1130-08

22 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

გასაჩივრებელი სასამართლოს განჩინება -თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 სექტემბრის საოქმო განჩინება

აღწერილობითი ნაწილი:

თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართეს მ. კ-მემ, ჟ. კ-მემ და ნ. კ-მემ მოპასუხე ბ. კ-მისა და მ. კ-მის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ მათი წინაპარი 1940-1941 წლებში გადმოსახლებულა თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ... ამბროლაურის რაიონიდან იმ სახლში, რომელშიც დღემდე ცხოვრობს მოსარჩელე ნ. კ-მე. 2007 წლამდე აღნიშნული სახლის მესაკუთრე იყო მოსარჩელეების -მ. და ჟ. კ-ძეებისა და მოპასუხე ბ. კ-მის ბებია ლ. კ-მე, რომლის მეუღლეს 1917 წლის ომში დაიღუპა. სამამულო ომში დაიღუპა ლ. კ-მის შვილი მ. კ-მე, ხოლო 1946 წელს გარდაიცვალა მ. კ-მის მეუღლე თ. კ-მე. მას შემდეგ ობლებს -მ. ჟ. და ბ. კ-ძეებს ზრდიდა ბებია, რომელიც 1957 წელს გარდაიცვალა. გარდაცვალების მომენტიდან ქონების ფლობას შეუდგნენ შვილიშვილები. მიუხედავად გათხოვებისა, მ. და ჟ. კ-ძეები რეგულარულად აკითხავდნენ სახლს და ფლობდნენ მას, სახლში ცხოვრობდა ბ. კ-მე მეუღლითა და შვილებით. 1991 წელს სახლი დაიწვა, რომელიც მოსარჩელეებმა აღადგინეს თავიანთი ხარჯებით, მოპასუხე ბ. კ-მე ამ დროს უკვე ცხოვრობდა თავისი სიმამრის სახლში, სადაც დღემდე ცხოვრობს. მამაპაპისეულ სახლში დღესაც ცხოვრობს ბ. კ-მის ვაჟი ნ. კ-მე თავის ოჯახთან ერთად.

1992 წლის სისტემური აღრიცხვებით ბ. კ-მე დარეგისტრირებულია სახლის ერთადერთ მესაკუთრედ, მაშინ, როდესაც სამკვიდრო წილი ერგებოდათ მის დებს -მ. და ჟ. კ-ძეებსაც. იმის ნაცვლად, რომ ბ. კ-მეს დებისათვის შეეთავაზებინა წილი, 2007 წლის 27 ნოემბერს საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა ჩუქების ხელშეკრულება თავისი უმცროსი ქალიშვილის -მ. კ-მის სახელზე.

მოსარჩელეებმა ასევე მიუთითეს, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის ცნობით დგინდება, რომ ბ. კ-მის სახელზე სახლი აღირიცხა 2002 წლის სისტემური აღრიცხვით UზAID-ის მიერ. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ... ტერიტორიული ორგანოს მიერ გაცემული ცნობით დგინდება, რომ ლ. კ-მის გარდაცვალების შემდეგ მის დანაშთ ქონებას დაუფლნენ მისი შვილიშვილები: მ. ბ. და ჟ. კ-ძეები. მოსარჩელეს ხელთ აქვს 2006 წლის 5 დეკემბერს შედგენილი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ ა. დ-მე, ა. ს-მე, ფ. დ-შვილი და ა. გ-მე. აქტის თანახმად, ისინი აწარმოებდნენ სამშენებლო შესაკეთებელ სამუშაოებს თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ... მცხოვრები ნ. კ-მის საცხოვრებელ სახლში. აღნიშნული სამუშაოებისათვის ნ. და ჟ. კ-ძეებისაგან მიიღეს სულ 5300 ლარი. აქედან სახურავის შეცვლისათვის -

1500 ლარი, სახლის კედლების გაჯით შელესვისათვის -7800 ლარი, სახლის რემონტისათვის - 1500 ლარი, ბეტონის აივნის ხელახლა გაკეთებისათვის -1500 ლარი. 2007 წლის 5 დეკემბერს შედგენილი აქტით დგინდება, რომ 1991 წელს ნაწილობრივ დაიწვა ბ. კ-ძის საცხოვრებელი სახლი და იგი აღდგენილ იქნა 2003-2004 წლებში ნ. კ-ძის ხარჯებით.

მოსარჩელებმა მოითხოვეს, მოპასუხეებს: ბ. და მ. კ-ძეებს სოლიდარულად დაკისრებოდათ 2003 წელს ხანძრით დაზიანებული სახლის აღდგენისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება, კერძოდ, 15294 ლარის გადახდა.

სასამართლო პროცესზე მოპასუხეების შუამდგომლობის საფუძველზე მოსარჩელები მ. და ყ. კ-ძეები ცნობილ იქნენ არასათანადო მოსარჩელებად და შეიცვალნენ სათანადო მოსარჩელით -მ. ხ-ძით, რომელიც არის ნ. კ-ძის მეუღლე.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. კ-ძისა და მ. ხ-ძის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ბ. და მ. კ-ძეებს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრათ 10000 ლარის გადახდა; ბ. და მ. კ-ძეების შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა -ნ. კ-ძესა და მ. ხ-ძეს შეუწყდათ საცხოვრებელ სახლზე მფლობელობა და გამოსახლებულ იქნენ აღნიშნული სახლიდან; მოსარჩელე ნ. კ-ძესა და მ. ხ-ძეს დაეკისრათ სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის გადახდა, აგრეთვე, ბ. და მ. კ-ძის მიერ შეგებებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -120 ლარის გადახდა მოპასუხეების სასარგებლოდ. მოპასუხე ბ. კ-ძესა და მ. კ-ძეს უარი ეთქვათ ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი 500 ლარის ანაზღაურებაზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს მ. და ბ. კ-ძეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის საოქმო განჩინებით ნ. კ-ძისა და მ. ხ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა -ნ. კ-ძისა და მ. ხომასურაძის სარჩელი მ. და ბ. კ-ძეების მიმართ ზიანის ანაზღაურების ნაწილში დარჩა განუხილველად მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო, გაუქმდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება მ. და ბ. კ-ძეებისათვის 10000 ლარის დაკისრების ნაწილში. აპელანტ მ. კ-ძეს დაუბრუნდა მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -420 ლარის ნახევარი -210 ლარი.

აღნიშნულ საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს მ. და ბ. კ-ძეებმა. მათ მიუთითეს, რომ 18 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიღებულ იქნა განჩინება სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შესახებ, რითაც დაკმაყოფილდა მოსარჩელე ნ. კ-ძისა და მ. ხ-ძის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე.

მათი აზრით, აღნიშნული განჩინებით არასწორად იქნა გადაწყვეტილი საკითხი აპელანტ მ. და ბ. კ-ძეებისათვის სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში, კერძოდ, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მიხედვით, აპელანტ მ. და ბ. კ-ძეებს უნდა დაუბრუნდეთ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -420 ლარის ნახევარი -210 ლარი. სსსკ-ის 83¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების (ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის) გადახდა. სააპელაციო სასამართლომ კი ნაცვლად იმისა, რომ მოსარჩელეთათვის დაეკისრებინა მოპასუხეთა სასარგებლოდ მათ მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების (სახელმწიფო ბაჟის) გადახდა, დაადგინა გადახდილი 420 ლარის ნახევრის -210 ლარის დაბრუნება, რაც არასწორია.

ყოველივე ზემოაღნიშნულს გამოდინარე, კერძო საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის შეცვლა და სსსკ-ის 83¹ მუხლის საფუძველზე მოსარჩელებს: ნ. კ-ძესა და მ. ხ-ძეს დაეკისრებოდათ მოპასუხეების: ბ. და მ. კ-ძეების სასარგებლოდ მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -420 ლარის გადახდა; ასევე, ნ. კ-ძესა და მ. ხ-ძეს დაეკისროთ მოპასუხე მ. და ბ. კ-ძეების სასარგებლოდ მათ მიერ კერძო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -50 ლარის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. და ბ. კ-ძეების კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის საოქმო განჩინებით ნ. კ-ძისა და მ. ხ-ძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა -ნ. კ-ძისა და მ. ხომასურაძის სარჩელი მ. და ბ. კ-ძეების მიმართ ზიანის ანაზღაურების ნაწილში დარჩა განუხილველად მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის გამო, გაუქმდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება მ. და ბ. კ-ძეებისათვის 10000 ლარის დაკისრების ნაწილში; აპელანტ მ. კ-ძეს დაუბრუნდა მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -420 ლარის ნახევარი -210 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ბრძანებას ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

აღნიშნული მუხლის თანახმად, მოსარჩელის მიერ სარჩელის გამოხმობის შემთხვევაში, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდა. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკისრა მოპასუხეთა სასარგელოდ მათ მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების ნახევარი, კერძოდ, არასწორად დაადგინა გადახდილი 420 ლარის ნახევრის -210 ლარის დაბრუნება. სააპელაციო სასამართლოს უნდა დაეკისრებინა არა 210, არამედ -მთლიანად 420 ლარის გადახდა.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ნ. კ-ძესა და მ. ხ-ძეს უნდა დაეკისროთ მოპასუხე ბ. და მ. კ-ძეების სასარგებლოდ მათ მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -420 ლარისა და კერძო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -50 ლარის, სულ 470 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. მ. და ბ. კ-ძეების კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 18 სექტემბრის საოქმო განჩინების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში;
3. ნ. კ-ძესა და მ. ხ-ძეს დაეკისროთ მ. და ბ. კ-ძეების სასარგებლოდ 470 ლარის გადახდა. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება

განჩინება

#ას-1153-1298-08

2 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: თავდებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

შპს "საქართველოს რკინიგზამ" სარჩელი აღძრა სასამართლოში სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" მიმართ თავდებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2003 წლის 27 იანვარს სს "საქართველოს საზღვაო ბანკსა" და შპს "ელმავალს" შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება. 2003 წლის 23 იანვარს, ერთი მხრივ, სს "საქართველოს საზღვაო ბანკის", ხოლო, მეორე მხრივ, შპს "საქართველოს რკინიგზის" ბათუმის სავაგონო დეპოსა და შპს "აჭარტერმინალექსპედიტორსერვისს" შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელემ და ზემოხსენებულმა საზოგადოებებმა ვალდებულება იკისრეს, მოპასუხის წინაშე შეესრულებინათ შპს "ელმავალის" მიერ საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულებები. მოსარჩელის მხრიდან სადავო ხელშეკრულება დაიდო არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც არსებობს სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდატორმა ბ. პ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა, ამ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წარმოედგინა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -6000 ლარის დამადასტურებელი ქვითარი. აღნიშნული განჩინების ასლი ბ. პ-მეს 2008 წლის 23 ოქტომბერს ჩაჰბარდა, თუმცა მას ხარვეზი არ გამოუსწორებია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარისათვის ცნობილი იყო ხარვეზის გამოუსწორებლობის სამართლებრივი შედეგები, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილისა და 374-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდატორმა ბ.პაპიძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "ყ" ქვეპუნქტი, რომლის დანაწესიდან გამომდინარე, აპელანტი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სადავო თავდებობის ხელშეკრულება, რომლის ბათილად ცნობასაც მოსარჩელე ითხოვს, გამომდინარეობს სს "საქართველოს საზღვაო ბანკსა" და შპს "ელმავალს" შორის დადებული საკრედიტო ხელშეკრულებიდან, რადგან სწორედ შპს "საქართველოს რკინიგზამ", როგორც თავდებმა, უნდა აუნაზღაუროს ბანკს შპს "ელმავლის" მიერ აღებული სესხი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდატორ ბ.პაპიძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

"სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "ყ" ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ლიკვიდაციაში მყოფი კომერციული ბანკები და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები -საკრედიტო კავშირები -კომერციული ბანკებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების -საკრედიტო კავშირებისათვის დაუფარავი სესხების, სესხების პროცენტებისა და სხვა დებიტორული დავალიანებების დაბრუნებაზე აღძრულ ყველა სარჩელზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ბაჟის გადახდა არ ევალება ლიკვიდაციაში მყოფ საბანკო-საკრედიტო ორგანიზაციებს ისეთ დავებზე, რომელთა საფუძველზეც აღნიშნულ დაწესებულებას უბრუნდება მის მიერ გაცემული სესხი, პროცენტი ან ივარება სხვა სახის დავალიანება. ამასთან, ზემოხსენებული კანონის დანაწესის ანალიზის საფუძველზე ლიკვიდაციის პროცესში მყოფი საბანკო დაწესებულებები სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უნდა გათავისუფლდნენ როგორც სარჩელის, ასევე სააპელაციო და საკასაციო საჩივრების შეტანის დროსაც, ვინაიდან კანონში მითითებული საფუძვლებით უფლების დაცვის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სამართალწარმოების ყველა სტადიაზე.

დასაბუთებულია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ მოცემულ შემთხვევაში ზემოხსენებული კანონის დანაწესიდან გამომდინარე ლიკვიდაციაში მყოფი სს "საქართველოს საზღვაო ბანკი" გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, კერძოდ, წარმოდგენილი დავის საგანი არის თავდებობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლის საბოლოო მიზანია, მოსარჩელე შპს "საქართველოს რკინიგზამ", როგორც თავდებმა, აირიდოს სს "საქართველოს საზღვაო ბანკსა" და შპს "ელმავალს" შორის დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოვალის მიერ დაუფარავი სესხის გადახდა. ამდენად, სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" მოთხოვნა მოცემულ შემთხვევაში უკავშირდება დებიტორული დავალიანების დაბრუნებას.

განსახილველი დავა უშუალოდ ეხება რა "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "ყ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, სააპელაციო სასამართლომ სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდატორ ბ. პ-მის სააპელაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის მოტივით არასწორად დატოვა განუხილველად, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს "საქართველოს საზღვაო ბანკის" ლიკვიდატორ ბ. კ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება; სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაბრუნება

განჩინება

#ას-1099-1255-08

9 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 29 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართეს დ. ქ-ძემ, მ. ს-ძემ, ნ. გ-შვილმა, ლ. ა-შვილმა, ი. დ-იანმა, ნ. მ-ძემ, ე. მ-შვილმა, ლ. კ-შვილმა, გ. მ-შვილმა, მ. ა-შვილმა, მ. კ-ძემ, ქ. მ-შვილმა, ნ. ჯ-ძემ, ლ. ც-შვილმა, გ. ძ-შვილმა, ნ. გ-ძემ, მ. ბ-შვილმა, მ. კ-ძემ, ნ. კ-ძემ, დ. მ-იანმა, ე. ჯ-შვილმა, ჯ. ჯ-ელმა და ც. ს-შვილმა მოპასუხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ. მოსარჩელებმა მოითხოვეს სამუშაოდან მათი დათხოვნის თაობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 დეკემბრის #01-02/636 ბრძანების ბათილად ცნობა, მოსარჩელებთან ორჯერ თითო წლით დადებული შრომითი ხელშეკრულების განახლება, 2005 წლის 13 ივლისიდან შრომითი ურთიერთობის არსებობის აღიარება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 9 თებერვლის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია 2007 წლის 19 თებერვლის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას და აღნიშნული საქმე განსჯადობის დავის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით დ. ქ-ძის, მ. ს-ძის, ნ. გ-შვილის, ლ. ა-შვილის, ი. დ-იანის, ნ. მ-ძის, ე. მ-შვილის, ლ. კ-შვილის, გ. მ-შვილის, მ. ა-შვილის, მ. კ-ძის, ქ. მ-შვილის, ნ. ჯ-ძის, ლ. ც-შვილის, გ. ძ-შვილის, ნ. გ-ძის, მ. ბ-შვილის, მ. კ-ძის, ნ. კ-ძის, დ. მ-იანის, ე. ჯ-შვილის, ჯ. ჯ-ელისა და ც. ს-შვილის სარჩელი მოპასუხე - ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით, დ. ქ-ძის, მ. ს-ძის, ლ. ა-შვილის, ი. დ-იანის, ნ. მ-ძის, ე. მ-შვილის, გ. მ-შვილის, მ. ა-შვილის, მ. კ-ძის, ქ. მ-შვილის, ნ. ჯ-ძის, ლ. ც-შვილის, გ. ძ-შვილის,

ნ. გ-ძის, მ. ბ-შვილის, მ. კ-ძის, ნ. კ-ძის, დ. მ-იანის, მ. მ-იას, ო. ჯ-იანის, თ. ქ-ძის, შ. მ-შვილის, ჯ. ჯ-ელისა და ც. ს-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა დ. ქ-ძის, მ. ს-ძის, ლ. ა-შვილის, ი. დ-იანის, ნ. მ-ძის, გ. მ-შვილის, მ. ა-შვილის, მ. კ-ძის, ქ. მ-შვილის, ნ. ჯ-ძის, ლ. ც-შვილის, გ. მ-შვილის, მ. ბ-შვილის, მ. კ-ძის, ნ. კ-ძის, დ. მ-იანის, ჯ. ჯ-ელის, ც. ს-შვილის, მ. მ-იას, ო. ჯ-იანის, თ. ქ-ძისა და შ. მ-შვილის (წარმომადგენელი მ. პ-ია) მიერ. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სამუშაოდან მათი დათხოვნის თაობაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 დეკემბრის #01-02/636 ბრძანების პირველი და მეორე პუნქტების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, თითოეულ აპელანტს დაევალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენა. განჩინებით მათვე განემარტათ, რომ სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში სააპელაციო საჩივრის ხარვეზი დ. ქ-ძის, შ. მ-შვილის, მ. კ-ძისა და მ. ს-ძის ნაწილში შევსებულ იქნა, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 23 სექტემბრის განჩინებით მათი სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო.

დანარჩენ აპელანტებს - ლ. ა-შვილს, ი. დ-იანს, ნ. მ-ძეს, გ. მ-შვილს, მ. ა-შვილს, მ. კ-ძეს, ქ. მ-შვილს, ნ. ჯ-ძეს, ლ. ც-შვილს, გ. მ-შვილს, მ. ბ-შვილს, ნ. კ-ძეს, დ. მ-იანს, ჯ. ჯ-ელს, ც. ს-შვილს, მ. მ-იას, ო. ჯ-იანსა და თ. ქ-ძეს წარმომადგენელ მ. პ-იას შუამდგომლობის საფუძველზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებით გაუგრძელდათ ხარვეზის შევსების ვადა 20 დღით. იმავდროულად, მათ განემარტათ, რომ ვადის ათვლა დაიწყებოდა განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან.

2008 წლის 27 ოქტომბერს აპელანტების წარმომადგენელმა მ. პ-იამ სააპელაციო სასამართლოში ხარვეზის შევსების მიზნით წარადგინა ო. ჯ-იანის, ნ. კ-ძის, გ. მ-შვილის, თ. ქ-ძისა და დ. მ-იანის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრები, რის შესაბამისადაც ითხოვა დასახელებული აპელანტების მიმართ ხარვეზის შევსებულად მიჩნევა და მათივე სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით ლ. ა-შვილის, ი. დ-იანის, ნ. მ-ძის, გ. მ-შვილის, მ. ა-შვილის, მ. კ-ძის, ქ. მ-შვილის, ნ. ჯ-ძის, ლ. ც-შვილის, გ. მ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. კ-ძის, დ. მ-იანის, ჯ. ჯ-ელის, ც. ს-შვილის, მ. მ-იას, ო. ჯ-იანისა და თ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ხარვეზის შესავსებად დადგენილ ვადაში წარდგენილი შუამდგომლობის საფუძველზე, ამავე სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებით აპელანტებს: ლ. ა-შვილს, ი. დ-იანს, ნ. მ-ძეს, გ. მ-შვილს, მ. ა-შვილს, მ. კ-ძეს, ქ. მ-შვილს, ნ. ჯ-ძეს, ლ. ც-შვილს, გ. მ-შვილს, მ. ბ-შვილს, ნ. კ-ძეს, დ. მ-იანს, ჯ. ჯ-ელს, ც. ს-შვილს, მ. მ-იას, ო. ჯ-იანსა და თ. ქ-ძეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის შესავსებად ვადა 20 დღით გაუგრძელდათ. მათვე განემარტათ, რომ ვადის ათვლა დაიწყებოდა განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან. სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინების ასლი ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ აპელანტების წარმომადგენელ მ. პ-იას პირადად ჩაჰბარდა 2008 წლის 1 ოქტომბერს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამდენად, აპელანტების წარმომადგენელ მ. პ-იასათვის ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინების ჩაბარება წარმოადგენდა მისი მარწმუნებლებისათვის ჩაბარებას.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, 2008 წლის 1 ოქტომბრის ჩაბარებიდან აპელანტებს ხარვეზის შევსების ვადა ამოეწურათ 2008 წლის 21 ოქტომბერს, რა დროსაც მათ სააპელაციო სა-

სამართლოში უნდა წარედგინათ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, აღნიშნული ქვითარი კი წარდგენილ იქნა 2008 წლის 27 ოქტომბერს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, დარჩება განუხილველი. ამავე კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი აღარ მიიღება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ლ. ა-შვილმა, ი. დ-იანმა, ნ. მ-ძემ, გ. მ-შვილმა, მ. ა-შვილმა, მ. კ-ძემ, ქ. მ-შვილმა, ნ. ჯ-ძემ, ლ. ც-შვილმა, გ. მ-შვილმა, მ. ბ-შვილმა, ნ. კ-ძემ, დ. მ-იანმა, ჯ. ჯ-ელმა, ც. ს-შვილმა, მ. მ-იამ, ო. ჯ-იანმა და თ. ქ-ძემ (წარმომადგენელი მ. პ-ია), რომლებმაც მოითხოვეს თავიანთი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინების გაუქმება, დ. მ-იანის, ო. ჯ-იანის, ნ. კ-ძის, გ. მ-შვილისა და თ. ქ-ძის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება, აგრეთვე, ლ. ა-შვილის, ი. დ-იანის, ნ. მ-ძის, მ. ა-შვილის, მ. კ-ძის, ქ. მ-შვილის, ნ. ჯ-ძის, ლ. ც-შვილის, გ. მ-შვილის, მ. ბ-შვილის, ჯ. ჯ-ელის, ც. ს-შვილისა და მ. მ-იას ნაწილში ხარვეზის დადგენის შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 აგვისტოსა და ამავე სასამართლოს 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებების გაუქმება, დასახელებული პირების სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება და მათი სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება.

კერძო საჩივრის ავტორთა ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძვლები შემდეგში მდგომარეობს:

იმულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება არასწორია, რამდენადაც მითითებულ მოთხოვნაზე "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის "ა" ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება, რაც სააპელაციო სასამართლომაც აღნიშნა 2008 წლის 7 აგვისტოს განჩინებაში.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ აპელანტთა შუამდგომლობაზე არ უმსჯელია.

აპელანტების შრომითი უფლებები დაირღვა ერთიანი სამართლებრივი აქტით -თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2006 წლის 1 დეკემბრის #01-02/636 ბრძანებით, რომლის პირველი და მესამე პუნქტების ბათილად ცნობასაც აპელანტები მოითხოვენ. შესაბამისად, სარჩელის აღნიშნული მოთხოვნა და მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგიც ერთიანია და სააპელაციო სასამართლოს ამ მოთხოვნაზე ყველა აპელანტისათვის ერთიანი სახელმწიფო ბაჟი უნდა განესაზღვრა (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებაზე უარის შემთხვევაში).

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა დ. მ-იანის, ო. ჯ-იანის, ნ. კ-ძის, გ. მ-შვილისა და თ. ქ-ძის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება მათ მიერ სახელმწიფო ბაჟის დაგვიანებით წარდგენის გამო. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186.1 და 368.5-ე მუხლებიდან გამომდინარე ხარვეზად მიიჩნევა დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა და არა გადახდილ თანხაზე შესაბამისი ქვითრის სასამართლოში წარუდგენლობა. ამასთან, ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ 2008 წლის 22 სექტემბრის განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ დაადგინა აპელანტთათვის ხარვეზის შევსების ვადის 20 დღით გაგრძელება და არ მიუთითა დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის წარდგენის ვალდებულებაზე. დ. მ-იანმა, ო. ჯ-იანმა, ნ. კ-ძემ, გ. მ-შვილმა და თ. ქ-ძემ სახელმწიფო ბაჟი გადაიხადეს და შესაბამისად ხარვეზი შეავსეს განჩინების ჩაბარებიდან სწორედ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ 20-დღიან ვადაში. აქედან გამომდინარე, მითითებულ პირთა მიმართ ხარვეზი შევსებულად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო მათ ნაწილში სააპელაციო საჩივარი წარმოებაში მიღებას დაექვემდებაროს.

რაც შეეხება დანარჩენ აპელანტებს -ლ. ა-შვილს, ი. დ-იანს, ნ. მ-ძეს, მ. ა-შვილს, მ. კ-ძეს, ქ. მ-შვილს, ნ. ჯ-ძეს, ლ. ც-შვილს, გ. მ-შვილს, მ. ბ-შვილს, ჯ. ჯ-ელს, ც. ს-შვილს, მ. მ-იას -მათ ნაწილშიც სააპელაციო საჩივარი წარმოებაში უნდა იქნეს მიღებული განუხილველად დატოვებულ ორ მოთხოვნასთან დაკავშირებით, რადგან დასახელებულმა პირებმა უმუ-

შევრობის გამო ვერ შეძლეს სახელმწიფო ბაჟის -150 ლარის (თითოეულმა) გადახდა. იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული გარემოება სასამართლოსათვის ცნობილი იყო, მას მითითებული მოტივით აპელანტების სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საკითხზე არ უმსჯელია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს აპელანტთა მოსაზრებას, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ არსებობდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის, ხოლო შემდგომ -სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის მოტივით განუხილველად დატოვების სამართლებრივი საფუძველი. "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი ცალსახად მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ფიზიკური პირები სარჩელზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომითსამართლებრივი ურთიერთობიდან. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ ექვემდებარებოდა ხარვეზის დადგენას და ამ ნაწილში სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოება სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო არ არსებობდა.

რაც შეეხება სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების მართლზომიერებას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ მოთხოვნათა ნაწილში სააპელაციო საჩივარი საჭიროებს დასაშვებობის ხელახლა შემოწმებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტებმა -ლ. ა-შვილმა, ი. დ-იანმა ნ. მ-ძემ, გ. მ-შვილმა, მ. ა-შვილმა, მ. კ-ძემ, ქ. მ-შვილმა, ნ. ჯ-ძემ, ლ. ც-შვილმა, გ. ძ-შვილმა, მ. ბ-შვილმა, ნ. კ-ძემ, დ. მ-იანმა, ჯ. ჯ-ელმა, ც. ს-შვილმა, მ. მ-იამ, ო. ჯ-იანმა და თ. ქ-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე იშუამდგომლეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარს ისე დაუდგინდა ხარვეზი, რომ სააპელაციო სასამართლოს აპელანტების აღნიშნულ შუამდგომლობაზე არ უმსჯელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზედაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო, ემსჯელა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შუამდგომლობაზე, რათა სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძვლების რეალურად არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი ყოფილიყო ქონებრივ შესაძლებლობას მოკლებული მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა არსებითი საპროცესო უფლებაა სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, რაც ასევე გულისხმობს ამ შუამდგომლობების განხილვის, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში -შუამდგომლობაზე უარის თქმის მოტივების ცოდნის უფლებასაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობაზე მსჯელობის გარეშე გადაეწყვიტა სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო საჩივარი სამუშაოზე აღდგენისა და ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს მიერ დასაშვებობის ხელახლა შემოწმებას ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორთა მსჯელობას სახელმწიფო ბაჟის აპელანტებისათვის ინდივიდუალურად დაკისრების არამართებულობის თაობაზე და განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მხოლოდ რამდენიმე პირის საერთო სარჩელის (სააპელაციო საჩივრის) არსებობა არ განაპირობებს სახელმწიფო ბაჟის ერთიანად დაკისრებას, რამდენადაც მოსარჩელეთა (აპელანტების) მიმართ სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობას არ აქვს ადგილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ა-შვილის, ი. დ-იანის, ნ. მ-ძის, გ. მ-შვილის, მ. ა-შვილის, მ. კ-ძის, ქ. მ-შვილის, ნ. ჯ-ძის, ლ. ც-

შვილის, გ. მ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. კ-ძის, დ. მ-იანის, ჯ. ჯ-ელის, ც. ს-შვილის, მ. მ-იას, ო. ჯ-იანისა და თ. ქ-ძის (წარმომადგენელი მ. პ-ია) სააპელაციო საჩივარი განაცდური ხელფასის მოთხოვნის ნაწილში ექვემდებარება წარმოებაში მიღებას სააპელაციო სასამართლოს მიერ იმის გათვალისწინებით, რომ ამ ნაწილში აპელანტები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო დანარჩენ ნაწილში სააპელაციო სასამართლომ პირველ რიგში უნდა იმსჯელოს აპელანტების შუამდგომლობაზე სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების შესახებ და ისე გადაწყვიტოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 27 ოქტომბრის განჩინება და ლ. ა-შვილის, ი. დ-იანის, ნ. მ-ძის, გ. მ-შვილის, მ. ა-შვილის, მ. კ-ძის, ქ. მ-შვილის, ნ. ჯ-ძის, ლ. ც-შვილის, გ. მ-შვილის, მ. ბ-შვილის, ნ. კ-ძის, დ. მ-იანის, ჯ. ჯ-ელის, ც. ს-შვილის, მ. მ-იას, ო. ჯ-იანისა და თ. ქ-ძის (წარმომადგენელი მ. პ-ია) სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლები

განჩინება

#ას-1097-1254-08 20 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ვ. ჩ-იანმა მოპასუხე მ. შ-შვილის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, მან 205 წლის 6 სექტემბერს ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე თავის შვილს -მ. შ-შვილს აჩუქა უძრავი ქონება, მდებარე თბილისის, ... #93-ში, მოსარჩელე კი საცხოვრებლად გადავიდა მის საკუთრებაში არსებულ სათავსში, სადაც დღემდე ცხოვრობს. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხემ და მისმა მეუღლემ მას მიაყენეს მძიმე შეურაცყოფა და სცემეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და უძრავი ქონების კვლავ მის სახელზე აღრიცხვა. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ვ. ჩ-იანმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ვ. ჩ-იანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი.

2008 წლის 15 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა აპელანტმა და მოითხოვა ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება, რაც დაკმაყოფილდა სააპელაციო პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით და აპელანტს, გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა 10 დღით.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინება ვ. ჩ-იანს ჩაბარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით 2008 წლის 22 ოქტომბერს. შესაბამისად ხარვეზი უნდა შეევსებულყო 2008 წლის 3 ნოემბერს.

ასევე დადგენილია, რომ დათქმულ ვადაში ვ. ჩ-იანმა ხარვეზი არ შეავსო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინება კერძოს საჩივრით გაასაჩივრა ვ. ჩ-იანმა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მის მიერ ხარვეზის შეუვსებლობა და ბაჟის გადაუხდელობა გამოწვეული იყო უსახსრობით, ვინაიდან ის არის მარტოხელა და სოციალურად დაუცველი პიროვნება. სააპელაციო საჩივრის განხილვის პერიოდში, მის მიმართ მიმდინარეობდა შემოწმებები. რათა აღრიცხულიყო მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის, რისი დამადასტურებელი მოწმობაც მიიღო 2008 წლის 18 ნოემბერს.

კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს, თანდართულ მტკიცებულებებს და მიიჩნევს, რომ ვ. ჩ-იანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინებით ვ. ჩ-იანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, ხარვეზის შეუვსებლობის, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში გადაუხდელობის გამო.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ვ. ჩ-იანს ხარვეზის შევსების ვადა განესაზღვრა 3 ნოემბრამდე, ხოლო ვ. ჩ-იანზე სოციალურად დაუცველ ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა გაიცა 18 ნოემბერს. შესაბამისად აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი ცხადყოფს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ აპელანტისათვის ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადის განმავლობაში, მხარის მიერ საპატიო საფუძვლად მითითებული გარემოება არ იყო დადასტურებული კანონით დადგენილი წესით.

ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1 ნაწილის "ვ" პუნქტის შესაბამისად სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები, რომლებიც დადენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ აღნიშნული მუხლი ადგენს ორ აუცილებელ პირობას, რაც შეიძლება გახდეს ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძველი, კერძოდ, პირი რეგისტრირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ამასთან იღებდეს საარსებო შემწეობასაც. შესაბამისად მარტოდენ ის გარემოება, რომ პირი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, არ წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძველს, თუ ის ამავდროულად არ იღებს საარსებო შემწეობასაც. მოცემულ შემთხვევაში ვ. ჩ-იანის მიერ კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულებებით დასტურდება მხოლოდ ვ. ჩ-იანის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია, ხოლო მის მიერ შემწეობის მიღების ფაქტი საქმის მასალებით არ დგინდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად ის რაც შეიძლება დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. აქედან გამომდინარე ვ. ჩ-იანის მიერ წარმოდგენილი მოწმობა არ წარმოადგენს იმ მტკიცებულებას, რომელიც მიუთითებს ხარვეზის ვადაში შეუვსებლობის საპატიო საფუძველზე. ვ. ჩ-იანს სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში რომც წარედგინა მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა, ის მაინც არ გათავისუფლდებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის გამო. მოცემულ შემთხვევაში ვ. ჩ-იანმა ხარვეზის შეუვსებლობის გამო დაკარგა საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულთან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

ვ. ჩ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება

განჩინება

#ას-1167-1312-08

26 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფა

აღწერილობითი ნაწილი:

თერჯოლის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ლ. ა-ძემ, მოპასუხედ დაასახელა შ. ქ-ძე და მოითხოვა

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით ლ. ა-ძის უფლებამონაცვლის რ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - რ. ა-ძეს ნატურით გამოეყო საკუთრებაში თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა სიმონეთში მდებარე, შ. ქ-ძის სახელზე რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლიდან #1 ოთახი - 33,13 მ², #3 ოთახი - 13,2 მ² და მათ გასწვრივ - ღია აივანი, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიჯროს 2008 წლის 2 აპრილის #01/15-კ საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაზე თანდართული სქემატური ნახაზით.

რ. ა-ძეს ნატურით გამოეყო შ. ქ-ძის სახელზე რიცხული, საცხოვრებელი სახლის დასავლეთ მხარეს არსებული 1375 მ² მიწის ნაკვეთი და გადასახდელად დაეკისრა მისი ღირებულება 120 ლარი, არ დაკმაყოფილდა რ. ა-ძის სარჩელი ავტომანქანის „ვაზ 2121-ის“ და საცხოვრებელი სახლის ეზოში არსებული ავტოფარეხის ნატურით მიკუთვნებაზე ეთქვა უარი. აღნიშნულის სანაცვლოდ შ. ქ-ძეს რ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა ავტოფარეხისა და ავტომანქანა „ვაზ 2121“ საერთო ღირებულების ნახევარი - 967 ლარი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა შ. ქ-ძემ და მოითხოვა თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით შ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარცა განუხულებელი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს ხარვეზის შესახებ განჩინებით შ. ქ-ძეს დაევალა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის -150 ლარის გადახდა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით სააპელაციო საჩივრის სამ ცალად წარმოდგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 აგვისტოს ხარვეზის შესახებ განჩინება შ. ქ-ძეს გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით 2008 წლის 29 აგვისტოს.

შ. ქ-ძემ სასამართლოს წარუდგინა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობის ასლი და სოციალური სუბსიდიების სააგენტოს თერჯოლის განყოფილების მიერ გაცემული ცნობა, რომ ის არის მარტოხელა შრომისუუნარო პენსიონერი.

პალატამ მიიჩნია, რომ შ. ქ-ძის მიერ წარმოდგენილი ცნობით არ დგინდება, რომ იგი იღებს დახმარებას როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახის კატეგორია. სამოქალაქო საპროცესო კოდექ-

სის 46-ე მუხლი არ ითვალისწინებს მხოლოდ მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისათვის ბაჟიდან გათავისუფლებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა შ. ქ-ძემ.

კერძო საჩივრის განმარტებით ის არის რეგისტრირებული სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში, იღებს 22-ლარიან დახმარებას რის შესახებაც მან წარუდგინა მტკიცებულებები სასამართლოს, მაგრამ აღნიშნული არ იქნა გათვალისწინებული და საქმე დატოვეს განუხილველად.

აღნიშნულიდან გამომდინარე შ. ქ-ძემ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ შ. ქ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით შ. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი ხარვეზის შეუვსებლობის გამო დარჩა განუხილველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზემოთ მითითებული ნორმა ანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას პირის სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში მიიღოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობა, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას სასამართლო ეყრდნობა მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებას მისი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

განსახილველ საქმეზე შ. ქ-ძემ წარმოადგინა სოციალური სუბსიდიების სააგენტოს თერჯოლის განყოფილების მიერ გაცემული ცნობა, რომლის თანახმად იგი იღებს სოციალურ დახმარებას თვეში 22 ლარის ოდენობით, როგორც მართხელა შრომისუუნარო პენსიონერი. საკასაციო პალატა თვლის, რომ მითითებული დოკუმენტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის საფუძველზე იძლევა მხარის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას, შესაბამისად მოცემული საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო სასამართლოს ნაცვლად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლისა უნდა გამოეყენებინა ამავე კოდექსის 47-ე მუხლით დადგენილი დანაწესი.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შ. ქ-ძის ქონებრივ მდგომარეობა, წარმოადგენს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს, ამდენად ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა კრიტერიუმების შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს ამავე პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შ. ქ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის სხვა კრიტერიუმების შესამოწმებლად დაუბრუნდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება

განჩინება

№ას-157-485-09

6 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, ფულადი ვალდებულების ვადის გადაცილების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 5 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა ა. ც-უამ მოპასუხე რ. ც-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის ძირითადი დავალიანების -10 000 აშშ დოლარის, აგრეთვე, 2007 წლის 10 ივლისიდან ყოველთვიურად აღნიშნულ დავალიანებაზე დარიცხული სარგებლის (პროცენტის) -2000 აშშ დოლარის, მთლიანობაში 12 000 აშშ დოლარის დაკისრება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ვალის აღიარების შესახებ 2007 წლის 9 ივნისის სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხე რ. ც-ძემ აღიარა ა. ც-უას წინაშე 10 000 აშშ დოლარის ოდენობით ვალის არსებობა. აღნიშნული დავალიანება წარმოიშვა 2006 წლის ივნისში კრედიტორის მიერ მოვალისათვის ავტომატურად შესაძენად თანხის გადაცემის შედეგად. ხელშეკრულებითვე მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოვალე (რ. ც-ძე) ვალს გადაიხდიდა 2007 წლის 10 ივლისამდე. მოცემული ვადის გასვლის შემდეგ ვალს დაერიცხებოდა სარგებელი ყოველთვიურად 2%-ის ოდენობით, რაც სარჩელის აღძვრის დროისათვის შეადგენდა 2000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარებში. მიუხედავად ამისა, მოპასუხეს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, თანხა არ დაუბრუნებია.

2007 წლის 13 აგვისტოს რ. ც-ძემ ხელწერილით იკისრა ვალდებულება, ა. ც-უასათვის ვალი დაებრუნებინა 2007 წლის 10 სექტემბრამდე. რამდენადაც მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არც ამჯერად შეასრულა, ა. ც-უამ თანხის დაბრუნების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი წარადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2008 წლის 18 ივლისს მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ც-უას სარჩელი დაკმაყოფილდა: რ. ც-ძეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 12 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის ლარის გადახდა.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი წარადგინა რ. ც-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე წარმოების განახლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით რ. ც-ძის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

ზემომოთხრობული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა რ. ც-ძემ. სააპელაციო საჩივარში აპელანტმა მოსარჩელის მიმართ დავალიანების არსებობა 8000 ლარის მოთხოვნის ნაწილში აღიარა, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოითხოვა საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინების გაუქმება. იმავდროულად, რ. ც-ძემ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, რ. ც-ძეს დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის სახით დავის საგნის ღირებულების 4%-ის გადახდა, რაც 792 ლარს შეადგენდა. მასვე დაევალა ამ განჩინებით დადგენილ ვადაში სააპელაციო სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის წარდგენა.

2008 წლის 15 დეკემბერს რ. ც-ძემ სააპელაციო სასამართლოში შეტანილი განცხადებით ითხოვა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება, რამდენადაც დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბაჟის -792 ლარის გადახდა მისთვის წარმოადგენდა სიმძნელს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინებით რ. ც-ძეს გაუგრძელდა ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა, დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის -792 ლარის გადახდა და ამავე ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის სააპელაციო სასამართლოში წარდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის განჩინებით რ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 18 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებასა და ამავე სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ამავე სასამართლოს 2008 წლის 16 დეკემბრის განჩინება, რომლითაც რ. ც-ძეს სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელდა აპელანტმა (არაერთხელ გაგზავნისა და ჩაუბარებლობის შემდგომ) პირადად ჩაიბარა 2009 წლის 9 იანვარს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღიდან ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

რამდენადაც სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების შესახებ განჩინება აპელანტს პირადად ჩაჰბარდა 2009 წლის 9 იანვარს, კანონის ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მისთვის ხარვეზის შესავსებად სასამართლოს მიერ დანიშნული 5-დღიანი ვადის დენა დაიწყო განჩინების გადაცემის მომდევნო დღიდან -2009 წლის 10 იანვრიდან და ამოიწურა 2009 წლის 14 იანვარს, რომელიც იყო სამუშაო დღე. მიუხედავად ამისა, რ. ც-ძეს სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია და არც შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლებზე, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილზე და განმარტა, რომ საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში; საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება; თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა რ. ც-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და მისი სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება, შემდეგი საფუძვლებით:

აპელანტმა სააპელაციო საჩივარში იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, თუმცა აღნიშნულ შუამდგომლობაზე სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია. აქედან გამომდინარე, დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2, 47-ე, 83-ე მუხლების მოთხოვნები.

რ. ც-ძე უმუშევარია 1994 წლიდან, არის აფხაზეთის ომის ვეტერანი, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, რომელიც "იძულებით გადაადგილებულ პირთა -დევილთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5.1 მუხლის შესაბამისად იღებს სოციალურ შემწეობას.

გარდა ამისა, აპელანტი წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირს, რაც "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "მ¹" ქვეპუნქტიდან გამომდინარე მას ათავისუფლებს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, ზემომითითებული გარემოებები გასაჩივრებული განჩინების კანონსაწინააღმდეგობას ცხადყოფს, რის შესაბამისადაც აღნიშნული განჩინება გაუქმებას, ხოლო მისი სააპელაციო საჩივარი განსახილველად მიღებას ექვემდებარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბი-

ლისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის განჩინება, რ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აპელანტმა რ. ც-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში აღიარა მოსარჩელის მიმართ დავალიანება 8000 ლარის ნაწილში და დანარჩენ ნაწილში მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებისა და მისი უცვლელად დატოვების შესახებ ამავე სასამართლოს 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინების გაუქმება. ამდენად, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება შეადგენდა არა 12 000 აშშ დოლარს, არამედ -12 000 აშშ დოლარისა და 8 000 ლარის სხვაობას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სახელმწიფო ბაჟი განისაზღვრა საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის გადაწყვეტილებით რ. ც-ძისათვის დაკისრებული სრული თანხიდან -12 000 აშშ დოლარიდან, რის შედეგადაც სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობამ 792 ლარი შეადგინა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სააპელაციო საჩივარზე შეადგენს დავის საგნის ღირებულების 4%-ს, მაგრამ არანაკლებ 150 ლარისა. ამავე კოდექსის 365-ე მუხლის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გამოანგარიშებას ექვემდებარებოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 18 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით რ. ც-ძისათვის დაკისრებული დარჩენილი თანხიდან (12 000 აშშ დოლარისა და 8000 ლარის სხვაობიდან). სახელმწიფო ბაჟის ამგვარად განსაზღვრის შემთხვევაში აპელანტს სახელმწიფო ბაჟის გადასახდელი თანხა ნაკლები ოდენობით დაუდგინდებოდა. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობის სწორად განსაზღვრას შეიძლება გავლენა მოეხდინა აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის აღმოფხვრასა და ამდენად, საქმის შედეგზე.

გარდა ამისა, საქმის მასალებით დასტურდება, რომ რ. ც-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებაზე წარდგენილ სააპელაციო საჩივარში იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარს ისე დაუდგინდა ხარვეზი, რომ სააპელაციო სასამართლოს აპელანტის აღნიშნულ შუამდგომლობაზე არ უმსჯელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება. აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო ემსჯელა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შუამდგომლობაზე, რათა სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძვლების რეალურად არსებობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი ყოფილიყო ქონებრივ შესაძლებლობას მოკლებული მხარის უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა არსებითი საპროცესო უფლებაა სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, რაც ასევე გულისხმობს ამ შუამდგომლობების განხილვის, ხოლო დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში - შუამდგომლობაზე უარის თქმის მოტივების ცოდნის უფლებასაც.

ამდენად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობაზე მსჯელობის გარეშე არ უნდა მომხდარიყო სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შემოწმებას აღნიშნული თვალსაზრისითაც ექვემდებარება.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტს "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "მ¹" ქვეპუნქტით მისი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლის არსებობის თაობაზე და განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი უფრო ახალი და, იმავდროულად, სპეციალური ნორმაა, ვიდრე "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის "მ¹" ქვეპუნქტი. ამასთან, დასახელებული 46-ე მუხლის დისპოზიცია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას უკავშირებს ორი პირობის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მხარეთა რეგისტრაციისა და მათ მიერ საარსებო შემწეობის

მიღების ფაქტების ერთდროულად არსებობას, რაც უნდა იყოს დადასტურებული შესაბამისი მტკიცებულებებით. კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი სარეგისტრაციო მოწმობით, მართალია, ირკვევა, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეყვანილია რ. ც-ძე, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტი არ ადასტურებს მისი ოჯახის მიერ საარსებო შემწეობის მიღებას, გარდა ამისა, აღნიშნული ცნობა გაცემულია 2007 წლის 18 მაისს და არა დღევანდელი მდგომარეობით. შესაბამისად, მითითებული საფუძველით რ. ც-ძე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან მხოლოდ ამ ცნობის საფუძველზე ვერ გათავისუფლდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ც-ძის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 იანვრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრა

განჩინება

#ას-288-610-09

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი**

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. კ-ძემ, ლ. ვ-შვილმა, შ. ჩ-ძემ, გ. მ-ძემ, პ. ჯ-შვილმა, თ. ვ-შემ, ნ. მ-იამ, ლ. მ-ელმა, მ. ხ-ავამ, დ. გ-ძემ, გ. გ-შვილმა, ი. ქ-შვილმა, ც. ბ-შვილმა და ნ. პ-ძემ სარჩელი აღძრეს სასამართლოში შპს "ლეონისა" და მ. ყ-ელის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შემდეგი საფუძველებით: მოსარჩელები არიან ქ.თბილისში, ... ქ.#24^ა-სა და ... ქ.#33-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსების მობინადრეები. შპს "ლეონის" მიერ წარმოებულმა მშენებლობამ დაიკავა აღნიშნული კორპუსების ეზოს ტერიტორია. მოსარჩელეთათვის ცნობილი გახდა, რომ სადავო ტერიტორია ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე წარმოადგენდა მ. ყ-ელის საკუთრებას, რომელმაც 2007 წლის 21 მაისს მითითებული უძრავი ქონება მიჰყიდა შპს "ლეონს". სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ზემოხსენებული ადმინისტრაციული აქტი ცნობილ იქნა არარად, თუმცა საჯარო რეესტრმა არ გააუქმა სადავო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ შპს "ლეონის" აღრიცხვის ჩანაწერი იმ მოტივით, რომ მ. ყ-ელის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ძალადაკარგულია, ხოლო ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება შპს "ლეონის" საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენს. ამდენად, 2007 წლის 21 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება ცნობილ უნდა იქნეს ბათილად.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ნ. პ-ძემ და შ. ჩ-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივარი შეიცავდა შუამდგომლობას სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრისა და

დაკისრების თაობაზე, კერძოდ, აპელანტის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები იყვნენ რა მრავალბინიანი კორპუსის მობინადრეები, სარჩელის წარმოებაში მიღებისას საქალაქო სასამართლომ თითოეულ მოსარჩელეს დამოუკიდებლად არასწორად დააკისრა სახელმწიფო ბაჟის - 100 ლარის გადახდა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ სახელმწიფო ბაჟის დაანგარიშების საფუძველი უნდა ყოფილიყო არა მოსარჩელეთა რაოდენობა, არამედ მოთხოვნის სამართლებრივი ხასიათი. ამდენად, აპელანტის მითითებით, სააპელაციო საჩივრისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ბაჟის თითოეული მოსარჩელის მიერ დამოუკიდებლად გადახდა აღემატება მობინადრეთა უმრავლესობის ფინანსურ შესაძლებლობას, რის გამოც მრავალბინიანი კორპუსების მობინადრეთა ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ამხანაგობათა თავმჯდომარეებმა, შესაბამისად, მოსარჩელეთა მიერ სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობა არ უნდა იქნეს გაგებული ისე, რომ მათ შპს "ლეონის" მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის განჩინებით აპელანტებს დაუდგინდათ ხარვეზი და დაევალებათ სახელმწიფო ბაჟის გადახდა. საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათის თანახმად, ხარვეზის განჩინება ნ. პ-ძის ოჯახის წევრს, დეიდაშვილ ნ. ქ-ძეს -2009 წლის 23 თებერვალს, ხოლო შ. ჩ-ძის წარმომადგენელ გ. ც-ძეს 2009 წლის 24 თებერვალს ჩაბარდა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და მიიჩნია, რომ აპელანტ მხარეს სასამართლოს მირ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. პ-ძისა და შ. ჩ-ძის წარმომადგენელმა გ. ც-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განუსაზღვრა აპელანტს ხარვეზი, როდესაც დააკისრა სახელმწიფო ბაჟის სახით არა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის "თ" ქვეპუნქტით დადგენილი 150 ლარის გადახდა, არამედ ნასყიდობის საგნის ღირებულების 4%-ის ჩარიცხვა. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარის მოთხოვნა არაქონებრივი ხასიათისა იყო, ვინაიდან იგი რაიმე ქონების მიკუთვნებას არ მოითხოვდა.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება ნ. პ-ძემ და შ. ჩ-ძემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივრით მხარემ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის გარკვეული წესით განსაზღვრის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 20 თებერვლის განჩინებით აპელანტებს დაუდგინდათ ხარვეზი და დაევალებათ 7 დღის ვადაში მისი გამოსწორება.

საქმეში წარმოდგენილი შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ ხარვეზის განჩინება ნ. პ-ძის ოჯახის წევრს, დეიდაშვილ ნ. ქ-ძეს ჩაბარდა 2009 წლის 23 თებერვალს, შ. ჩ-ძის წარმომადგენელ გ. ც-ძეს კი -2009 წლის 24 თებერვალს.

აღნიშნულის მიუხედავად, ნ. პ-ძესა და შ. ჩ-ძეს ხარვეზი არ გამოუსწორებიათ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ.პ-ძისა და შ.ჩ-ძის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ დაარღვია ნ. პ-ძისა და შ. ჩ-ძის საპროცესო უფლება სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებული კანონით დადგენილი წესით წარდგენილი შუამდგომლობის განხილვის თაობაზე, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის პირველი ადგენს სასამართლოსათვის მხარეთა მიერ შუამდგომლობის წარდგენის წესსა და იმ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მხარეს ერთმევა შუამდგომლობის წარდგენის უფლება. ამდენად, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების არარსებობისას სასამართლო ვალდებულია, განიხილოს მხარის შუამდგომლობა და თავისი განჩინებით დაასაბუთოს მისი დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველები.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს სააპელაციო საჩივარში სახელმწიფო ბაჟის განსაზღვრასთან დაკავშირებით მითითებულ შუამდგომლობაზე არ უმსჯელია არც სააპელაციო საჩივრისათვის ხარვეზის დადგენის ეტაპზე და არც დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის მიზნით სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია.

ამასთან, ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა სადავო ნასყიდობის საგნის ღირებულებიდან არასწორად გამოთვალა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის პირველი ნაწილის "ი" ქვეპუნქტის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების შესახებ სარჩელის ფასი განისაზღვრება უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულებით. დასახელებული ნორმა ადგენს რა ქონებრივ-სამართლებრივ დავებზე სახელმწიფო ბაჟის გამოთვლის წესს, აღიარებითი სარჩელის აღძვრასთან დაკავშირებით რაიმე განსხვავებულ პირობებს არ ითვალისწინებს. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს უძრავ ნივთზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, შესაბამისად, მხარეები სადავოდ ხდიან აღნიშნული ნივთის მესაკუთრის საკუთრების უფლებას. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სასარჩელო მოთხოვნა აღიარებითი ხასიათისაა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა უნდა გამოანგარიშდეს სადავო უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების მიხედვით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ნ. კ-ძისა და შ. ჩ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო ხარჯების გადახდის გადავადება და შემცირება, ოდენობის განსაზღვრა

განჩინება

#ას-437-751-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ო. ს-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ა. კ-ოვის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მოპასუხემ ზეპირი გარიგების საფუძველზე ო. ს-შვილისგან ისესხა 3000 აშშ დოლარი 2007 წლის 30 სექტემბრამდე, რაც ხელწერილით აღიარა. მოგვიანებით ა. კ-ოვმა მოსარჩელისგან ისესხა დამატებით 550 ლარი, თუმცა მხარეთა მიერ შეთანხმებულ ვადაში მას თანხა არ დაუბრუნებია. ამდენად, მოპასუხეს უნდა დაეკისროს ნასესხები თანხის -3000 აშშ დოლარისა და 550 ლარის, ო.ს-შვილის მიერ ა. კ-ოვის სახლის დაყადაღებისთვის გადახდილი 50 ლარის, სააღსრულებო მოსაკრებლის -100 ლარის, საჯარო რეესტრში ყადაღის დარეგისტრირების გადასახადის -20 ლარის, საჯარო რეესტრის განახლების მოსაკრებლის -15 ლარის, სახელმწიფო ბაჟის -165 ლარის, საბანკო მომსახურების -5 ლარისა და ადვოკატის მომსახურებისათვის დახარჯული 800 ლარის გადახდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: სარჩელში მითითებული თანხა ო. ს-შვილმა ჩადო საერთო ბიზნესში იმ პირობით, რომ მოგების შემთხვევაში კუთვნილი 300 აშშ დოლარის გარდა მიიღებდა მოგების მესამედს. ბიზნესი წარუმატებელი აღმოჩნდა და ა.კ-ოვი იძულებული გახდა, დაეწერა სარჩელში მითითებული ხელწერილი. დანარჩენი თანხის დაკისრების მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სარჩელში გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით ო. ს-შვილის სარჩელი ა. კ-ოვის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -ა. კ-ოვს დაეკისრა ო. ს-შვილის სასარგებლოდ 300 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 550 ლარის, ო. ს-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -165 ლარისა და 50 ლარის, საადვოკატო

მომსახურების -120 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, 30,60 ლარის, სულ 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 795,60 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ა. კ-ოვმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად და მხარეს დაუბრუნდა სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 32 ლარი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამავე პალატის 2009 წლის 10 მარტის განჩინებით ო. ს-შვილს დაუდგინდა ხარვეზი და დევალა 7 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის -124,8 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და 31,82 ლარის გადახდის ქვითრის წარდგენა. აღნიშნული განჩინების ასლი აპელანტს 2009 წლის 10 მარტს ჩაბარდა და მან წარმოადგინა 32 ლარის გადახდის ქვითარი. სააპელაციო პალატის მითითებით, ა. კ-ოვის შუამდგომლობის საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის განჩინებით, მას ხარვეზის შევსების ვადა 20 დღით გაუგრძელდა და განჩინების ასლი 2009 წლის 18 მარტს ჩაბარდა, თუმცა მას სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი სრულად არ გამოუსწორებია. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული სააპელაციო საჩივრის გაუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე ა. კ-ოვმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად იმ საფუძველით, რომ გასაჩივრებული განჩინება უკანონოა, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე და 64-ე მუხლები.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 10 მარტის განჩინებით ა. კ-ოვის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 7 დღის ვადა მის გამოსასწორებლად, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად.

საქმეში წარმოდგენილი ხელწერილით დასტურდება, რომ მხარეს ხარვეზის თაობაზე განჩინება 2009 წლის 10 მარტს ჩაბარდა.

2009 წლის 16 მარტს ა. კ-ოვმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, წარადგინა 32 ლარის გადახდის ქვითარი და მოითხოვა დარჩენილი თანხის გადასახდელად ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის განჩინებით შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და აპელანტს ხარვეზის შევსების ვადა 20 დღით გაუგრძელდა. აღნიშნულის მიუხედავად, ა. კ-ოვს ხარვეზის გამოსწორების მიზნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს და არც რაიმე შუამდგომლობა წარუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. კ-ოვის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებლად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში ა. კ-ოვის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს მიეცა ვადა მის გამოსასწორებლად. ა. კ-ოვმა გადაიხდა სახელმწიფო ბაჟის ნაწილი და მოითხოვა ხარვეზის გამოსასწორებლად მისთვის მიცემული ვადის გაგრძელება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა და მხარეს სახელმწიფო ბაჟის სრულად დასაფარად განუსაზღვრა სავსებით გონივრული ვადა -20 დღე. აღნიშნული ვადის გასვლის მიუხედავად ა. კ-ოვს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

საფუძველს მოკლებულია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა ა. კ-ოვის სააპელაციო საჩივარი განუხილველად, რა დროსაც არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის მიხედვით, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვა-

დოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. ამ დანაწესის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უფლებამოსილია, გაითვალისწინოს თითოეული მხარის ფინანსური მდგომარეობა და სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეუმციროს ან მისი გადახდა სხვა დროისათვის გადაუვადოს მხარეს, რომელიც სათანადო მტკიცებულებით დამაჯერებლად დაასაბუთებს თავის მიმე ეკონომიკურ მდგომარეობას.

განსახილველ შემთხვევაში აპელანტ ა. კ-ოვს სასამართლოსათვის სახელმწიფო ბაჟის ოდენობის შემცირების ან მისი გადახდის გადავადების მოთხოვნით არ მიუმართავს და, შესაბამისად, არც სახელმწიფო ბაჟის გადახდის შეუძლებლობა არ დაუდასტურებია უტყუარი მტკიცებულებით, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული ნორმა მართებულად არ გამოიყენა.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის გამოუყენებლობას, კერძო საჩივარი ამ ნაწილშიც დაუსაბუთებელია, ვინაიდან ა. კ-ოვის მოთხოვნის საფუძველზე სააპელაციო პალატამ 2008 წლის 18 მარტის განჩინებით მას ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელა, შემდგომ კი მხარეს საპროცესო ვადის დამატებით გაგრძელების თაობაზე სასამართლოსათვის არ მიუმართავს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ა. კ-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად. სასამართლო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების საფუძველები

განჩინება

#ას-1094-1358-09

24 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით შპს "სონი ცენტრის", შპს "კაფე რუსთაველისა" და შპს "ლაზერი 2 თბილისის" სარჩელი, მოპასუხე -საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის გაუქმების, იჯარის ხელშეკრულების შესრულების, საიჯარო ურთიერთობის გაგრძელების დავალდებულებისა და იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის დავალდებულების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "სონი ცენტრმა", შპს "კაფე რუსთაველმა" და შპს "ლაზერი 2 თბილისმა" მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აგვისტოს განჩინებით შპს "სონი ცენტრს", შპს "კაფე რუსთაველსა" და შპს "ლაზერი 2 თბილისს" დაევა-ლათ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

აღნიშნული განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ აპელანტებს.

2009 წლის 24 აგვისტოს აპელანტების წარმომადგენელმა ი. ქ-მემ ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შპს "სონი ცენტრი თბილისისა" და შპს "ლა-ზერი 2 თბილისის" მიმართ ხარვეზის შევსებულად ცნობა და მათი სააპელაციო საჩივრების წარმოებაში მიღება, ხოლო შპს "კაფე რუსთაველის" სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება იმ საფუძველით, რომ მოპასუხის უკანონო ქმედების შედეგად კომპანია იძულებული გახდა ფაქტობრივად შეეწყვიტა ფუნქციონირება, რის გამოც საზოგადოებას არ გააჩნდა არანაირი შემოსავალი. სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძველად კი აპელანტმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე და ევროპული სასამართლოს საპრეცედენტო პრაქტიკაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინებით შპს "სონი ცენტრი თბილისისა" და შპს "ლა-ზერი 2 თბილისის" სააპელაციო საჩივრები მიღებულ იქნა განსახილველად, ხოლო ამავე სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინებით შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელ ი. ქ-მის შუამდგომლობა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა და აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა, კერძოდ, დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა 7000 ლარის ოდენობით. ამასთან, აპელანტს აღნიშნული განჩინებით განემარტა ხარვეზის შეუვსებლობის შედეგები.

2009 წლის 9 ოქტომბერს შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელმა ი. ქ-მემ კვლავ მიმართა სასამართლოს შუამდგომლობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ. განმცხადებელმა შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა იგივე საფუძველები, კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელ ი. ქ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და განცხადებაში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლისა და "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" საქართველოს კანონის მეხუთე მუხლით გათვალისწინებულ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველებს.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელმა ი. ქ-მემ განჩინების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების მოთხოვნით, იმ საფუძველით, რომ როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ისე უზენაესი სასამართლოს მიერ დანერგილი პრაქტიკა არ ითვალისწინებდა რამდენიმე აპელანტის (კასატორის) მიერ წარდგენილი ერთობლივი სააპელაციო (საკასაციო) საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის ცალ-ცალკე დაკისრებას. ამასთან თბილისის სააპელაციო სასამართლომ უგულვებელყო და საერთოდ არ იმსჯელა მისი შუამდგომლობის იმ პოზიციაზე, სადაც ყურადღება იყო გამახვილებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის მიმართებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველ ნაწილთან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელ ი. ქ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება და, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის შესაბამისად, დარჩება განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 აგვისტოს განჩინებით შპს "სონი ცენტრს", შპს "კაფე რუსთაველსა" და

შპს "ლაზერი 2 თბილისს" დაევალებათ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -4666,67 ლარის ქვითრის წარმოდგენა.

დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინების ასლი აპელანტებს გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით.

ასევე დადგენილია, რომ სასამართლოს მიერ ხარვეზის შევსების განსაზღვრულ ვადაში შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელმა ი. ქ-მემ შუამდგომლობით მოითხოვა შპს "სონი ცენტრისა" და შპს "ლაზერი 2 თბილისის" ხარვეზის შევსებულად ჩათვლა, ხოლო შპს "კაფე რუსთაველის" სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე და ევროპული სასამართლოს საპრცედენტო პრაქტიკაზე მითითებით.

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განჩინებით შპს "სონი ცენტრისა" და შპს "ლაზერი -2 თბილისის" სააპელაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში განსახილველად, ხოლო ამავე პალატის 2009 წლის 15 სექტემბრის განჩინებით შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელ ი. ქ-მის შუამდგომლობა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აპელანტის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ არ დაკმაყოფილდა და აპელანტს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა, კერძოდ, დაევალებათ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -7000 ლარის ქვითრის წარდგენა. ამასთან, აპელანტს აღნიშნული განჩინებით განემარტა ხარვეზის შეუვსებლობის შედეგები.

აღნიშნული განჩინების ასლი აპელანტს გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, 2009 წლის პირველ ოქტომბერს.

დადგენილია, რომ შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელმა ი. ქ-მემ შუამდგომლობით კვლავ მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, იმავე საფუძველზე და იმავე მოტივით, რაზეც სააპელაციო სასამართლოს უკვე ჰქონდა ნამსჯელი და არ დააკმაყოფილა ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინებაში. შესაბამისად, ვინაიდან აპელანტმა ხარვეზი არ შეავსო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

შპს "კაფე რუსთაველის" წარმომადგენელი ი. ქ-მე კერძო საჩივარში განმარტავს, რომ როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს, ისე უზენაესი სასამართლოს მიერ დანერგილი პრაქტიკა არ ითვალისწინებს რამდენიმე აპელანტის (კასატორის) მიერ წარდგენილი ერთობლივი სააპელაციო (საკასაციო) საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის ცალ-ცალკე დაკისრებას. ამასთან თბილისის სააპელაციო სასამართლომ უგულვებლყო და საერთოდ არ იმსჯელა მისი შუამდგომლობის იმ პოზიციაზე, სადაც ყურადღება იყო გამახვილებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის მიმართებაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველ ნაწილთან.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, პროცესში თითოეული თანამონაწილე დამოუკიდებლად გამოდის და დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებას.

განსახილველად შემთხვევაში, დადგენილია, რომ დავაში მოსარჩელეებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით წარმოადგენდნენ შპს "სონი ცენტრი", შპს "კაფე რუსთაველი" და შპს "ლაზერი -2 თბილისი", რომლებმაც დამოუკიდებლად ცალ-ცალკე გაასაჩივრეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სამივე აპელანტმა გადაიხადა 7000 ლარი. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტებს გააჩნდათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოთხოვნა, მითითებული მუხლის შესაბამისად, მათ ცალ-ცალკე უნდა გადაეხადათ სახელმწიფო ბაჟი და სააპელაციო სასამართლოსათვის წარედგინათ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ამასთან თავდაპირველი შუამდგომლობით ი. ქ-მემ თავადვე მოითხოვა, რომ შპს "სონი ცენტრისა" და შპს "ლაზერი -2 თბილისის" სააპელაციო საჩივრები მიეღოთ წარმოებაში, ხოლო შპს "კაფე რუსთაველის" მიმართ მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი თავადვე იზიარებდა იმ გარემოებას, რომ ისინი საქმეში დამოუკიდებლად ასრულებდნენ საპროცესო მოქმედებებს.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარ-

გებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეაც სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

მითითებული მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სასამართლო ხარჯების გადახდისაგან სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს მხოლოდ ფიზიკური და არა იურიდიული პირი. იურიდიული პირის მიმართ დასაშვებია მხოლოდ სასამართლო ხარჯების გადახდის გადადება ან მათი ოდენობის შემცირება (სსსკ-ის 48-ე მუხლი). ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლება, ბაჟი გადახდის გადადება ან მისი ოდენობის შემცირება ხდება მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე.

მხარისათვის ასეთი შეღავათის მიცემა დამოკიდებულია მის ქონებრივ მდგომარეობაზე. ქონებრივი მდგომარეობის შეფასება უნდა მოხდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარის მიერ წარმოდგენილი ამ გარემოების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე. ქონებრივი მდგომარეობა, შინაარსის მიხედვით არ მოიცავს მხოლოდ მხარის მიერ პერიოდულად მისაღებ შემოსავლებს, მასში მოიაზრება ასევე მხარის საკუთრებაში არსებული მთელი ქონება (უძრავ-მოძრავი ქონება, ანგარიშზე არსებული თანხები და სხვა).

ვინაიდან მითითებული მუხლის შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის ავტორის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების სამართლებრივი საფუძველი, ხოლო თავისი შუამდგომლობებით შპს „კაფე რუსთაველის“ წარმომადგენელს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადადება ან მისი ოდენობის შემცირება არ მოუთხოვია, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ხარვეზის შეუვსებლობის გამო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები. ამასთან, აპელანტს სასამართლოში არ წარმოდგენია უტყუარი მტკიცებულებები ბაჟის გადახდის შეუძლებლობაზე და ქონებრივი მდგომარეობის თაობაზე, მხარე მიუთითებს მხოლოდ იმ გარემოებაზე, რომ ამჟამად საწარმოს მუშაობა შეჩერებულია, რაც არ წარმოადგენს მისი ქონებრივი მდგომარეობის ამსახველ მტკიცებულებას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი უზრუნველყოფს ყოველი ადამიანის უფლებას სასამართლო წესით დაიცვას თავისი უფლებები და მოვალეობები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, შესაბამისად ევროპული სასამართლო „სასამართლო ხელმისაწვდომობაზე“ გარკვეული შეზღუდვების დაწესებას დასაშვებად მიიჩნევს. შეზღუდვები შეიძლება ატარებდეს ფინანსურ ხასიათს, რაც მხარისათვის ბაჟის დაკისრებაში გამოიხატება. სასამართლოს განმარტებით ბაჟის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს კონკრეტული საქმის გარემოებები, მხარის გადახდისუნარიანობა და სასამართლო სამართალწარმოების ეტაპი. სახელმწიფო ბაჟის საკითხთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვა, მათ შორის ფინანსურიც, შესაძლებელია უფრო გამკაცრდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, ეს შეზღუდვა კონვენციის საწინააღმდეგო ხასიათს იძენს, თუ აღნიშნული შეზღუდვის შედეგად სამართალწარმოება საერთოდ არ შედგა. თუ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმე უკვე არსებითად განხილულ იქნა, ხოლო ზემდგომმა სასამართლომ იგი დასაშვებობის პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო განუხილველად დატოვა, აღნიშნული არ შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული „სასამართლო ხელმისაწვდომობის“ უფლების ხელყოფად (ტელტრონიკი პოლონეთის წინააღმდეგ, გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ზეტი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, მუტატის მუტანდის ირლანდიის წინააღმდეგ, ბრუალა გომეს დე ლა ტორე ესპანეთის წინააღმდეგ, ტოლსტოი-მილოსლავსკი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, შპს ტინელი და სონსი და სხვები და მაკელდაფი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, იედამსკი და იედამსკა პოლონეთის წინააღმდეგ და ა.შ.).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლომ დაარღვია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა, შესაბამისად, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შპს "კაფე რუსთაველის" კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ოქტომბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. საპროცესო ვადის აღდგენა, გაგრძელება

განჩინება

#ას-199-526-09

7 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: საპროცესო ვადის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით ა. ც-შვილის სარჩელი თ. კ-იას მიმართ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა -თ. კ-იას უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ. თბილისში, ... პირველი კვარტლის #14^ა კორპუსში მდებარე #16 ოთახი და გადაეცა ა. ც-შვილს.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. კ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით თ. კ-იას სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ნოემბრის განჩინებით თ. კ-იას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. კ-იამ და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე, 65-ე, 66-ე, 67-ე, 68-ე, 69-ე და 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის აღდგენა და სააპელაციო საჩივრის განხილვა იმ საფუძველით, რომ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ხარვეზის შევსება.

აღნიშნული კერძო საჩივარი სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია მხარის შუამდგომლობად საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე და იგი განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 თავით დადგენილი წესების შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 იანვრის განჩინებით თ. კ-იას განცხადება საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა თ. კ-იამ, მოითხოვა მისი გაუქმება და ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის აღდგენა.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ხარვეზის შევსების ვადა საპატიო მიზეზით გაუშვა, კერძოდ ავადმყოფობის გამო, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილი იყო მისთვის აღდგენა საპროცესო მოქმედების ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ თ. კ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით თ. კ-იას სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

ასევე დადგენილია, რომ აღნიშნული განჩინების ასლი თ. კ-იას გაეგზავნა და ჩაჰბარდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, 2008 წლის 2 ნოემბერს, შესაბამისად, განჩინების შევსების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების თანახმად, იყო 2008 წლის 12 ნოემბერი. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში თ. კ-იამ ხარვეზი არ გამოასწორა და არც რაიმე შუამდგომლობა ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოში წარუდგენია, რის გამოც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2008 წლის 29 დეკემბერს თ. კ-იამ საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე, 65-ე, 66-ე, 67-ე, 68-ე, 69-ე და 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ხარვეზის შევსების საპროცესო ვადის აღდგენა და სააპელაციო საჩივრის განხილვა იმ საფუძველით, რომ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ხარვეზის შევსება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ისპობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეს აღარ შეუძლია საპროცესო მოქმედების შესრულება. თუმცა, კანონი უშვებს სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გაგრძელების, ხოლო კანონით განსაზღვრული საპროცესო ვადის აღდგენის შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სასამართლოს მიერ ვადის გაგრძელების ან კანონით განსაზღვრული საპროცესო ვადის აღდგენის შესაძლებლობა შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა სასამართლომ შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ თ. კ-იამ სასამართლოს მიმართა მაშინ, როცა საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა უკვე გასული იყო. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული მუხლის გამოყენების წანამდღერები არ არსებობს, ვინაიდან საპროცესო ვადის გაგრძელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ არ გასულა საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ვადა გავიდა 2008 წლის 12 ნოემბერს, ხოლო თ. კ-იამ სასამართლოს მიმართა 2007 წლის 29 დეკემბერს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ასევე არ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო ვადის აღდგენის წინაპირობებიც, ვინაიდან მითითებული მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეიძლება აღადგინოს სასამართლომ, თუ ცნობს, რომ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა საპატიო მიზეზით მოხდა. საპატიო მიზეზად ჩაითვლება ამ კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული გარემოებები. მართალია, კერძო საჩივრის ავტორმა წარმოადგინა სამედიცინო ცნობა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მოითხოვა თავისი ავადმყოფობა საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზად მიჩნეულიყო, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიაჩნია შემდეგი: ვინაიდან შუამდგომლობის აღძვრის მომენტში სააპელაციო საჩივარზე უკვე დამდგარი იყო პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგები საპალაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით, შესაბამისად, ამ განჩინებაზე ვერ გავრცელდებოდა სხვა პროცესუალური რეჟიმი და მისი გადასინჯვა საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების საფუძველზე ვერ მოხდებოდა მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა საპროცესო ვადის გაშვების საპატიო მიზეზები.

ამასთან, საქმის მასალებით დადგენილია, რომ თ. კ-იას ჰყავდა წარმომადგენელი გ. ლ-შილი და თუ თავად ავადმყოფობის გამო ხარვეზს სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო ვადაში ვერ შეავსებდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მას შეეძლო აღნიშნული წარმომადგენლის მეშვეობით ეწარმოებინა, ვინაიდან მითითებული მუხლით გან-

მტკიცებულია პრინციპი –მხარეებს შეუძლიათ, საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენელი ეს არის პირი, რომელიც მარწმუნებლის სახელით და, მისი ინტერესების შესაბამისად, ასრულებს სასამართლოში ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით (სსსკ-ის 98-ე მუხლი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა თ. კ-ის განცხადება საპროცესო მოქმედების ვადის აღდგენის შესახებ და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 იანვრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. სასამართლო უწყების ჩაბარება

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა

განჩინება

#ას-1084-1247-08

12 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით ხ. ბ-მის სარჩელი სპს "შ. ვ-მის", შ. ა-მის, ნოტარიუს თ. ჩ-მბას, გ. შ-მის, ზ. პ-მისა და ნოტარიუს ო.ჭ-შვილის მიმართ სპს "შ. ვ-მის" წარმომადგენელ შ. ვ-მესა და ზ. პ-მეს შორის 2005 წლის 10 ივნისს გაფორმებული მინდობილობისა და 2000 წლის 14 ივნისს სპს "შ. ვ-მის" წარმომადგენელ შ. ვ-მესა და შ. ა-მეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა –გაუქმდა ზ. პ-მის მიერ შ. ვ-მის სახელზე გაცემული 2000 წლის 10 მაისის მინდობილობა 0,18 ჰა მიწის ნაკვეთის გასხვისების შესახებ, ასევე ბათილად იქნა ცნობილი 2000 წლის 14 ივნისს შ. ვ-მესა და შ. ა-მეს შორის დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ვ-მემ.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციების სასამართლოების მიერ და, ბოლოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შ. ვ-მის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა შ. ვ-მის წარმომადგენელმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემ მოითხოვა საჩივრის განუხილველად დატოვება იმ საფუძველით, რომ საჩივრის ავტორს გაშვებული ჰქონდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინებით ხ. პ-მის წარმომადგენელ შ. ჯ-მის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შ. ვ-მის წარ-

მომადგენელ მ. ა-შვილის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 თებერვლის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგინებულად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნათა დაცვით 2008 წლის 6 მარტს გაეგზავნა შ. ვ-ძეს და ამავე წლის 20 მარტს ჩაჰბარდა საჩივრის ავტორის ნათესავს - ა. ფ-ძეს, რომელმაც იმავე დღეს გადასცა გზავნილი შ. ვ-ძეს.

იმის გათვალისწინებით, რომ შ. ვ-ძემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვერ შეძლო წარმოედგინა რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ ა. ფ-ძე არ იყო მისი ოჯახის წევრი და არც რაიმე უწყება მისთვის გადაუცია, სააპელაციო სასამართლომ შ. ვ-ძისათვის უწყების ჩაბარების თარიღად მიიჩნია 2008 წლის 20 მარტი. სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, შ. ვ-ძეს საჩივარი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოში უნდა შეეტანა არაუგვიანეს 2008 წლის 30 მარტისა, ხოლო მან საჩივარი შეიტანა 2008 წლის 10 სექტემბერს, ანუ მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შ. ვ-ძის საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა შ. ვ-ძის წარმომადგენელმა მ. ა-შვილმა, რომლითაც მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება იმ საფუძველზე, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი გადაეცა არა შ. ვ-ძეს, არამედ - ვინმე ა. ფ-ძეს, რომელმაც მხოლოდ მეოთხე დღეს გადასცა გზავნილი არა პირადად შ. ვ-ძეს ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს, არამედ იგი ჩამოღო ჭიშკარზე და უცნობია შემდგომ რა ბედი ეწია გზავნილს. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, გაუგებარია, თუ რის საფუძველზე დაადგინა სახალხო ფოსტამ ის გარემოება, რომ შ. ვ-ძე და ა. ფ-ძე ნათესავები იყვნენ. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სახალხო ფოსტამ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზერეულად მიწერა პასუხი, რომ ა. ფ-ძემ შ. ვ-ძეს აღნიშნული გზავნილი იმავე დღეს გადასცა, ვინაიდან მას ფაქტობრივად არც ა. ფ-ძესთან და არც შ. ვ-ძესთან არ გაურკვევია, ნამდვილად გადაეცა თუ არა გზავნილი შ. ვ-ძეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის შემოწმების შედეგად თვლის, რომ შ. ვ-ძის წარმომადგენელ მ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადაა 10 დღე. ამ ვადის ათვლა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარეს ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაჰბარდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ადრესატისათვის სასამართლო უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

მითითებული ნორმების თანახმად, როდესაც უწყება გაიგზავნა ფოსტით ან კურიერის მეშვეობით, უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ ამ უწყების მეორე ეგზემპლარზე, რომელზეც ხელს აწერს ადრესატი, აღნიშნულია მისი ჩაბარების დრო, იგი დაბრუნდა სასამართლოში და ჩაკერებულია საქმეში. უწყების მეორე ეგზემპლარს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება ხელს აწერდეს 74-ე მუხლით გათვალისწინებული სუბიექტებიც. ასეთ შემთხვევაშიც უწყება ჩაბარებულად ითვლება.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი შ. ვ-ძეს ჩაჰბარდა პირადად 2008 წლის 20 მარტს, ხოლო შ. ვ-ძემ საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიტანა 2008 წლის 10 სექტემბერს კანონით გათვალისწინებული 10-დღიანი ვადის დარღვევით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, გასაჩივრების ბოლო ვადა იყო 2008 წლის 30 მარტი, შ. ვ-ძემ კი საჩივარი დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე

შეიტანა 2008 წლის 10 სექტემბერს, ანუ მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, ასევე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივაციას იმასთან დაკავშირებით, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი გადაეცა არა შ. ვ-ძეს, არამედ ვინმე ა. ფ-ძეს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია საპირისპიროს დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ საფოსტო შეტყობინების ბარათი გზავნილის ჩაბარების შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უშუალოდ შ. ვ-ძეს ჩაჰბარდა 2008 წლის 20 მარტს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო ეყრდნობა საქმის მასალებში არსებული საფოსტო შეტყობინების მონაცემებს და არა სადავოდ გამხდარ სახალხო ფოსტის წერილს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარემ დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, რადგან მან კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი შესაბამის სასამართლოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

შ. ვ-ძის წარმომადგენელ მ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 14 ნოემბრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-58-392-09

23 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ალიმენტის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ღ-იას კანონიერმა წარმომადგენელმა მ. ტ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში დ. ღ-იას მიმართ არასრულწლოვანი შვილის -ლ. ღ-იას სასარგებლოდ ალიმენტის სახით ყოველთვიურად 400 ლარის მოპასუხისათვის დაკისრების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1999-2005 წლებში მხარეები იმყოფებოდა ფაქტობრივ ქორწინებაში. 2000 წლის 13 ოქტომბერს მათ შეეძინათ შვილი ლ. ღ-ია, რომლის მიმართაც დ. ღ-იას მამობა დადგენილია სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის შესაბამისად. მოპასუხე სისტემატურად თავს არიდებს შვილის აღზრდასა და რჩენას. 2006 წლიდან ლ. ღ-ია დადის სკოლაში, რის გამოც მეტი ფინანსური დანახარჯი სჭირდება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 1212-ე მუხლის საფუძველზე დ. ღ-იას უნდა დაეკისროს ალიმენტის გადახდა ყოველთვიურად 400 ლარის ოდენობით.

მოპასუხემ სარჩელი მისთვის ყოველთვიურად 50 ლარის დაკისრების ნაწილში ცნო, ხოლო დანარჩენ ნაწილში კი მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ საკუთარი ბინა არ გააჩნია, ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში, იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და

არჩენს მეუღლესა და 3 თვის შვილს. მოპასუხის შემოსავალი არასტაბილურია და თვეში შეადგენს 600-700 ლარს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, დ. ლ-იას არასრულწლოვანი შვილის რჩენა-აღზრდისათვის დაეკისრა ყოველთვიურად 70 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში მ. ტ-მემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და დ. ლ-იას არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ალიმენტი -ყოველთვიურად 400 ლარის გადახდა.

2008 წლის 30 ოქტომბერს დ. ლ-იამ შესაგებლით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება დ. ლ-იასათვის 70 ლარის გადახდევინების ნაწილში და მოპასუხისათვის ყოველთვიურად 50 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინებით დ. ლ-იას შეგებებული სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დ. ლ-იას მიერ წარმოდგენილი შესაგებელი, თავისი შინაარსისა და მოთხოვნიდან გამომდინარე, შეგებებული სააპელაციო საჩივარია. სასამართლომ დაადგინა, რომ დ. ლ-იას მ. ტ-მის სააპელაციო საჩივრის ასლი ჩაბარდა 2008 წლის 6 ოქტომბერს, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მოწინააღმდეგე მხარემ შესაგებელი არ წარმოადგინა. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე, 63-ე მუხლებით და მიიჩნია, რომ დ. ლ-იამ დაარღვია როგორც მ. ტ-მის სააპელაციო საჩივარზე შესაგებელის წარსადგენად სასამართლოს მიერ განსაზღვრული 21-დღიანი, ასევე შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადა, ვინაიდან ამ უკანასკნელმა შესაგებლის ფორმით შედგენილი შეგებებული სააპელაციო საჩივარი სასამართლოში წარადგინა 2008 წლის 30 ოქტომბერს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე დ. ლ-იამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დ. ლ-იას მ. ტ-მის სააპელაციო საჩივრის ასლი პირადად ჩაბარდა 2008 წლის 16 ოქტომბერს, ვინაიდან კერძო საჩივარზე დართული დ. ლ-იას პასპორტის მონაცემებით დასტურდება, რომ მხარე 3-13 ოქტომბერს იმყოფებოდა გერმანიაში. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა ის გარემოებაც, რომ დ. ლ-იამ შესაგებელი სასამართლოს მიერ დადგენილ დროს საპატიო მიზეზით ვერ წარუდგინა. დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მოპასუხისათვის ყოველთვიურად 400 ლარის დაკისრების შესახებაც, რადგან მხარეს დასახელებული თანხის გადასახდელად საკმარისი მატერიალური შესაძლებლობა არ გააჩნია.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მ. ტ-მის სააპელაციო საჩივრის ასლი დ. ლ-იას კანონის მოთხოვნათა დაცვით გაეგზავნა.

გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ სასამართლო გზავნილი 2008 წლის 6 ოქტომბერს ჩააბარდა მის ძმას -დ. ლ-იას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. ტ-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მოწინააღმდეგე მხარეს სასამართლოს მიერ დადგენილ 21-დღიან ვადაში შესაგებელი არ წარმოუდგენია.

2008 წლის 30 ოქტომბერს დ. ლ-იამ სასამართლოში შეიტანა შესაგებელი, რომლითაც მოითხოვა დ. ლ-იასათვის 70 ლარის გადახდევინების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და მოპასუხისათვის ყოველთვიურად 50 ლარის გადახდის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული შესაგებელი მიიჩნია შეგებებულ სააპელაციო საჩივრად და განუხილველად დატოვა იგი შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის დარღვევის გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და თვლის, რომ დ. ლ-იას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 409-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხა-

რები მოითხოვენ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლებზე იმსჯელებს მხოლოდ გასაჩივრებული განჩინების ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში დ. ლ-ია კერძო საჩივრით ასაჩივრებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინებას მისი შეგებებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, ასევე, სადავოდ ხდის ამავე პალატის 2008 წლის 18 ოქტომბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერებას, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრებას არ ექვემდებარება და სცილდება 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინების ფარგლებს, ამდენად, მითითებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერების ნაწილში მხარის მოსაზრებებზე საკასაციო სასამართლო ვერ იმსჯელებს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დ. ლ-იას მოსაზრებას, რომ მ. ტ-ძის სააპელაციო საჩივრის ასლი მას 2008 წლის 16 ოქტომბერს ჩაჰბარდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად კი, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატის არყოფნისას იგი ჩაჰბარდება მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლო გზავნილი 2008 წლის 6 ოქტომბერს ჩაჰბარდა დ. ლ-იას ძმას -დ. ლ-იას, რაც სადავო სააპელაციო საჩივრის მოპასუხისათვისაც ჩაბარებულად მიჩნევის საფუძველია.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 379-ე მუხლით, რომლის პირველი წინადადების მიხედვით, მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სააპელაციო საჩივრის გადაცემიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი. მითითებული ნორმა განსაზღვრავს, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 10 დღე და იგი აითვლება მოწინააღმდეგე მხარისათვის ძირითადი სააპელაციო საჩივრის ასლის ჩაბარების მომენტიდან.

საქმეში წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ სასამართლო გზავნილი მ. ტ-ძის სააპელაციო საჩივართან ერთად დ. ლ-იას ჩაჰბარდა 2008 წლის 6 ოქტომბერს, შეგებებული სააპელაციო საჩივარი კი მან 2008 წლის 30 ოქტომბერს, კანონით დადგენილი 10-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, წარადგინა. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით მისი შეგებებული სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

დ. ლ-იას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 3 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

ნას-80-413-08

23 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: თანხის ანაზღაურება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 29 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. ი-ენკომ მოპასუხე ე. პ-ოვის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხესთან (ყოფილ მეუღლესთან) საერთო საკუთრებაში არსებული ბინიდან 2/3-ის გამოყოფა.

საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 19 ივნისის სხდომაზე სარჩელის დაზუსტების შედეგად მ. ი-ენკოს საბოლოო მოთხოვნას წარმოადგენდა ე. პ-ოვისათვის გასხვისებული (სადავო) ბინის საბაზრო ღირებულების 2/3-ის თანხის, კერძოდ, 15 000 აშშ დოლარის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით მ. ი-ენკოს სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ე. პ-ოვს მოსარჩელის სასარგებლოდ 6667 ლარის გადახდა დაეკისრა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. პ-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით ე. პ-ოვის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებაზე განუხილველად იქნა დატოვებული.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დასტურდებოდა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინების ასლი, რომლითაც ე. პ-ოვს დადგენილ ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაევალა, აპელანტს სამჯერ გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით თავად მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე და ვერ ჩაჰბარდა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. 71-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება (გზავნილი) ჩაბარებულად ჩაითვლება. კანონის დასახელებულ ნორმებზე დაყრდნობით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. პ-ოვისათვის მის სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე გაგზავნილი გზავნილი საბოლოოდ მიიჩნეოდა ჩაბარებულად და აპელანტს შეეძლო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის შევსება.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლსა და ამავე კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილზე, რომელთა თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ განჩინებით დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ე. პ-ოვის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. პ-ოვმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება განპირობებულია სააპელაციო საჩივარში ე. პ-ოვის საცხოვრებელი ადგილის მისამართის არასწორად მითითებით. სააპელაციო საჩივრის შედგენისას დაშვებულია მექანიკური შეცდომა და აპელანტის ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის) აღნიშვნისას თემქის მე-11 მიკრორაიონის ნაცვლად მითითებულია თემქის მე-2 მიკრორაიონზე.

ე. პ-ოვი, რომელმაც ზემოაღნიშნული ცდომილების შესახებ არაფერი იცოდა, დარწმუნებული იყო, რომ სასამართლოს მიერ გაგზავნილ ნებისმიერ დოკუმენტაციას მის ფაქტობრივ ადგილსამყოფელზე ჩაიბარებდა. ამასთან, იგი სააპელაციო საჩივრის მსვლელობის შესახებ ინფორმაციის მიღებას ვერ ახერხებდა იმ მიზეზით, რომ მძიმე ოჯახური მდგომარეობა (როგორც ფინანსური, ისე პირადი) ასეთ შესაძლებლობას არ აძლევდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. პ-ოვის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 აგვისტოს განჩინებით ე. პ-ოვის მიეცა ვადა -განჩინების ასლის გადაცემიდან 10 დღე -სააპელაციო საჩივრის ხარვეზის შესავსებად, იმ მოტივით, რომ აპელანტს არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -186 ლარი. ხარვეზის შევსების შესახებ აღნიშნული განჩინება აპელანტს სამჯერ გაეგზავნა სააპელაციო საჩივარში დასახელებულ მისამართზე -თბილისი,, ბინა #49. სამივე შემთხვევაში სასამართლო გზავნილები სააპელაციო სასამართლოს დაუბრუნდა უკან. გზავნილის ჩაუბარებლობის მიზეზად პირველ შემთხვევაში მითითებულია მისამართის უსწორობასა და იმ გარემოებაზე, რომ . . . მე-2 მ/რ არ აქვს, სხვა შემთხვევებში მითითებულია ადრესატის ადგილზე არყოფნა. ე. პ-ოვისათვის ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ჩაბარება ასევე ვერ მოხერხდა საქმეში არსებულ სხვა მისამართზე -თბილისი, . . . , ბინა 31.

საქმის მასალებით, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოებით დგინდება, რომ მოსარჩელე მ. ი-ენკომ მოპასუხე ე. პ-ოვის მისამართად თავდაპირველად მიუთითა: თბილისი, . . . , ბინა 31. იმ მიზეზით, რომ ე. პ-ოვი აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობდა, სასამართლო გზავნილის მისთვის ჩაბარება (არაერთხელ გაგზავნის მიუხედავად) ვერ მოხერხდა. მოგვიანებით, მოსარჩელე მ. ი-ენკომ დააზუსტა ე. პ-ოვის მისამართი და ასეთად დაასახელა: თბილისი, . . . , ბინა #49. აქვე მ. ი-ენკომ მიუთითა ე. პ-ოვის პირადი ტელეფონის ნომერი, რაც საჭიროების შემთხვევაში მოპასუხის ტელეფონის საშუალებით ინფორმირების შესაძლებლობას იძლეოდა. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მოპასუხე ე. პ-ოვისათვის სასამართლო გზავნილების ჩაბარება შესაძლებელი გახდა სწორედ მ. ი-ენკოს მიერ მითითებულ დაზუსტებულ მისამართზე -თბილისი, . . . კორპუსი #38, ბინა #49.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლო უწყება ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფლის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩააბარდა 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. 73-ე მუხლის 1¹ ნაწილი ითვალისწინებს, რომ თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილის შინაარსი, რომელიც უწყების ადრესატისათვის ჩაუბარებლობის პირობებში სასამართლოს მისთვის ცნობილ სხვა მისამართზე უწყების გაგზავნას ავალდებულებს, შემდეგნაირად უნდა განიმარტოს: სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართში უწინარესად იგულისხმება ის მისამართი, რომელზეც სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარება მანამდე შესაძლებელი იყო. სხვაგვარად, სასამართლო უწყების (გზავნილის) დამატებით გაგზავნა აზრს დაკარგავს და არარეალურ მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში შედეგად მხარისათვის სასამართლო გზავნილის კვლავ ჩაუბარებლობას მივიღებთ.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ უწყება დამატებით გაგზავნილია ისევ იმ მისამართებზე, რომლებზეც ე. პ-ოვს კორექსონდენცია არ ბარდებოდა (თბილისი, . . . , ბინა #49 და თბილისი, . . . კორპუსი 7, ბინა 31), მაშინ, როდესაც საქმეში არსებობდა სხვა მისამართზე

(თბილისი, . . . , კორპუსი #38, ბინა #49) ე. პ-ოვისათვის სასამართლო შეტყობინებების ჩაბარების დასტური, რაზეც ზემოთ უკვე აღინიშნა. ამასთან, საქმეში მოიპოვებოდა ე. პ-ოვის ტელეფონის ნომერიც, რაც მისი ინფორმირების შესაძლებლობას ასევე იძლეოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ ხელახლა უნდა უზრუნველყოს ხარვეზის შესახებ განჩინების ე. პ-ოვისათვის გაგზავნა და ჩაბარება, რის შემდეგაც უნდა გადაწყვიტოს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. პ-ოვის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-126-456-08

23 მარტი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ქორწინების შეწყვეტა, ქონების გაყოფა და ალიმენტის დაკისრება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 17 სექტემბერს ნ. ა-მემ (წარმომადგენელი დ. ა-შვილი) სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე ი. ზ-შვილის მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის არსებული ქორწინების შეწყვეტა, ქონების გაყოფა და მოპასუხისათვის ალიმენტის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - ი. ზ-შვილს და ნ. ა-მეს შორის რეგისტრირებული ქორწინება შეწყდა. ნ. ა-მე ცნობილ იქნა ქ. თბილისში, . . . #8-ში მდებარე, ი. ზ-შვილის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 2\3-ის მესაკუთრედ; ი. ზ-შვილს დაეკისრა ნ. ა-მის სასარგებლოდ არასრულწლოვანი შვილების -რ. და თ. ზ-შვილების რჩენა-აღზრდისათვის ალიმენტი -ყოველთვიურად 150-150 ლარი, სულ -300 ლარი, 2008 წლის 17 სექტემბრიდან მათ სრულწლოვანებამდე.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ზ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების გაუქმება ნ. ა-მის ქონების 2\3-ის მესაკუთრედ ცნობისა და ალიმენტის -300 ლარი დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით ნ. ა-მის ბინის 1\2-ის მესაკუთრედ ცნობა და თითოეულ ბავშვზე ალიმენტის -100-100 ლარის, სულ -200 ლარის დაკისრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ი. ზ-შვილს დაუდგინდა ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე და დაევალა განჩინების ჩა-

ბარებიდან 10 დღის ვადაში დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა და მისი 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხარვეზის შესახებ განჩინება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ი. ზ-შვილს გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2008 წლის 29 დეკემბერს სააპელაციო საჩივარში მითითებულ სამუშაო ადგილის მისამართზე, მაგრამ მან განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ არ წარადგინა, რის გამოც სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. ზ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ ი. ზ-შვილს თავის მიერ მითითებულ ალტერნატიულ მისამართზე -სამუშაო ადგილზე ჩაჰბარდა ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი. თუკი ი. ზ-შვილის სამუშაო ადგილას -ქ. თბილისის მერიაში მართლაც შევიდა განჩინების ასლი, ამის შესახებ მისთვის არ უცნობებიათ. თუ რა მიზეზით ვერ მიაღწია განჩინებამ ადრესატამდე, მისთვის უცნობია. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი ი. ზ-შვილს აგრეთვე არ ჩაბარებია მის მიერ მითითებულ ძირითად მისამართზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ზ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინებით ი. ზ-შვილს დაუდგინდა ხარვეზი სააპელაციო საჩივარზე და დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში დავის საგნის ღირებულების განსაზღვრა და მისი 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 22 დეკემბრის განჩინება ი. ზ-შვილს გაეგზავნა და ჩაჰბარდა 2008 წლის 29 დეკემბერს მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ განჩინების ასლი მისთვის ჩაბარებულად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან მას პირადად არ გადასცემია. განჩინების გზავნილის ჩაბარების დასტურით დგინდება, რომ გზავნილი ჩაბარებულია კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული, თავისი სამუშაო ადგილის მისამართზე 2008 წლის 29 დეკემბერს, რაც დადასტურებულია გზავნილის მიმღების ხელმოწერით. საქმის მასალებით ასევე, დგინდება, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გზავნილი გაიგზავნა მისი ძირითადი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მისამართზეც, მაგრამ ოჯახის წევრმა გზავნილი არ ჩაიბარა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილია სასამართლო შეტყობინებისა და დაბარების წესი. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ან/და პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, თუ საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი აღარ მიიღება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი. ზ-შვილმა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, რის გამოც სააპელაციო საჩივრი სწორად იქნა დატოვებული განუხილველად. შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ზ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 იანვრის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უწყების ჩაბარება;
კერძო საჩივრის დაუშვებლად ცნობა**

განჩინება

#ას-297-619-09

6 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
მოსამართლე რ. ნადირიანი**

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დ. მ-ძის კერძო საჩივრის დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებაზე.

პალატამ გამოარკვია:

2007 წლის 17 დეკემბერს ყ. ფ-ძემ, ვ. ქ-ძემ, დ. გ-ძემ და სხვებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში მოპასუხე დ. მ-ძის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა დ. მ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც გაასაჩივრა დ. მ-ძემ სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 15 სექტემბრის განჩინებით დ.მ-ძეს განესაზღვრა ვადა ხარვეზის შესავსებად.

სააპელაციო პალატის 2008 წლის 20 ოქტომბრის განჩინებით დ.მ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა დ. მ-ძემ და მოითხოვა მისი გაუქმება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ დ. მ-ძის კერძო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 416-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰბარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ გასაჩივრებული განჩინება კერძო საჩივრის ავტორს მის მიერ მითითებულ მისამართზე გაეგზავნა ორჯერ, მაგრამ ფოსტიდან დაბ-

რუნდა შეტყობინება, რომ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებმა დ. მ-მემ უარი განაცხადა აღნიშნული განჩინების ჩაბარებაზე იმ საფუძველით, რომ მას არ ეკუთვნოდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ გასაჩივრებული განჩინების ასლი კერძო საჩივრის ავტორს პირველად გაეგზავნა 2008 წლის 28 ოქტომბერს, მეორედ კი - 2008 წლის 18 ნოემბერს, ხოლო კერძო საჩივარი დ. მ-მემ შეიტანა 2009 წლის 11 მარტს, ე.ი. გასაჩივრების 12-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის განხილვა ზემდგომ სასამართლოში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

ამავე კოდექსის 401-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი. თუ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი დაუშვებელია და განუხილველად უნდა დარჩეს.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე, 284-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

დ. მ-მის კერძო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.
განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

#ას-304-625-09

14 მაისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, საჯარო რეესტრის მონაცემებში ცვლილების შეტანა, ბინიდან გამოსახლება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 27 ნოემბერს ზ. თ-მემ სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე შ. თ-მის მიმართ და მოითხოვა მამის -ა. თ-მის სამკვიდრო ქონებაზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა, აგრეთვე, საჯარო რეესტრის ჩანაწერში სათანადო ცვლილების შეტანა.

2008 წლის 2 მაისს შ. თ-მემ შეგებებული სარჩელით მიმართა იმავე სასამართლოს ზ. თ-მის მიმართ და მოითხოვა მისი გამოსახლება თბილისში, ... ქ. #59-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით ზ. თ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, შ. თ-მის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა -ზ. თ-მე გამოსახლებულ იქნა თბილისში, ... ქ. #59-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან, რომელიც თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა შ. თ-მეს.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. თ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ან საქმის ხელახლა განსახილველად საქალაქო სასამართლოსათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 1 დეკემბრის განჩინებით ზ. თ-ძეს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა განჩინების ასლის გადაცემიდან 10 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში სადავო უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ამ ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის (სარჩელის დავის საგნის ღირებულების მიხედვით), ასევე, სახელმწიფო ბაჟის -160 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის (შეგებებული სარჩელის დავის საგნის ღირებულების მიხედვით) წარდგენა.

ზემოთხსენებული განჩინებით დადგენილ საპროცესო ვადაში ზ. თ-ძემ სააპელაციო სასამართლოში განცხადება წარადგინა, რომელსაც თან დაურთო სახელმწიფო ბაჟის -165 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. განმცხადებელმა განმარტა, რომ გადახდილი თანხა წარმოადგენდა სადავო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების (2500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი) 4%-ს, რის შესაბამისადაც სარჩელის მოთხოვნაზე ხარვეზი შევსებულად უნდა მიჩნეულიყო. რაც შეეხებოდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნას, ზ. თ-ძის აზრით, მას აღნიშნულ მოთხოვნაზე სახელმწიფო ბაჟი არ უნდა დაკისრებოდა, რამდენადაც მემკვიდრედ და მესაკუთრედ მოთხოვნის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილება თავისთავად განაპირობებდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარს.

ამდენად, განმცხადებელი, ერთი მხრივ, ითხოვდა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შევსებულად მიჩნევას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში -შუამდგომლობდა განჩინებით დადგენილი საპროცესო ვადის გაგრძელებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე დარჩენილი თანხის გადახდის გადავადებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინებით აპელანტს გაურძღვდა ხარვეზის შევსების ვადა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღით.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, აპელანტის მიერ წარდგენილი იყო 165 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი სარჩელის დავის საგნის (მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობა) ღირებულების მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილშიც, რომლის დავის საგანს წარმოადგენდა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტს ასევე უნდა გადაეხადა სახელმწიფო ბაჟი შეგებებული სარჩელის დავის საგნის ღირებულების მიხედვით, კერძოდ, 160 ლარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინებით ზ. თ-ძის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ განჩინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ზ. თ-ძეს ჩაჰბარდა 2009 წლის 18 იანვარს, ხოლო მის მიერ განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ შეტანილ იქნა 2009 წლის 26 იანვარს, განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების ვადის დარღვევით, რის გამოც სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას ექვემდებარებოდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ზ. თ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მას 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინება ჩაჰბარდა 2009 წლის 18 იანვარს. ხარვეზის შესახებ განჩინების ასლი ჩაიბარა მ. დ-ძემ, რომელთანაც იგი განქორწინებულია ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს 1977 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილებით, შესაბამისად, იგი არ წარმოადგენდა აპელანტის ოჯახის წევრს და გზავნილის მიღებაზე უფლებამოსილ პირს. მითითებული პირისათვის გზავნილის ჩაბარება არ შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით გზავნილის ჩაბარებად.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან განჩინების გზავნილი ნახა 2009 წლის 25 იანვარს, როდესაც ბაკურიანიდან შინ დაბრუნებულს აღნიშნული დოკუმენტი დახვდა სახლის კარში, ხოლო მ. დ-ძის მიერ გზავნილის ჩაბარების შესახებ შეიტყო მხოლოდ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინების ჩაბარების შემდეგ. შესაბამისად, მას არ გაუშვია განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა და სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი არ არსებობდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო

საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება და ზ. თ-ძის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ზ. თ-ძემ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სრულად, როგორც სარჩელის დაუკმაყოფილებლობის, ისე, შეგებებული სარჩელის დაუკმაყოფილების ნაწილში. სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 1 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, კერძოდ, აპელანტს დაევალა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სადავო უძრავი ნივთის საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისა და ამ ღირებულების 4%-ის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის (სარჩელის დავის საგნის ღირებულების მიხედვით), ასევე სახელმწიფო ბაჟის -160 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის (შეგებებული სარჩელის დავის საგნის ღირებულების მიხედვით) წარდგენა. ხარვეზის შევსების შესახებ განჩინების ჩაბარების შემდგომ, დადგენილ საპროცესო ვადაში, აპელანტმა სასამართლოში წარადგინა სარჩელის დავის საგნის ღირებულების შესაბამისი სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. აქედან გამომდინარე, მითითებულ ნაწილში სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოება სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო აღარ არსებობდა, რის გამოც ამ ნაწილში სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვებას არ ექვემდებარებოდა.

რაც შეეხება შეგებებული სარჩელის ნაწილში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობას, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული მოთხოვნის ნაწილში ასევე არ არსებობს სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოება ხარვეზის შევსების ვადის გაშვების გამო.

საქმეზე დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარში ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ 2008 წლის 26 დეკემბრის განჩინების ზ. თ-ძისათვის განკუთვნილი ასლი ჩაჰბარდა მ. დ-ძეს. კერძო საჩივარზე თანდართულია ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს 1997 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ზ. თ-ძესა და მ. დ-ძეს შორის არსებული ქორწინება შეწყვეტილია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს ამ კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი განსახილველ საქმეში მონაწილეობენ როგორც მოწინააღმდეგე მხარეები. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

იმის გათვალისწინებით, რომ ზ. თ-ძესა და მისთვის განკუთვნილი განჩინების მიმღებ პირს - მ. დ-ძეს შორის ქორწინება შეწყვეტილია, ეს უკანასკნელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ, სასამართლო გზავნილის მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტად ვერ ჩაითვლება. შესაბამისად, სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადის ათვლა განჩინების მ. დ-ძისათვის ჩაბარების დღეს არ უნდა დაუკავშირდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 5 თებერვლის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში; სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-438-752-09

18 ივნისი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ს-ავამ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სს "ენერგო პრო ჯორჯიას" მიმართ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან მისი კუთვნილი ტრანსფორმატორის გამოთხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელე ბ. ს-ავას სარჩელი უსაფუძვლოდ გამო არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. ს-ავამ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მხარე ბ. ს-ავასათვის გადასაცემად ჩაიბარა რძალმა ლ. ფ-მემ (ოჯახის წევრმა) 2009 წლის 6 მარტს, ხოლო სააპელაციო საჩივარი კი ბ. ს-ავას მიერ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ იქნა 2009 წლის 13 აპრილს, ანუ გასაჩივრების 14-დღიანი ვადის დარღვევით.

პალატამ მიიჩნია, რომ ბ. ს-ავას მიერ სააპელაციო საჩივარი შეტანილია კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. ს-ავამ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გაშვებული აქვს გასაჩივრების 14-დღიანი ვადა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. საქმეში არსებობს მისი 31.03.09 წ. განცხადება, რომლითაც ირკვევა, რომ გადაწყვეტილების დროულად მიღებაზე პირადად რამდენჯერმე დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიბარა იგი 2009 წლის 1 აპრილს, ხოლო მისი ჩაბარებიდან მე-12 დღეს შეიტანა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად სააპელაციო საჩივარი შეტანილი აქვს კანონით დადგენილ ვადაში.

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების 06.03.09 წელს მისი რძლისათვის ჩაბარებას, იგი ცნობილი გახდა მხოლოდ 01.04.09 წელს, როცა სასამართლოში მივიდა გადაწყვეტილების ასლის მისაღებად.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო სასამართლო სწორედ ამ ფაქტს დაეყრდნო როცა მისი საჩივარი განუხილველი დატოვა, რითაც უხეშად დარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მოთხოვნები. საქმეში მართალია გადაწყვეტილება ჩაიბარა მისმა რძალმა - ლ. ფ-მემ, მაგრამ იგი ცხოვრობს სხვა მისამართზე, კერძოდ ... ქუჩა #91 და მასთან იმყოფებოდა სტუფმრად და არ წარმოადგენს მისი ოჯახის წევრს, თანაც ჩვილი ბავშვის დედაა და, როგორც თავად იხსენებს, სასამართლო წარმომადგენლის მოსვლის დროს ბავშვის ტიროდა და ვერ გააცნობიერა, თუ რა დოკუმენტზე აწერდა ხელს, შემდეგ ის ქალაქიდან თაროზე შემოდა და დაავიწყდა მისთვის გადაცემა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბ. ს-ავამ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინებით ბ. ს-ავას სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის

დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარებად ითვლება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად ჩაბარება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი ბ. ს-ავას გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე და ჩაიბარა ბ. ს-ავას რძალმა ლ. ფ-ძემ (ოჯახის წევრმა) 2009 წლის 6 მარტს.

კერძო საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ მას გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით არ ჩაჰბარებია, ვინაიდან ლ. ფ-ძე, რომელსაც ჩაჰბარდა სასამართლო გზავნილი, არ ცხოვრობს ბ. ს-ავას ოჯახში და არ წარმოადგენს ოჯახის წევრს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. ამავ კოდექსის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყების მიღებაზე 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სუბიექტის უარის შემთხვევაში სასამართლო უწყება არ ჩაითვლება მოპასუხისათვის ჩაბარებულად. საკასაციო პალატას მიაჩნია რომ მოცემულ შემთხვევაში უწყება ჩაიბარა ბ. ს-ავას რძალმა, როგორც ოჯახის წევრმა, ხოლო ლ. ფ-ძეს უარი არ განუცხადებია სასამართლო გზავნილის ჩაბარებაზე, შესაბამისად, მან თავის თავზე აიღო ბ. ს-ავასათვის გზავნილის გადაცემის ვალდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ბ. ს-ავამ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილება ჩაიბარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით -2009 წლის 6 მარტს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონმდებლობით დადგენილი 14 დღიანი ვადის გასვლის შემდგომ -2009 წლის 13 აპრილს და შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო, დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რადგან მხარემ კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი შესაბამის სასამართლოში, დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბ. ს-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2009 წლის 22 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო უწყების გაგზავნა, ჩაბარება

განჩინება

#ას-371-690-09

22 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 3 დეკემბერს ე. ო-ოვმა სარჩელით მიმართა დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების ნ. ნ-შვილისა და დ. ლ-შვილის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა, მოპასუხეებს დავალებოდათ დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ... „ჩათმის“ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 630,0 ჰა მიწის ნაკვეთზე იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელება.

დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2008 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. ო-ოვის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ო-ოვმა (წარმომადგენელი ვ. კ-ძე), რომელმაც მოითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინებით ე. ო-ოვის (წარმომადგენელი ვ. კ-ძე) სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი მისი მთავარ სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო, მოპასუხეთა შუამდგომლობის საფუძველზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ სასამართლო უწყებები აპელანტ ე. ო-ოვსა და მის წარმომადგენელს გაეგზავნათ მათ მიერ მითითებულ მისამართზე (საგარეჯოს რაიონი, სოფ. ... და ქ. რუსთავი, ... 3-32), უწყება ე. ო-ოვს ჩაჰბარდა პირადად, ხოლო მის წარმომადგენელ ვ. კ-ძეს -მეუღლის -მ. ბ-შვილის მეშვეობით, რაც დასტურდება მათი ხელმოწერებით;

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, აგრეთვე, რომ აპელანტსა და მის წარმომადგენელს სასამართლოსათვის არ უცნობებიათ გამოუცხადებლობის რაიმე საპატიო მიზეზის თაობაზე და რომ მათგან ასევე არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ო-ოვმა (წარმომადგენელი ვ. კ-ძე), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, თვითონ და მისი წარმომადგენელი ვ. კ-ძე არ იყვნენ ინფორმირებულნი სასამართლო პროცესის ჩატარების თაობაზე; კერძოდ, მის წარმომადგენელ ვ. კ-ძეს სასამართლო უწყება ჩაჰბარდა არა 2009 წლის 11 მარტს სასამართლო სხდომის გამართვის შესახებ, არამედ -2009 წლის 19 მარტს 11 საათზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მათთვის უცნობი იყო სასამართლო პროცესის 2009 წლის 11 მარტისათვის დანიშნის შესახებ.

კერძო საჩივრის ავტორმა კერძო საჩივარს თან დაურთო იმ უწყების დედანი, სადაც აღნიშნულია, რომ მხარეები სასამართლო სხდომაზე დაბარებულნი იყვნენ არა 2009 წლის 11 მარტს, არამედ 2009 წლის 19 მარტს 11 საათზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ო-ოვის (წარმომადგენელი ვ. კ-ძე) კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელი უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეულ საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმო-

მადგენლისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული ძირითადი მისამართის მიხედვით (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსთვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით, ხოლო 73-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისთვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩააბარდეს პირადად. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამ შემთხვევაში უწყების ჩაბარებაში იგულისხმება ადრესატის ინფორმირება სასამართლო სხდომის შესახებ უტყუარი ინფორმაციით, რაც გამორიცხავს მისი შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში, კერძო საჩივარი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მხარე სწორად არ იყო ინფორმირებული სასამართლო სხდომის დროის შესახებ, რის დამადასტურებლად წარმოდგენილია მხარის მიერ ჩაბარებული სასამართლო უწყება. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნულ მსჯელობას არ იზიარებს. კერძო საჩივრის ავტორის მიერ თავისი მსჯელობის სისწორის დამადასტურებლად წარმოდგენილი უწყება გაგზავნილია სრულიად სხვა საქმეზე იმავე მხარეების მონაწილეობით, უწყებაში მითითებული საქმის ნომერია 28/2122.08, დავის საგანი -ზარალის ანაზღაურება, საკუთრების უფლების ხელშეშლის აღკვეთა, ხოლო საქმის განმხილველი მომხსენებელი მოსამართლეა -თ. ე-შვილი. მოცემული საქმის სააპელაციო წარმოების ნომერი კი არის 28/2121-08, დავის საგანი -იჯარის სახელშეკრულებო ურთიერთობების გაგრძელება, ხოლო საქმის განმხილველი მომხსენებელი მოსამართლეა -გ. გ-შვილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ კერძო საჩივარზე თანდართული უწყება გაგზავნილია მოცემულ საქმეზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმის მასალების თანახმად, 2009 წლის 11 მარტის სხდომის შესახებ მხარეები კანონით დადგენილი წესით იყვნენ ინფორმირებულნი, კერძოდ, უწყება ჩაბარებული აქვს წარმომადგენელ ვ. კ-მეს მისი ოჯახის წევრის მეშვეობით 2009 წლის 27 იანვარს, ხოლო ე. ო-ოვს -2009 წლის 1 თებერვალს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ე. ო-ოვის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 მარტის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

#ას-287-609-09

25 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილებით ვ. მ-იანის სარჩელი შპს "თბილისის წყლის" მიმართ დამლის დადების აქტის ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ვ. მ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით ვ. მ-იანის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ვ. მ-იანმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება იმ მოტივით, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი მის მეუღლეს ჩაჰბარდა არა 2009 წლის 16 იანვარს, როგორც ეს მითითებულია გასაჩივრებულ განჩინებაში, არამედ 2009 წლის 17 იანვარს, შესაბამისად, მისი განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის თანახმად, ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2009 წლის 18 იანვრიდან, ამდენად, გასაჩივრების ბოლო ვადა იყო არა 2009 წლის 30 იანვარი, არამედ -31 იანვარი, შაბათი დღე. ვინაიდან გასაჩივრების ბოლო ვადა დაემთხვა არასამუშაო დღეს, საჩივარი წარადგინა ორშაბათს, 2009 წლის 2 თებერვალს, შესაბამისად, მას გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა არ დაურღვევია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ვ. მ-იანის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ-ის 74-ე მუხლში, კერძოდ, მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი ვ. მ-იანის მეუღლეს -თ. მ-ძეს უშუალოდ ჩაჰბარდა 2009 წლის 16 იანვარს, ხოლო ვ. მ-იანმა სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2009 წლის 2 თებერვალს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2009 წლის 30 იანვარი.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების ასლი მის მეუღლეს ჩაჰბარდა არა 2009 წლის 16 იანვარს, როგორც ეს მითითებულია გასაჩივრებულ განჩინებაში, არამედ -2009 წლის 17 იანვარს. აღნიშნულ განმარტებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია ვ. მ-იანის მეუღლის -თ. მ-ძის მიერ დაწერილი ხელწერილი, რომლითაც ჩაბარების თარიღად თ. მ-ძე უთითებს 2009 წლის 16 იანვარს. ამდენად, ვ. მ-იანის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევით და, შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საჩივარი სწორად ცნო დაუშვებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ვ. მ-იანის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

#ას-622-930-09

2 ივლისი 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

დავის საგანი: დებიტორული დავალიანების ანაზღაურება – თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს „ბორჯომი-ლიკანის“ სარჩელი მოპასუხე ო. დ-შვილის მიმართ დებიტორული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი იქნა შეტანილი ო. დ-შვილის წარმომადგენლის თ. კ-ძის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

პალატის განმარტებით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე და მისი დენა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება აპელანტს ჩაჰბარდა 2009 წლის 27 აპრილს.

ო. დ-შვილის წარმომადგენელმა თ. კ-ძემ სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიას ჩააბარა 2009 წლის 14 მაისს.

პალატის განმარტებით, აპელანტს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში უნდა წარედგინა 2009 ოქტომბრის 11 მაისის ოცდაათხუთხუთამდე. უემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ო. დ-შვილმა დაარღვია სააპელაციო საჩივრის აღძვრის საპროცესო კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილი 14-დღიანი ვადა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ო. დ-შვილის წარმომადგენელმა თ. კ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, განჩინებაში მითითებულია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება მას ჩაბარდა 2009 წლის 27 აპრილს, სინამდვილეში კი გადაწყვეტილება საერთოდ არ ჩაბარებია. იგი მოტივირებულ გადაწყვეტილებას გაეცნო 2009 წლის 14 მაისს და იმავე დღესვე წარადგინა სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიაში.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, საფოსტო გზავნილით დასტურდება ის ფაქტი, რომ სასამართლო გადაწყვეტილება ჩაბარდა ო. დ-შვილის დედას ვ. დ-შვილს, რადგან ადრესატი ამ დროისათვის თბილისში არ იმყოფებოდა. კონვერტის გადაცემა კი მოხდა მოპასუხის დაბრუნებისთანავე.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ვ. დ-შვილისათვის არ აუხსნიათ, რომ საჭირო იყო საფოსტო გზავნილზე შესაბამისი აღნიშვნების გაკეთება, ან გზავნილის დაუყოფ-

ნებლივ გადაცემის ვალდებულების აღება. ამგვარად, ო. დ-შვილის, ოჯახის წევრის ან მისი წარმომადგენლისათვის მოტივირებული გადაწყვეტილების ჩაბარება არ მომხდარა საპროცესო ნორმების დაცვით.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმეზე წარმოდგენილ კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინებით ო. დ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარებად ითვლება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად ჩაბარება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება ო. დ-შვილს გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისამართზე და ჩაიბარა დედამისმა -ვ. დ-შვილმა 2009 წლის 27 აპრილს.

კერძო საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას გადაწყვეტილება საერთოდ არ ჩაჰბარებია, იგი ჩაჰბარდა ო. დ-შვილის დედას, მისთვის კი არ განუმარტავთ, რომ საჭირო იყო გზავნილის დაუყოვნებლივ გადაცემა. ო. დ-შვილი ამ დროისათვის თბილისში არ იმყოფებოდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსაძახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. ამავე კოდექსის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყების მიღებაზე 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სუბიექტის უარის შემთხვევაში სასამართლო უწყება არ ჩაითვლება მოპასუხისათვის ჩაბარებულად. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში უწყება ჩაიბარა ო. დ-შვილის დედამ, როგორც ოჯახის წევრმა, შესაბამისად, მან თავის თავზე აიღო ო. დ-შვილისათვის გზავნილის გადაცემის ვალდებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ო. დ-შვილმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება ჩაიბარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით -2009 წლის 27 აპრილს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა კანონმდებლობით დადგენილი 14 დღიანი ვადის გასვლის შემდგომ -2009 წლის 14 მაისს და შესაბამისად, სააპელაციო პალატა უფლებამოსილი იყო, დაეტოვებინა სააპელაციო საჩივარი განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხარემ დაკარგა აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება, ვინაიდან კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ შეიტანა სააპელაციო საჩივარი შესაბამის სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ო. დ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 მაისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შეტყობინება სასამართლო სხდომის დროისა და ადგილის შესახებ

განჩინება

#ას-586-893-09

15 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: დივიდენდების მიღება ბანკის საწესდებო კაპიტალში შეტანილი რუსული მანეთების გაანგარიშებით, მეპაიედ აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 18 აგვისტოს რ. და ი. კ-ძეებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე "გაერთიანებული ქართული ბანკის" წინააღმდეგ და მოითხოვეს დადგენილიყო, რა თანხა იქნა გადატანილი ანაბრებიდან საპაიო ბანკის საწესდებო კაპიტალში და დავალებოდა მოპასუხეს, როგორც საპაიო ბანკის უფლებამონაცვლეს, მათთვის ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელები მიუთითებდნენ, რომ 1994 წლის მაისისათვის შემნახველ სალაროში ჰქონდათ გარკვეული რაოდენობის თანხა: რ. კ-ძეს -ნაშთი 462168, მათ შორის, 128061 მანეთი და 334107 კუპონი; ი. კ-ძეს -ნაშთი 241023, მათ შორის, 169068 მანეთი და 71955 კუპონი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციული შემნახველი ბანკის სახელმწიფო საპაიო-კომერციულ შემნახველ ბანკად გარდაქმნასთან დაკავშირებით მოსარჩელებს მიატანიეს მენაბრის შემნახველი სალაროს წიგნაკი და პასპორტი და საწესდებო კაპიტალში გადაიტანეს რ. კ-ძის ანგარიშიდან 128061 მანეთი და ი. კ-ძის ანგარიშიდან -169068 მანეთი. გადატანილი მანეთები დააფიქსირეს კუპონებში შეფარდებით 1:1.

1995 წელს, როდესაც საპაიო კომერციული ბანკის ნაცვლად შეიქმნა „გაერთიანებული ქართული ბანკი“, კუპონები შეაფარდეს 814000-თან, ანუ მაშინდელ კურსზე კუპონისა დოლართან და გაანულეს.

სარჩელში მითითებულია, რომ მოსარჩელებმა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით 2000 წელს მიმართეს სასამართლოს ი. ჩ-შვილის მიმართ, რაც უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 2 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მოთხოვნა აღძრული უნდა ყოფილიყო ბანკის მიმართ. სარჩელი მოპასუხე გაერთიანებული ქართული ბანკის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელებმა განმარტეს, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მოიპოვეს ახალი გარემოებები, კერძოდ, 1994 წლის 25 მარტის სახელმწიფო მეთაურის #85 ბრძანება, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1994 წლის 12 აპრილის #36 ბრძანებით დამტკიცებული „წესები“, რომლის მე-8 პუნქტის თანახმად, მენაბრეს, რომელმაც სურვილი გამოთქვა, გახდეს საპაიო კომერციული შემნახველი ბანკის მეპაიე, საწესდებო კაპიტალში გადარიცხული თანხის დივიდენდი მიეცემა ბანკის რეგისტრაციაში გატარების დღიდან და წელიწადში ერთხელ.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ დაუშვებელი იყო ფიზიკური და იურიდიული პირის ანგარიშისა და ანაბრის ერთმანეთთან გაიგივება, რადგან კანონმდებლობა მათ განსხვავებულ განმარტებებს იცნობდა.

2007 წლის 18 ივლისს რ. კ-ძემ დაუზუსტებელი სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს როგორც ვ. კ-ძის უფლებამონაცვლემ და მოითხოვა მენაბრედ ან მეპაიედ აღდგენა, მოპასუხისათვის წლების მიხედვით დივიდენდის მიუღებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რაც 2612 ლარს შეადგენდა.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და მიუთითა, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტისა და ეროვნული ბანკის 1993 წლის 24 ივლისის #575 დადგენილების თანახმად, 1993 წლის 3 აგვისტოდან კუპონი გამოცხადდა ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად და ბანკებს დაევალებათ აღნიშნული თარიღიდან იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული ნაშთების გადაყვანა მანეთიდან კუპონზე, შეფარდებით 1:1, რის გამოც რ. და ი. კ-ძეების ანაბრებზე რიცხული თანხა გადაყვანილ იქნა კუპონზე, რასაც ადასტურებდა თავად მოსარჩელების 1994 წლის 13 და 19 მაისის განცხადებები.

მოპასუხის წარმომადგენელმა უსაფუძვლოდ მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების ნაწილში და განმარტა, რომ ბანკის მხრიდან მოსარჩელებზე ზიანის მიყენების ფაქტი არ დგინდებოდა. ამასთან, აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება.

მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ, თუ სასარჩელო მოთხოვნა ეხებოდა არა ზიანს, არამედ დივიდენდებს, აღნიშნული მოთხოვნაც უსაფუძვლო იყო, ვინაიდან ბანკს 1999 წლამდე დივიდენდი საერთოდ არ გაუცია. რაც შეეხება 1999 წლის შემდგომ პერიოდს, ი. კ-მეს დივიდენდის მიღების მოთხოვნით ბანკისათვის არ მიუმართავს, შესაბამისად, უარიც არ მიუღია, ხოლო რ. კ-მემ კუთვნილი აქციები გაასხვისა 1998 წელს.

რაც შეეხებოდა რ. კ-მის, როგორც ვ. კ-მის უფლებამონაცვლის 2007 წლის 18 ივლისის სარჩელს, სს „ვითობი ბანკი ჯორჯიას“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სარჩელს არ ახლდა მტკიცებულება იმისა, რომ რ. კ-მე ვ. კ-მის მემკვიდრე და უფლებამონაცვლე იყო, ამასთან, მოთხოვნა იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, ვინაიდან 1998 წლის 1 დეკემბერს ვ. კ-მემ გაასხვისა კუთვნილი აქციები და ამ დროიდან აქციონერს აღარ წარმოადგენდა. ვ. კ-მეს 1998 წლიდან 2002 წლამდე (გარდაცვალებამდე) აქციების გასხვისების ფაქტთან დაკავშირებით პრეტენზია არ განუცხადებია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით რ. და ი. კ-მეების და ვ. კ-მის უფლებამონაცვლე რ. კ-მის სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელების მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ერთობლივი 1993 წლის 24 ივლისის #575 დადგენილების მე-5 პუნქტში გაკეთებული დათქმა, რომ საბანკო დაწესებულებების მიერ 1993 წლის 3 აგვისტოდან იურიდიული და ფიზიკური პირების ანგარიშებზე არსებული ნაშთები გადაყვანილ უნდა იქნეს მანეთიდან კუპონზე შეფარდებით 1:1, ეხებოდა მხოლოდ ბანკის ანგარიშებს და არა ანაბრებს, რადგან სასამართლოს მოსაზრებით, ბანკის ანაბარი სხვა არაფერი იყო, თუ არა ბანკის ანგარიშის ერთ-ერთი სპეციფიკური სახე.

სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოთხოვნა დივიდენდების მიღების შესახებაც, ვინაიდან საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ 1999 წლამდე „გაერთიანებულ ქართულ ბანკს“ აქციონერებზე დივიდენდები არ გაუცია, ხოლო 1999 წლიდან ვ. კ-მე და რ. კ-მე აღარ წარმოადგენდნენ ამ ბანკის აქციონერებს, ი. კ-მეს არც მიუმართავს ბანკისათვის დივიდენდის მიღების მოთხოვნით, შესაბამისად, უარიც არ მიუღია.

სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, ასევე, რ. კ-მის, როგორც ვ. კ-მის უფლებამონაცვლის მოთხოვნა მეპაიედ აღდგენის შესახებ, ვინაიდან 1998 წელს ვ. კ-მემ გაასხვისა გაერთიანებულ ქართულ ბანკში კუთვნილი აქციები და გასხვისების კანონიერება სადავოდ არ გაუხდია. ამასთან, საპაიო ბანკი აღარ არსებობდა, შესაბამისად, მეპაიედ აღდგენას საფუძველი აღარ გააჩნდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს რ. და ი. კ-მეებმა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში, იმ საფუძველით, რომ სასამართლოს არ უმსჯელია სასარჩელო მოთხოვნებზე, ასევე, მტკიცებულებანი უკანონოდ ჩათვალა საქმისათვის მნიშვნელობის არმქონედ. ამასთან, არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლი.

2009 წლის 14 მაისს გამართულ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტები -რ. და ი. კ-მეები, რომელთაც სასამართლო სხდომის დღე ეცნობათ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლის შუამდგომლობა. რ. და ი. კ-მეების სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებაზე განუხილველად იქნა დატოვებული.

რ. და ი. კ-მეებმა კერძო საჩივრით მოითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება, იმ საფუძველით, რომ მათ სასამართლო სხდომის დღედ ეცნობათ 2009 წლის 21 მაისი და არა 2009 წლის 14 მაისი, როდესაც გამოტანილ იქნა განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, რ. და ი. კ-ძეების კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საპროცესოსამართლებრივი საფუძვლების არსებობის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები-სა და 229-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აპელანტის საქმის ზეპირ განხილვაზე გამოუცხადებლობისას, მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით დასაშვებია სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება. ამასთან, დადგენილია, რომ აპელანტებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად ეცნობათ სასამართლოს სხდომის დროისა და ადგილის შესახებ. მიუხედავად ამისა, მათ არ მიუმართავთ სასამართლოსათვის საპატიო მიზეზის გამო საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორების მსჯელობას, რომ მათ სააპელაციო სასამართლოში სხდომის დღედ ეცნობათ 2009 წლის 21 მაისი და არა 2009 წლის 14 მაისი, როდესაც გამოტანილ იქნა სააპელაციო სასამართლოს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, მხარეები სასამართლო სხდომაზე შეიძლება დაიბარონ როგორც უწყებით, ისე ტელეფონით, დეკემით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დეგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. მოცემულ შემთხვევაში რ. და ი. კ-ძეები სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 მაისის სხდომაზე მოწვეულ იქნენ სატელეფონო შეტყობინების მეშვეობით, რაზედაც საპროცესო მოთხოვნის შესაბამისად შედგა აქტები და სატელეფონო საუბრის კომპიუტერული ჩანაწერი, რომლებიც წარმოდგენილია საქმეში. აღნიშნული აქტებისა და კომპიუტერული ჩანაწერის მეშვეობით ცალსახად დგინდება, რომ კერძო საჩივრის ავტორებს -ი. და რ. კ-ძეებს სააპელაციო სასამართლოს სხდომის დღედ ეცნობათ 2009 წლის 14 მაისი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი. და რ. კ-ძეების კერძო საჩივარი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ი. და რ. კ-ძეების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 მაისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-707-1008-09

28 ივლისი, 2009წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: მესაკუთრედ აღიარება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2008 წლის 24 დეკემბერს სარჩელით მიმართა ე. ხ-ურმა მოპასუხე კ. გ-ძის მიმართ და მოითხოვა „საცხოვრებელი სადგო-

მით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე თბილისში, ... დასახლების #5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ერთი -23,53 კვ.მ. ოთახის მესაკუთრედ აღიარება კ. გ-მისათვის 2775 ლარის, ანუ სადგომის საბაზრო ღირებულების 25%-ის გადახდის სანაცვლოდ. სარჩელში აღნიშნულია, რომ სადგომის საბაზრო ღირებულება სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სპეციალისტის ცნობით განსაზღვრულია 11 100 ლარით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ლენინის სახელობის რაიონის სასამართლოს 1982 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით ე. ხ-ური შესახლებულ იქნა თბილისში, ... დასახლების #5-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში, კერძოდ, 23,53 კვ.მ-ში. მოსარჩელემ მოპაუხეს შესთავაზა მორიგება, რაზეც მიიღო უარი, ამასთან, მოპასუხე ხელს უშლიდა ე. ხ-ურს სადავო ფართით ფლობასა და სარგებლობაში.

მოპასუხემ არ ცნო სარჩელი იმ საფუძველით, რომ სადავო უძრავი ქონება შეიძინა 2006 წლის 1 აგვისტოს, სასამართლო აღმასრულებლის მიერ ჩატარებულ აუქციონზე. ამასთან, ე. ხ-ური არ წარმადგენდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოსარგებლეს. მოსარჩელე არ ფლობდა და არ სარგებლობდა სადავო ფართით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2003 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით ე. ხ-ურის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” საქართველოს კანონის 1¹ მუხლის „ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოსარჩელე ე. ხ-ურის საცხოვრებელი სადგომის მოსარგებლედ მიჩნევისათვის აუცილებელი პირობები, კერძოდ, მოსარჩელემ 1982 წელს სადავო ფართით სარგებლობის უფლება მოიპოვა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, რაც არ წარმოადგენდა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” საქართველოს კანონის 1¹ მუხლით გათვალისწინებული მფლობელობის საფუძველს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლების დათმობის გარიგების არსებობა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ხარხელურმა, რომელმაც მოითხოვა მისი გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანით სარჩელის დაკმაყოფილება.

აპელანტმა მიუთითა, რომ საქალაქო სასამართლოს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” საქართველოს კანონი, სამოქალაქო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად, ანალოგიით უნდა გამოეყენებინა მოცემული სადავო ურთიერთობის მიმართ. ამასთან, სასამართლომ არასწორად განმარტა „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილი. ასევე, არასწორად გამოიყენა აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი, ვინაიდან ე. ხ-ური სადავო ფართს ფლობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით, შესაბამისად, მასა და ბინის მესაკუთრეს შორის ვერ დაიდებოდა აღნიშნული კანონით გათვალისწინებული გარიგება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განჩინებით ე. ხ-ურის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 29 მაისს გაგზავნილი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება 2009 წლის 30 აპრილს ჩაჰბარდა აპელანტ ე. ხ-ურის შვილს -ლ. მ-შვილს, რაც სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, ე. ხ-ურის მიერ ჩაბარებად მიიჩნია. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უკანასკნელი ვადა 2009 წლის 16 ივნისი იყო, მან კი სააპელაციო საჩივარი 2009 წლის 17 ივნისს, ანუ ერთი დღის დაგვიანებით წარადგინა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივნისის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ე. ხ-ურმა და მოითხოვა მისი მთლიანად გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში მოყვანილი ფაქტი, რომლის თანახმადაც ე. ხ-ურს გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2009 წლის 30 აპრილს, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამასთან, განჩინებაში არასწორად იყო გამოთვლილი სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის გათვალისწინებული საპროცესო ვადა.

კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილება, ადრესატის ნაცვლად, მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე წევრს შეიძლება ჩაჰბარდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადრესატი არ არის მითითებულ მისამართზე, რის გამოც დოკუმენტის გადაცემა ვერ

მოხერხდა. გადაწყვეტილების ჩაბარებისას კი შეუძლებელი იყო, რომ ე. ხ-ური არ ენახათ სახ-ლში, ვინაიდან იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოკლებული იყო ბინიდან გასვლის შე-საძლებლობას.

კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ ლ. მ-შვილმა ე. ხ-ურს უარყოფითი ემოციების არი-დეების სურვილით არ გადასცა გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ხ-ურის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 აპრი-ლის გადაწყვეტილება მოსარჩელე ე. ხ-ურს გაეგზავნა 2009 წლის 29 მაისს საქმეში მითითებულ მისამართზე. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ მითითებული გადაწყვეტილება 2009 წლის 2 ივნისს ჩაჰბარდა ე. ხ-ურის შვილს -ლ. მ-შვილს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო სწორად უთითებს სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 74-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარე-ბელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების მიმღები ვალ-დებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკი-დებულება ან დაკავებული თანამდებობა, უწყების მიმღები ვალდებულია, უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. კანონის მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, აპელანტ ე. ხ-ურის ოჯახის წევრისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება უნდა ჩაითვალოს ე. ხ-ურისათვის ჩა-ბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შესატანად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 14-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2009 წლის 3 ივნისს და დასრულდა 2009 წლის 16 ივნისს. მართალია, სა-აპელაციო სასამართლოს განჩინებაში მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის დროდ არასწორად არის დაფიქსირებული 30 აპრილი, ნაცვლად 2 ივნისისა, მაგრამ აღნიშნულს არ გამოუწვევია საპ-როცესო ვადის დასასრულის არასწორად განსაზღვრა. სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ვადის დასასრული სწორად არის გამოთვლილი. აპელანტმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2009 წლის 17 ივნისს, ანუ ერთი დღის დაგვიანებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუ-ხილველი დარჩება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი ასევე მიუთითებს, რომ, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს გან-ჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამარ-თლოს ე. ხ-ურის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლე-ბით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ე. ხ-ურის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-573-881-09

30 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით ქ. მ-შვილის სარჩელი სს "თიბისი" ბანკის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. მ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 15 მაისის განჩინებით ქ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ქ. მ-შვილის წარმომადგენელმა ვ. ბ-შვილმა მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განხილვის განახლება შემდეგი საფუძველით:

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, განჩინების გამოტანისას სასამართლომ არასწორად შეაფასა მტკიცებულებები, რის გამოც მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების ასლი ქ. მ-შვილის დას-თ. მ-შვილს ჩაჰბარდა არა 2009 წლის 30 მარტს როგორც ეს მითითებულია გასაჩივრებულ განჩინებაში, არამედ -2009 წლის 13 აპრილს, ვინაიდან საფოსტო შეტყობინებაზე ჩაბარების თარიღი გაყალბებულია, ხოლო მას აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა ორგანიზაცია თNთ-ს გადაზიდვების მეთვალყურეობის საერთაშორისო სისტემის მიერ. თუმცა სასამართლო გზავნილის ჩაბარების თარიღის დადასტურების შესახებ მიმართვაზე, თNთ-მ მას სიტყვიერად განუმარტა, რომ ვერ მოიპოვეს რეესტრში თ. მ-შვილის ჩაბარების დასტური და, შესაბამისად, წერილობით პასუხსაც ვერ გასცემდნენ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კერძო საჩივრის ავტორმა აღნიშნა, რომ სასამართლომ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-4 ნაწილი და ამავე კოდექსის 374-ე მუხლი, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინებაში, მას საერთოდ არ უმსჯელია ქ. მ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების საკითხზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განხილვის განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ქ. მ-შვილის წარმომადგენელ ვ. ბ-შვილის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია, უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაჰბარდა იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილია სსკ-ის 74-ე მუხ-

ლში, კერძოდ, მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის სრულწლოვან წევრს ან სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების ასლი ქ. მ-შვილის დას -თ. მ-შვილს ფოსტის მეშვეობით ჩაჰბარდა 2009 წლის 30 მარტს, ხოლო ქ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივარი აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ შეიტანა 2009 წლის 27 აპრილს, ანუ კანონით დადგენილი გასაჩივრების 14-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ვინაიდან სააპელაციო საჩივრის შეტანის ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იყო 2009 წლის 13 აპრილი.

კერძო საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილების ასლი ქ. მ-შვილის დას -თ. მ-შვილს ჩაჰბარდა არა 2009 წლის 30 მარტს როგორც ეს მითითებულია გასაჩივრებულ განჩინებაში, არამედ 2009 წლის 13 აპრილს, ვინაიდან საფოსტო შეტყობინებაზე ჩაბარების თარიღი გაყალბებულია, ხოლო მას აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა ორგანიზაცია თNთ-ს გადაზიდვების მეთვალყურეობის საერთაშორისო სისტემის მიერ. თუმცა სასამართლო გზავნილის ჩაბარების თარიღის დადასტურების შესახებ მიმართვაზე, თNთ-მ მას სიტყვიერად განუმარტა, რომ ვერ მოიპოვეს რეესტრში თ. მ-შვილის ჩაბარების დასტური და შესაბამისად, წერილობით პასუხსაც ვერ გასცემდნენ. აღნიშნულ განმარტებას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, ვინაიდან მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ეკისრება თავად კერძო საჩივრის ავტორს, რომლის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. განსახილველ შემთხვევაში კი ქ. მ-შვილის წარმომადგენელმა ვ. ბ-შვილმა ვერ დაამტკიცა ის გარემოებანი, რომლებზედაც დაამყარა თავისი მოთხოვნა, კერძოდ, ვერ დაამტკიცა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლი ქ. მ-შვილის დას თ. მ-შვილს ჩაჰბარდა 2009 წლის 13 აპრილს ორგანიზაცია თNთ-ს გადაზიდვების მეთვალყურეობის საერთაშორისო სისტემის მიერ. ამასთან, სასამართლოს აზრით, საფოსტო შეტყობინების სიყალბე, რომლითაც დასტურდება, რომ გადაწყვეტილების ასლი თ. მ-შვილს ჩაჰბარდა 2009 წლის 30 მარტს, შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილი არ არის, რის გამოც კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ქ. მ-შვილის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველად ვერ მიიჩნევს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას ქ. მ-შვილის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების თაობაზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულ ნაწილში საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს მთლიანად უბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივარს თან დაურთო თავის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -190 ლარის ქვითარი. შესაბამისად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ მითითებული სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო, მას ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ქ. მ-შვილისათვის განჩინებით მთლიანად უნდა დაებრუნებინა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქ. მ-შვილის წარმომადგენელ ვ. ბ-შვილის კერძო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის დაბრუნების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო დანარჩენ ნაწილში არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. მ-შვილის წარმომადგენელ ვ. ბ-შვილის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს; უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 15 მაისის განჩინება;

ქ. მ-შვილის წარმომადგენელ ვ. ბ-შვილს დაუბრუნდეს მის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -190 ლარი;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება; სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა

განჩინება

#ას-761-1058-09

28 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: ბინაზე თანამესაკუთრედ ცნობა

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 11 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა გ. გ-იანმა მოპასუხე ს. ქ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა თბილისში, ... ქ. #58-ში მდებარე, მოპასუხის საკუთრებაში არსებული 85კვ.მ ბინის იდეალურ 1/3-ზე მესაკუთრედ ცნობა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ გ. გ-იანი არის მოპასუხის შვილიშვილი. ზემომითითებული ბინის პრივატიზაციის დროს მოსარჩელე იყო არასრულწლოვანი, იგი დედასთან და ბებიასთან (ს. ქ-ძესთან) ერთად რეგისტრირებული იყო და ცხოვრობდა აღნიშნულ ბინაში.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1996 წლის 2 აპრილის დადგენილების საფუძველზე პრივატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელსაც საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული აქვს პრივატიზაციის მომენტისათვის. პრივატიზაციის დროს და ამჟამადც სადავო ბინაში რეგისტრირებული იყო, გ. გ-იანის დედა, ბებია (მოპასუხე) და თავად გ. გ-იანი, რის გამოც მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მას ეკუთვნოდა ბინის 1/3.

თანასაკუთრებიდან წილის გამოყოფის მოთხოვნა მოსარჩელემ იმით დაასაბუთა, რომ უკანასკნელ პერიოდში ბებიასთან ურთიერთობა საგრძნობლად დაეძაბა, ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, ხოლო სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით გ. გ-იანის სარჩელი დაკმაყოფილდა: მოსარჩელე ცნობილ იქნა თბილისში, ... ქ. #58-ში მდებარე, მოპასუხის საკუთრებაში არსებული 85კვ.მ საერთო ფართის მქონე ბინის იდეალური 1/3-ის მესაკუთრედ.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში პრივატიზაციის დროისათვის სადავო ბინაში ჩაწერილი იყო სამი პირი, მათ შორის, გ. გ-იანი. შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის #107 დადგენილების საფუძველზე გ. გ-იანი აღიარებული უნდა ყოფილიყო 1997 წლის 17 აპრილს ს. ქ-ძის სახელზე პრივატიზებული, თბილისში, ... ქ. #58 მისამართზე მდებარე 85კვ.მ საერთო ფართის მქონე 1/3-ის მესაკუთრედ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ს. ქ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის განჩინებით ს. ქ-ძის სააპელაციო საჩივარი დატოვებულ იქნა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილების ასლი 2009 წლის 4 აპრილს ჩააბარდა ს. ქ-ძის წარმომადგენელ პ. კ-ძის დედას -ნ. კ-ძეს. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ასლის ს. ქ-ძისათვის ჩაბარებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე, 74-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო 2009 წლის 5 აპრილიდან, რომელიც ამოიწურა 2009 წლის 20 აპრილს. საქმეზე დგინდებოდა, რომ ს. ქ-ძემ სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 24 ივნისს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა გაუშვა სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით

დადგენილი 14-დღიანი ვადა, რაც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველი იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ს. ქ-მემ (წარმომადგენელი ი. ნ-ოვა), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა.

კერძო საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გასაჩივრებული განჩინების არა უშუალოდ მხარის, არამედ მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებას, რომელმაც ს. ქ-მეს გადაწყვეტილების შინაარსი არ შეატყობინა. აღნიშნულის გამო ს. ქ-მე იძულებული გახდა, მიემართა ახალი წარმომადგენლისათვის. ამ უკანასკნელმა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ჩაიბარა 15 ივნისს, ხოლო სააპელაციო საჩივარი წარადგინა 24 ივნისს, კანონით დადგენილ ვადაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ს. ქ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება მოპასუხე ს. ქ-მის წარმომადგენელ პ. კ-მეს, რომელსაც მარწმუნებლის სახელით სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება გააჩნდა, გაეზავნა საქმეში მის მიერ მითითებულ მისამართზე. საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ მითითებული განჩინება ჩაჰბარდა პ. კ-მის ოჯახის წევრს, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ითვლება უშუალოდ პ. კ-მის მიერ განჩინების ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამავე კოდექსის 70-ე მუხლის თანახმად, მხარეს ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს. ამდენად, მოპასუხის წარმომადგენელ პ. კ-მისათვის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ჩაბარება ასევე წარმოადგენდა მხარისათვის ჩაბარებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შესატანად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 14-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2009 წლის 5 აპრილს და დასრულდა 2009 წლის 20 აპრილს. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივარი მოპასუხეს არ წარუდგინა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობის საპატიო მიზეზის არსებობის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას ადგენს, იმპერატიული ხასიათის ნორმას წარმოადგენს და გასაჩივრების გაშვებული ვადის აღდგენას არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. ს. ქ-მის (წარმომადგენელი ი. ნ-ოვა) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 10 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება

**სასამართლო უწყების
გაგზავნა
განჩინება**

#ას715-1014-09

8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
თ. თოდრია (მომხსენებელი),
რ. ნადირიანი

დავის საგანი: დავალიანების დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სარჩელით მიმართა სს „თიბისი ბანკმა“. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხეებისათვის: შპს „მერიდიენ რიელთის“, შპს „მერიდიენ ინვესტმენტსისა“ და გ. გ-ულისათვის სოლიდარულად 1 265 826,16 აშშ დოლარის, სარგებლის -წლიური 21%-ის (დავალიანების სრულ დაფარვამდე) და 300 059,89 ლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წლის 4 აგვისტოს სს „თიბისი ბანკსა“ და მოპასუხე შპს „მერიდიენ რიელთის“ შორის დაიდო #730311 ხელშეკრულება საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ, რომლის საფუძველზეც მოვალეს კრედიტის სახით ასათვისებლად გამოეყო ფინანსური რესურსი, რომლის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრა 20 000 000 აშშ დოლარით, ხოლო ამ მაქსიმალური საკრედიტო ხაზით სარგებლობისათვის ვადა -20 წლით. ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა სარგებლის მაქსიმალური ოდენობა -48%.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში იმავე მხარეებს შორის 2006 წლის 17 აგვისტოს გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება #730311-648131, რომლის საფუძველზეც ბანკმა გასცა კრედიტი -2 000 000 აშშ დოლარი 24 თვის ვადით. დადგინდა პირგასამტეხლო -0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; 2008 წლის 31 იანვარს მხარეებმა ცვლილება შეიტანეს #730311-648131-ის ხელშეკრულებაში (მხედველობაშია 2006 წლის 17 აგვისტოს ხელშეკრულება), კერძოდ, კრედიტის ვადად განისაზღვრა 2008 წლის 15 დეკემბერი, ხოლო წლიური სარგებელი 21%-ით; 2008 წლის 31 იანვარს მხარეებმა გააფორმეს #730311-80093 ხელშეკრულება ოვერდრაფტით მომსახურების შესახებ. ამ ხელშეკრულების საფუძველზე ბანკმა მსესხებელს მისცა 240 000 ლარი, 2008 წლის 31 იანვრიდან იმავე წლის 1 მაისამდე, წლიური სარგებლით 21%, ხოლო პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრა 0,5%-ით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ზემოთ მითითებული ხელშეკრულებების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმდა შემდეგი ხელშეკრულებები:

2006 წლის 4 აგვისტოს იპოთეკის ხელშეკრულება #730311-1 (რეესტრში რეგისტრაციის #1-3284) სს „თიბისი ბანკსა“ და გ. გ-ულს შორის, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა გ. გ-ულის კუთვნილი უძრავი ქონება; 2006 წლის 4 აგვისტოს იპოთეკის ხელშეკრულება #7303110-2 (რეესტრში რეგისტრაციის #1-3285) სს „თიბისი ბანკსა“ და შპს „მერიდიენ რიელთის“ დირექტორ გ. გ-ულს შორის ამ უკანასკნელის კუთვნილ ქონებაზე; 2006 წლის 29 აგვისტოს იპოთეკის ხელშეკრულება #730311-3 (რეესტრში რეგისტრაციის #1-3467) სს „თიბისი ბანკსა“ და შპს „მერიდიენ ინვესტმენტს“ (დირექტორი გ. გ-ული) შორის ამ უკანასკნელის კუთვნილ უძრავ ქონებაზე მდებარე.

2006 წლის 9 ოქტომბრის იპოთეკის ხელშეკრულება #730311-4 (რეესტრში რეგისტრაციის #1-3673) სს „თიბისი ბანკსა“ და გ. გ-ულს შორის ამ უკანასკნელის კუთვნილ ქონებაზე.

2006 წლის 4 აგვისტოს თავდებობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც თავდები გ. გ-ული კისრულობდა სოლიდარულ პასუხისმგებლობას, მსესხებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შეესრულებინა 2006 წლის 4 აგვისტოს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებით და მის ფარგლებში სს „თიბისი ბანკსა“ და შპს „მერიდიენ რიელთის“ შორის გაფორმებული საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით და 2008 წლის 31 იანვარს მასში შეტანილი ცვლილებებით, ასევე ოვერდრაფტით მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება.

იმავე პირობებით 2008 წლის 4 აგვისტოს თავდებობის ხელშეკრულებით შპს „მერიდიენ ინვესტმენტსმა“, როგორც თავდებმა იკისრა სოლიდარული ვალდებულება მსესხებელთან ერთად აგოს პასუხი სს „თიბისი ბანკის“ წინაშე.

სარჩელში აღნიშნულია, რომ 2008 წლის 5 მაისს მოპასუხეებს ჩაჰბარდათ წერილები, შეესრულებინათ ნაკისრი ვალდებულებები, რისთვისაც დაენიშნათ 14 დღის ვადა. მიუხედავად ამისა, ვალდებულება დღემდე შეუსრულებელია.

მოსარჩელე განმარტავს, რომ დღევანდელი მდგომარეობით, მოპასუხეების დავალიანება #730311-648131 ხელშეკრულებიდან და მასში 2008 წლის 31 იანვარს შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, შეადგენს 1 265 826,16 აშშ დოლარს. აქედან 1 197 883,33 აშშ დოლარი არის ძირითადი თანხა, 49 621,91 აშშ დოლარი სესხის სარგებელი, ხოლო ჯარიმა ვადაგადაცილებაზე შეადგენს 18 320,92 აშშ დოლარს.

რაც შეეხება ოვერდრაფტით მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, დავალიანება ჯამში შეადგენს 300 050,89 ლარს, საიდანაც 239 749,00 ლარი ძირითადი თანხაა, 11 775,93 ლარი სესხის სარგებელი, ხოლო 48 525,96 ლარი ჯარიმა ვადაგადაცილებაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სს „თიბისი ბანკმა“ მოითხოვა, რომ მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ 1 265 826,16 აშშ დოლარის და 300 050,89 ლარის, ასევე ორივე დავალიანებაზე წლიური 21%-ის გადახდა დავალიანებების სრულ დაფარვამდე, აგრეთვე, მოითხოვა, დავალიანების დაფარვის მიზნით, იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონზე სარეალიზაციოდ მიქცევა.

მოსარჩელემ ასევე მოითხოვა მოპასუხეებისათვის მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის -5 000 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სს „თიბისი ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა შპს „მერიდიენ რიელითიმ“, გ. გ-ულმა და შპს „მერიდიენ ინვესთმენტსმა“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით სს „თიბისი ბანკის“ სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა შპს „მერიდიენ რიელითიმ“, გ. გ-ულმა და შპს „მერიდიენ ინვესთმენტსიმ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინებით, აპელანტის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ საოქმო განჩინებზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. გ-ულმა და შპს „მერიდიენ ინვესთმენტსმა“. მან მიუთითა, რომ სასამართლო უწყება ჩაჰბარდა მხოლოდ შპს „მერიდიენ რიელითის“, კერძოდ, მის წარმომადგენელ დ. გ-იას, რომელიც არის მხოლოდ შპს „მერიდიენ რიელითის“ წარმომადგენელი. დანარჩენ ორ აპელანტს - შპს „ინვესთმენტის“ და გ. გ-ულს სასამართლო უწყება არ ჩაჰბარებიათ. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორების აზრით, აპელანტებს სხდომის დღის თაობაზე არ ეცნობათ კანონით დადგენილი წესით, რის გამოც გასაჩივრებული საოქმო განჩინება უნდა გაუქმდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ შპს „ინვესთმენტისა“ და გ. გ-ულის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორების მითითებას იმის შესახებ, რომ მათ კანონით დადგენილი წესით არ ეცნობათ სხდომის შესახებ.

დადგენილია, რომ მოცემული საქმის განხილვა დაინიშნა 2009 წლის 1 ივლისს. აღნიშნულ სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტები - შპს „მერიდიენ რიელითიმ“, შპს „ინვესთმენტის“, გ. გ-ული და წარმომადგენელი დ. გ-ია. მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე განუხილველად დარჩა სააპელაციო საჩივარი. მხარეებს სხდომის შესახებ ეცნობათ კანონით დადგენილი წესით. შპს „მერიდიენ რიელითის“ შეტყობინება არ ჩაჰბარდა, ზუსტი მისამართის არარსებობის გამო, გ. გ-ულს შეტყობინება არ ჩაჰბარდა ვინაიდან იგი საცხოვრებლად გადავიდა სხვაგან, ხოლო შპს „ინვესთმენტის“ კი არ ჩაჰბარდა იმის გამო, რომ აღნიშნულ მისამართზე არავინ იმყოფებოდა. უწყება ჩაჰბარდა შპს „მერიდიენ რიელითის“ წარმომადგენელ - დ. გ-იას. მოცემულ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარემ - „თიბისი ბანკის“ წარმომადგენელმა იშუამდგომლა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო მხარის განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა, სარჩელი (განცხადება) განუხილველად იქნეს დატოვებული.

საკასაციო პალატა ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ დ. გ-ია არის მხოლოდ "მერიდიენ რიელთის" წარმოდგენილი მხოლოდ მას ჩაჰბარდა უწყება. რაც შეეხება შპს "ინვესტმენტის" და გ. გ-ულს, მათ აღნიშნული უწყება არ ჩაჰბარდათ კანონით დადგენილი წესით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლოს უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, თუ მხარეს უწყება ვერ ჰბარდება გარკვეული მიზეზით, მაშინ სასამართლო ვალდებულია, დამატებით გაუგზავნოს მხარეს უწყება და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი იმსჯელოს უწყების ჩაბარება-არჩაბარების შესახებ, რასაც შესაბამისად მოჰყვება პროცესუალური შედეგი. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ მხოლოდ ერთხელ გაუგზავნა მხარეს უწყება. სააპელაციო სასამართლომ ისე დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი და ისე ჩათვალა უწყება ჩაბარებულად, რომ, 73-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, დამატებით არ გაუგზავნია უწყება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უწყება არ შეიძლება ჩაითვალოს ჩაბარებულად შპს "ინვესტმენტისისა" და გ. გ-ულისათვის. უწყება ჩაჰბარდა მხოლოდ შპს "მერიდიენ რიელთის" წარმომადგენელ დ. გ-იას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან კანონით დადგენილი წესით არ იწაბრება უწყება შპს "ინვესტმენტისისა" და გ. გ-ულს, სააპელაციო სასამართლოს მათი სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაეტოვებინა განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ შპს "ინვესტმენტისისა" და გ. გ-ულის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს "ინვესტმენტისისა" და გ. გ-ულის მოთხოვნის ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს "ინვესტმენტისისა" და გ. გ-ულის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 1 ივლისის საოქმო განჩინება შპს "ინვესტმენტისისა" და გ. გ-ულის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში და საქმე ამ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-943-1222-09

30 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თანხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

ს. გ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-შვილის მიმართ მოპასუხის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის, ნივთის გაუმჯობესებისა და ბინის შესაძენად წინასწარ გადახდილი თანხის დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 2007 წელს მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოსარჩელე მოპასუხისაგან შეიძენდა ქ.გორში, ... #7/11-ში მდებარე ერთოთა-

ხიან ბინას. ს. გ-შვილმა მ. მ-შვილს გადასცა ბე, გაარემონტა სადავო ბინა, თუმცა მოგვიანებით შეიტყო, რომ უძრავი ნივთი მოპასუხის საკუთრებას არ წარმოადგენდა და, მისი მესაკუთრის მოთხოვნით, ბინის დაცლა მოუწია. ყოველივე აღნიშნულის გამო ს. გ-შვილს მიადგა მატერიალური ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ -ბეს დაბრუნების ნაწილში ცნო, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 მარტის გადაწყვეტილებით ს. გ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. მ-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა 2100 აშშ დოლარის გადახდა, დანარჩენ ნაწილში კი სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მ. მ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინებით მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამავე სასამართლოს 2009 წლის 17 ივლისის განჩინებით მ. მ-შვილს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბაჟის -150 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და ნაბეჭდი სახით შედგენილი სააპელაციო საჩივრის სასამართლოსათვის წარდგენა. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული განჩინების ასლი 2009 წლის 23 ივლისს აპელანტს პირადად ჩაჰბარდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მეორე ნაწილისა და 61-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიუთითა, რომ მხარის მიერ ხარვეზის შევსების ვადის ათვლა იწყება 2009 წლის 24 ივლისიდან და მთავრდება 28 ივლისს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილით და მიიჩნია, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. მ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობა შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა, რომ მ.მ-შვილს ხარვეზის დადგენის თაობაზე პალატის განჩინება პირადად ჩაბარდა. სასამართლო გზავნილის მიღებისას აპელანტი ქ. გორში არ იმყოფებოდა, რის გამოც განჩინების ასლი ჩაიბარა მისმა დამ. სააპელაციო პალატის 2009 წლის 17 ივლისისა და 6 აგვისტოს განჩინებები მხარეს გადაეცა მხოლოდ 2009 წლის 20 აგვისტოს.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ივლისის განჩინებით მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი ცნობილ იქნა ხარვეზიანად და მხარეს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და ნაბეჭდი სახით შედგენილი სააპელაციო საჩივრის სასამართლოსათვის წარდგენა.

შპს "სკს-ს" გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ 2009 წლის 23 ივლისს სასამართლო გზავნილი მ. მ-შვილს პირადად ჩაბარდა, თუმცა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია და არც რაიმე შუამდგომლობით სააპელაციო პალატისათვის არ მიუმართავს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო საჩივრის ხარვეზის არსებობისას სასამართლო განსაზღვრავს იმ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც ხარვეზის შესავსებად უნდა განხორციელდეს და საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც აპელანტი ვალდებულია, შეასრულოს განჩინებაში დადგენილი მოქმედებები. სასამართლოს მიერ მითითებული ვადის გასვლის შემდეგ კი სააპელაციო საჩივარი დარჩება განუხილველი.

მოცემულ შემთხვევაში მ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს მიეცა 5-დღიანი ვადა მის გამოსასწორებლად.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მიერ მითითებულ გარემოებას, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება მ.მ-შვილს 2009 წლის 23 ივლისს პირადად ჩაჰბარდა, რაც შპს "სკს-ს" გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება და აღნიშნული მტკიცებულების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის უტყუარად საფუძველი სასამართლოს არ გააჩნია.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის არგუმენტი, რომ ზემოხსენებული სასამართლო გზავნილის გაგზავნისას მ. მ-შვილი ქ.გორში არ იმყოფებოდა და გზავნილი მისმა დამ ჩაიბარა, ვინაიდან მხარემ აღნიშნული ფაქტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით ვერ დაადასტურა.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაჰბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად კი, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატის არყოფნისას იგი ჩაბარდება მისი ოჯახის სრულწლოვან წევრს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო გზავნილი 2009 წლის 23 ივლისს მ. მ-შვილისათვის ჩაბარებულად იქნებოდა მიჩნეული მაშინაც, თუ იგი ნამდვილად ადრესატის დას ჩაბარდებოდა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით მ.მ-შვილის სააპელაციო საჩივარი მართებულად დარჩა განუხილველად, ვინაიდან მხარეს არც სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში და არც შემდგომ არსებული ხარვეზის გამოსწორების მიზნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს, სააპელაციო პალატის განჩინება კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 6 აგვისტოს განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

შეტყობინება ადრესატის არყოფნის შემთხვევაში

განჩინება

#ას-988-1266-09

1 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის დავის საგანი: თანხის დაკისრება და ქონების რეალიზაცია

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 1 მაისს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა რ. თ-ძემ მოპასუხე მ. ბ-ძის მიმართ თანხის დაკისრების და დაყადაღებული ქონების იძულებითი რეალიზაციის მოთხოვნით.

სარჩელში აღნიშნულია, რომ რ. თ-ძესა და მ. ბ-ძეს შორის 2001 წლის 20 მაისს ზეპირი ფორმით დაიდო 26 000 აშშ დოლარის სესხის ხელშეკრულება. 2008 წლის 21 მარტს ნოტარიული წესით გაფორმდა ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ, რომლის შესაბამისად მ. ბ-ძემ აღიარა, რომ მას აქვს რ. თ-ძის ვალი -26 000 აშშ დოლარი და მხარეები შეთანხმდნენ, რომ

აღნიშნულ ვალს მ. ბ-მე გადაიხდიდა 2009 წლის 1 მაისამდე. მოსარჩელე მოუთითებდა, რომ მ. ბ-მეს ვალდებულება არ შეუსრულებია, რის გამოც ითხოვდა სარჩელის დაკმაყოფილებას.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით რ. თ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა: მ. ბ-მეს დაეკისრა 26 000 აშშ დოლარის გადახდა რ. თ-მის სასარგებლოდ. აღნიშნული თანხის დაფარვის მიზნით დადგინდა მ. ბ-მის საკუთრებაში არსებული დაყადაღებული უძრავი ქონების იძულებითი რეალიზაცია. მოპასუხეს ასევე დაეკისრა იურიდიული მომსახურებისათვის რ. თ-მის მიერ გადახდილი 2000 ლარის გადახდა. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხე მ. ბ-მემ დაარღვია მხარეთა შორის 2008 წლის 21 მარტს ნოტარიული წესით გაფორმებული ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის და მოწმის ახსნა-განმარტებიდან არ დასტურდებოდა თანხის ნაწილის დაფარვის ფაქტი, ხოლო სხვა მტკიცებულება ვალის ნაწილის დაფარვის შესახებ მოპასუხის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ბ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა. აპელანტი მიუთითებდა, რომ იგი აღიარებდა ვალის არსებობას და განმარტავდა, რომ არსებობდა დამატებითი სამხრივი შეთანხმება რ. თ-მეს, მ. ბ-მესა და დ. ბ-მეს შორის, რომლის თანახმად რ. თ-მის წინაშე არსებულ ვალს მ. ბ-მე პერიოდულად იხდიდა დ. ბ-მის ვალის დასაფარად. აპელანტი მიუთითებდა, რომ მის მიერ წარდგენილი ვალის ნაწილის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებები, საგადასახადო ქვითრები სათანადოდ არ იქნა შეფასებული.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით ასევე გაასაჩივრა რ. თ-მემ იურიდიული მომსახურების ხარჯების ანაზღაურების ნაწილში, რომელმაც აღნიშნული მომსახურებისათვის მოპასუხისათვის 5000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 სექტემბრის განჩინებით რ. თ-მის სააპელაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 აგვისტოს განჩინებით მ. ბ-მის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა 1888,28 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინებით მ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მ. ბ-მეს ხარვეზის შესახებ განჩინებით, ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით და განემარტა, რომ თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ბ-მეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 12 აგვისტოს განჩინება გაეგზავნა და ჩაჰბარდა კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, განჩინება გაეგზავნა 2009 წლის 12 აგვისტოს და 2009 წლის 15 აგვისტოს ჩაჰბარდა მ. ბ-მის ძმისშვილს -გ. ბ-მეს. სააპელაციო სასამართლომ განჩინება ჩაბარებულად მიიჩნია მ. ბ-მისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო აპელანტის მიერ ხარვეზი არ იქნა შევსებული.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ბ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ განჩინება 2009 წლის 15 აგვისტოს ჩაჰბარდა მის ძმისშვილს -გ. ბ-მეს, ხოლო მას გზავნილი არ ჩაჰბარებია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, წარმოდგენილი კერძო საჩივრისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 აგვისტოს განჩინებით მ. ბ-მეს განესაზღვრა სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის შესავსებად 7-დღიანი ვადა. აღნიშნული განჩინება გაგზავნილია მისამართზე: ხელვაჩაურის რაიონი, სოფელი აღნიშნული გზავნილი ჩაჰბარდა გ. ბ-მეს, მ. ბ-მის ძმისშვილს 2009 წლის 15 აგვისტოს. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ კერძო საჩივრის ავტორის ძმისშვილი გ. ბ-მე წარმოადგენს მ. ბ-მესთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი ითვალისწინებს შეტყობინებას ადრესატის არყოფნის შემთხვევაში, რომლის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. როგორც აღინიშნა, საქმის მასალებით არ

დასტურდება, რომ გ. ბ-მე წარმოადგენს მ. ბ-მესთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრს, აღნიშნული არც საკასაციო სასამართლოს სხდომაზე მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადასტურდა. შესაბამისად, ხარვეზის შესახებ განჩინების მისთვის ჩაბარება ვერ ჩაითვლება აღნიშნული განჩინების მ. ბ-მისათვის ჩაბარებად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შესამოწმებლად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 9 სექტემბრის განჩინება და მ. ბ-მის სააპელაციო საჩივარი დასაშვებობის შემოწმების ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-867-1153-08

10 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 18 მარტს ო. ჯ-მემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თ. მ-შვილისა და მ. ლ-მის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ. მოსარჩელემ მიუთითა, რომ მოპასუხეებს 2006 წლის ზაფხულში სამუშაოდ დაუთმო საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე არსებული ორთახიანი ბინა, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოსარჩელის ოჯახის ერთ-ერთ წევრს. 2006 წლის აგვისტოში მოპასუხეებთან ერთად წავიდა თურქეთის რესპუბლიკაში საქონლის ჩამოსატანად, რა დროსაც მოპასუხეებს გადასცა 4600 აშშ დოლარი, რომელშიც შედიოდა, როგორც მგზავრობის, ასევე საქონლის შესასყიდი თანხა. მათ გახსნეს ფებსაცმელების საამქრო, რომელშიც შესული მოგების ნახევარი უნდა მიეცათ მოსარჩელისათვის. მოსარჩელის მითითებით, 2006 წლის დეკემბერში ისევ წავიდნენ თურქეთის რესპუბლიკაში, რისთვისაც ისესხა 1000 აშშ დოლარი და ძირითადი საქონლის საყიდლად დაიხარჯა 2000 აშშ დოლარი, 1000 აშშ დოლარი დაემატა ფებსაცმელების საწარმოდან აღებული თანხა. მოპასუხეებმა ფაქტობრივად იმუშავეს 2007 წლის ბოლომდე, ხოლო მოსარჩელეს დაუბრუნეს 2000 აშშ დოლარი, პროცენტის სახით 630 აშშ დოლარი, აღნიშნული თანხა ისესხა სხვადასხვა პიროვნებებისგან და ბოლოს იძულებული გახდა, გამოეტანა სს „საქართველოს სახალხო ბანკიდან“ სესხი 3600 ლარი, რომელიც ამჟამად გადასახდელი აქვს.

მოსარჩელემ მოითხოვა დაეკისროთ მოპასუხეებს -მ. ლ-მესა და თ. მ-შვილს ძირითადი თანხის 3600 აშშ დოლარის გადახდა, ბანკიდან აღებული სესხის პროცენტის 587 ლარისა და 35 თეთრის გადახდა და ძირითადი ქონების ფასეულობების 2000 ლარის ღირებულების ქონების უკან დაბრუნება.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით ო. ჯ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მ. ლ-მეს და თ. მ-შვილს ო. ჯ-მის სასარგებლოდ დაეკისრათ სოლიდარულად 3600 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. მ-შვილმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 ივლისის განჩინებით თ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა თ. მ-შვილმა. მან მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიუთითა, თითქოს მას გადაწყვეტილების ასლი ჩაჰბარდა 2009 წლის 22 ივნისს. მის შვილს აღნიშნული გადაწყვეტილება ჩაჰბარდა არა 22 ივნისს, არამედ 23 ივნისს საღამოს 6 საათზე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს ათვლა უნდა დაეწყო 24 ივნისიდან. გარდა ამისა, მან მოითხოვა ჩაბარების უწყება, მაგარამ სასამართლოში სხვადასხვა მიზეზით დღემდე არ აძლევენ ნახვის საშუალებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ თ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა შეადგენს 14 დღეს. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

ამავე კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს.

დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილების ასლი თ. მ-შვილის შვილს -ს. ლ-ძეს ჩაჰბარდა 2009 წლის 22 ივნისს. მან სააპელაციო საჩივარი შეიტანა 2009 წლის 7 ივლისს. განჩინების გასაჩივრების ვადა ამოიწურა 2009 წლის 6 ივლისს, ე.ი. სააპელაციო საჩივარი შეტანილია 1 დღის დაგვიანებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება ქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ, თუ მხარე კანონით დადგენილ ვადაში არ გაასაჩივრებს სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას), იგი კარგავს ამ უფლებას, ანუ ეს უფლება ქარწყლდება და გადაწყვეტილება (განჩინება) შედის კანონიერ ძალაში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან თ. მ-შვილმა სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილ ვადაში არ შეიტანა, მისი სააპელაციო საჩივარი დაუშვებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი შეტანილია სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილი 14-დღიანი ვადის გასვლით, რის გამოც კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

თ. მ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 14 ივლისის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-1065-1332-09

21 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი

სარჩელის დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 12 მარტს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ე. კ-მემ მოპასუხე ბ. კ-მის მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ 1987 წელს გარდაეცვალა მეუღლე. ჰყავს ორი შვილი, რომლებიც ცხოვრობენ საზღვარგარეთ და არ ზრუნავენ მასზე. მოპასუხე ბ. კ-მე მეუღლესთან ერთად ემეზღაფრათ დასაქირავებლად. ე. კ-მემ ბ. კ-მეს შესთავაზა მის ბინაში ცხოვრება სასყიდლის გარეშე, მოვლის სანაცვლოდ, რაზეც შეთანხმდნენ მხარეები. სარჩელში აღნიშნულია, რომ ე. კ-მემ გადაწყვიტა მოპასუხისათვის მოვლის სანაცვლოდ ეჩუქებინა ბინა. 2007 წლის 24 იანვარს სანოტარო წესით გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გაასხვისა ბინა ბ. კ-მეზე. აღნიშნულ ხელშეკრულებაში მხარეებს მოსარჩელის მოვლის პირობა არ გაუთვალისწინებიათ, რითაც ისარგებლა მოპასუხემ და შეწყვიტა ე. კ-მეზე ყოველგვარი ზრუნვა. მოსარჩელე იმ გარემოებას, რომ არ გაუსხვისებია ბინა, ასაბუთებდა აღნიშნულ ბინაში მისი ცხოვრებით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილებით ე. კ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 24 იანვრის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არ იყო დადებული მოტყუებით, ვინაიდან მოპასუხემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა ე. კ-მისათვის ბინის ღირებულების -10 000 ლარის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება. სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეებს შორის ფაქტობრივად არსებობდა შეთანხმება სამისდღეშიო რჩენისა და მოვლის შესახებ, მაგრამ გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბ. კ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა. აპელანტის მითითებით, მოსარჩელემ სანოტარო ბიუროში განაცხადა, რომ სურდა მიეყიდა ბინა ბ. კ-მისათვის 10 000 ლარად. ე. კ-მეს არ სურდა, აღნიშნული ხელშეკრულების დადების შესახებ გაეგოთ მის შვილებს. საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა ნოტარიუსი, რომლის ახსნა-განმარტებაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აგვისტოს განჩინებით ბ. კ-მის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა 400 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით ბ. კ-მის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ბ. კ-მეს ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით და განემარტა, რომ, თუ აღნიშნულ ვადაში ხარვეზს არ შეავსებდა, სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ განჩინების გზავნილი ჩაჰბარდა ბ. კ-მის წარმომადგენელ მ. მ-შვილის ძმას 2009 წლის 17 სექტემბერს. 2009 წლის 1 ოქტომბერს ბ. კ-მის წარმომადგენელმა მ. მ-შვილმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარადგინა განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ და იშუამდგომლა, ხარვეზის შევსების ვადის ათვლა დაწყებულიყო 2009 წლის 27 სექტემბერს, როდესაც განჩინების ასლი გადაეცა მას პირადად. სააპელაციო სასამართლომ განჩინება ჩაბარებულად მიიჩნია მ. მ-შვილისათვის 2009 წლის 17 სექტემბერს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, საიდანაც ხარვეზი არ იქნა შევსებული დადგენილ ვადაში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ კერძო საჩივრით გაასაჩივრა ბ. კ-მემ (წარმომადგენელი მ. მ-შვილი), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მი-

უთითებს, რომ განჩინება 2009 წლის 17 სექტემბერს ჩაპარდა მასთან სტუმრად მყოფ ძმას, ხოლო 2009 წლის 27 სექტემბერს გადაეცა პირადად მას. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მასთან სტუმრად მყოფი ძმისთვის განჩინების ჩაბარება არ ნიშნავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად მისი ოჯახის წევრისათვის ჩაბარებას, რასაც დაეყრდნო სასამართლო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. კ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 7 აგვისტოს განჩინებით ბ. კ-მეს სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი.

გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ ბ. კ-მის წარმომადგენელ მ. მ-შვილისათვის გაგზავნილი გზავნილი მის მიერ მითითებულ მისამართზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ჩაიბარა მისმა ძმამ -კ. მ-შვილმა 2009 წლის 17 სექტემბერს. სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში აპელანტს ხარვეზი არ შეუვსია და არც ხარვეზის შეუვსებლობის საპატიო მიზეზის შესახებ უცნობებია სასამართლოსთვის.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას, რომ წარმომადგენელ მ. მ-შვილის ძმისთვის გზავნილის ჩაბარება არ უნდა ჩაითვალოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ჩაბარებად. მოცემულ შემთხვევაში გზავნილი ჩაბარებულია წარმომადგენლის მიერ მითითებულ მისამართზე, მისი ძმის მიერ. საქმის მასალებიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლოს არ აქვს რაიმე საფუძველი, აღნიშნული არ მიიჩნიოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ ჩაბარებად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 7-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2009 წლის 18 სექტემბერს და დასრულდა 24 სექტემბერს. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის დადგენილი ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს ბ. კ-მის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ბ. კ-მის (წარმომადგენელი მ. მ-შვილი) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-1081-1346-09

24 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

აღწერილობითი ნაწილი:

ი. გ-მემ სარჩელით მიმართა ხონის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე მის სასარგებლოდ 371,645,76 აშშ დოლარის დაკისრება.

ხონის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ი. გ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 200 ლარის გადახდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ი. გ-მემ, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა. ასევე სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომლითაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ, კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ი. გ-მის სასარგებლოდ 200 ლარის დაკისრების ნაწილში გაუქმება და ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 26 აგვისტოს ხარვეზის შესახებ განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და განემარტა, რომ მას უნდა წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ასევე, განემარტა, რომ ხარვეზის სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის ხარვეზის შესახებ განჩინებით აპელანტს ხარვეზის შევსებისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა გაუგრძელდა და განემარტა, რომ მას უნდა წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ან გადახდისუუნარობის დამადასტურებელი კანონით დადგენილი უტყუარი მტკიცებულება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ი. გ-მის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ი. გ-მის სახელზე გაგზავნილი სასამართლო განჩინების ასლი ჩაბარდა მისი ოჯახის წევრს დედას -ზ. გ-მეს პირადად 2009 წლის 16 სექტემბერს. ხარვეზის შესავსებად მიცემული ვადა გადიოდა 2009 წლის 23 სექტემბერს.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სასამართლოს გზავნილი მხარეს ჩაბარდა კანონით დადგენილი წესით.

ამ ხნის განმავლობაში მხარეს ან მის წარმომადგენელს ხარვეზის შევსების მიზნით არ მიუმართავს სასამართლოსათვის.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ მხარეს ხარვეზი არ შეუვსია დადგენილ ვადაში, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. გ-მემ.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით სააპელაციო სასამართლომ მას შემდეგ რაც ხარვეზიანად ჩათვალა სააპელაციო საჩივარი, მან ვერ შეავსო ხარვეზი და მიუთითა, რომ არ აქვს შემოსავალი იმ რაოდენობით, რომ შეძლოს 5000 ათასი ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ასევე მის კმაყოფაზე 3 მცირეწლოვანი შვილი და იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე შემცირებინა სახელმწიფო ბაჟის თანხა და თანახმა იყო გადაეხადა 150 ლარი, სასამართლომ არ ჩათვალა ხარვეზი შევსებულად, რადგან ვერ წარადგინა ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების დამადასტურებელი დოკუმენტი და გაუგრძელა ვადა ხარვეზის შესავსებად.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მან წარმოადგინა წლიური შემოსავლის ბრუნვის ამონაწერი თბილისი ბანკიდან 2009 წლის 1.01-დან 2009 წლის 31.10-მდე. სადაც დაფიქსირებულია, რომ აქვს საგადასახადო დავალიანება თანხის გადაუხდელობის გამო და ადევს ინკასო. რაც დასტურდება ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის 2009 წლის 30 სექტემბრის განკარგულებებით. დღემდე მისი შემოსავალი 10 თვის განმავლობაში შეადგენს 10.000 ლარს, ხოლო ინკასო ადევს 1444 + 44 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი. გ-მემ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, საქმის მასალებს, და თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 აგვისტოს განჩინებით ი. გ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა -7 დღე ხარვეზის შესავსებად განჩინების ასლის ჩაბარებიდან, რომლის განმავლობაშიც გ-ძის ხარვეზი არ შეუვსია. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 11 სექტემბრის განჩინებით გ-ძის განცხდების საფუძველზე გააგრძელა ხარვეზის შევსების ვადა 7 დღით განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

მხარეს ხარვეზი არ გამოუსწორებია დადგენილ ვადაში, რის გამოც სააპელაციო პალატამ 2009 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ი. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: "მხარე ან მის წარმომადგენელს სასამართლო უწყებით ეცნობება სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს ან ამ კოდექსის 74-ე მუხლით გათვალისწინებულ სუბიექტებს. წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს". საქმის მასალებით ირკვევა, რომ ი. გ-ძემ ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაიბარა 2009 წლის 1-ლ აგვისტოს. 2009 წლის 4 აგვისტოს მან სასამართლოს მიმართა განცხადებით ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელების შესახებ, რაც დააკმაყოფილა სააპელაციო სასამართლომ და 2009 წლის 11 სექტემბრის განჩინებით აპელანტს ხარვეზის შევსების ვადა გაუგრძელა 7 დღით განჩინების ასლის ჩაბარებიდან. აღნიშნული განჩინება 2009 წლის 16 სექტემბერს ჩაიბარა ი. გ-ძის დედამ ზ. გ-ძემ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის თანახმად განჩინების გ-ძის დედისათვის ჩაბარება ითვლება ადრესატისათვის ჩაბარებად. აპელანტმა დადგინდა ვადაში ხარვეზი არ შეავსო.

პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველი სააპელაციო საჩივარი, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს, ხოლო 374-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საქმეზე დადგენილი გარემოებების შესაბამისად, ი. გ-ძის მხრიდან ხარვეზის დროულად შეუსებლობა წარმოადგენდა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძველს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის განმარტებას, რომ მან უსახსრობის გამო ვერ შეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდა, აღნიშნული გარემოება არ წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 07 ოქტომბრის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

სასამართლო უწყების ჩაბარება

განჩინება

#ას-1028-1299-09

28 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

სარჩელის საგანი: თანხის დაკისრება, დაგირავებული ქონების რეალიზაცია

კერძო საჩივრის დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 12 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სასარჩელო განცხადებით მიმართა სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი ინტერნაციონალ-მა" მოპასუხეების - შპს "ალბას" და შპს "საქართველოს საგზაო ტრანსპორტის" მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა შპს "ალბასათვის" 67 433.10 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრება, აგრეთვე დავალიანების დაფარვის მიზნით გირავნობით დატვირთული მოძრავი ქონების - შპს "საქართველოს საგზაო ტრანსპორტის" კუთვნილი მერსედესის მარკის ავტომანქანების სარეალიზაციოდ მიქცევა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილებით სს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია "იმედი ინტერნაციონალ-ის" სარჩელი დაკმაყოფილდა - შპს "ალბას" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 67 433.10 აშშ დოლარის გადახდა, სარეალიზაციოდ მიექცა შპს "საქართველოს საგზაო ტრანსპორტის" საკუთრებაში არსებული მერსედესის მარკის ავტომანქანები (უნაგირა საწევრები);

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს "ალბამ" (დირექტორი ი. ქ-შვილი), რომელმაც მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებულ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. იმავდროულად, აპელანტმა იშუამდგომლა მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივლისის განჩინებით შპს "ალბას" დირექტორ ი. ქ-შვილს დაევალა ხარვეზის შევსება, კერძოდ, აღნიშნული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი, დასაბუთებული სააპელაციო საჩივრისა და 2 697 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენა.

დასახელებულ განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ ვერ დაკმაყოფილებოდა, რამდენადაც იურიდიული პირის სასამართლო ხარჯებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლი არ ითვალისწინებს. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვებოდა და არც სააპელაციო საჩივარს ერთვოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლით განსაზღვრული გარემოების (მხარის მძიმე ფინანსური მდგომარეობის) დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომლებიც შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა შპს "ალბასათვის" სახელმწიფო ბაჟის გადავადებას.

ხარვეზის შესავსებად დადგენილ საპროცესო აპელანტმა ხარვეზი ნაწილობრივ შეავსო, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში წარადგინა 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი. ამასთან, მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი თანხის გადახდის გადავადება საზოგადოების მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო. აღნიშნული შუამდგომლობის დასასაბუთებლად აპელანტმა სასამართლოში წარადგინა ნაერთი ამონაწერი სს "საქართველოს ბანკში" არსებული პირადი ანგარიშიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 3 სექტემბრის განჩინებით შპს "ალბას" დირექტორ ი. ქ-შვილს ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი ვადა გაუგრძელდა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 7 დღით, კერძოდ, დაევალა მითითებულ ვადაში სააპელაციო სასამართლოში წარედგინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის

მიხედვით შედგენილი, დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი სათანადო ასლების დართვით, აგრეთვე 2 697 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი უკვე გადახდილი 100 ლარის გამოკლებით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლიდან გამომდინარე, სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა უფლებამოსილი გადაევადებინა მხარისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა, თუ ეს უკანასკნელი მას წარუდგენდა მძიმე ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებებს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. აპელანტის მიერ წარდგენილი ამონაწერი შპს "ალბას" იმ ანგარიშიდან, რომელიც მას გახსნილი ჰქონდა საქართველოს ბანკში, შეიძლებოდა დადასტურებულიყო მხოლოდ ის გარემოება, რომ საწარმოს კონკრეტული პერიოდისათვის არ გააჩნდა ნაშთი მხოლოდ საქართველოს ბანკში გახსნილ ანგარიშზე (წარდგენილი ამონაწერის მიხედვით), მაგრამ ამ ამონაწერით არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო შპს "ალბას" ქონებრივი მდგომარეობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინებით შპს "ალბას" დირექტორ ი. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული, აპელანტის წარმომადგენელ ა. გ-იას სახელმწიფო ხაზინიდან დაუბრუნდა მოცემულ საქმეზე მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი -100 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმეზე დგინდებოდა, რომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ ამავე სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის განჩინების ასლი შპს "ალბას" დირექტორ ი. ქ-შვილს ჩაჰბარდა 2009 წლის 14 სექტემბერს. დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა აპელანტს ამოეწურა 2009 წლის 21 სექტემბერს. დროის აღნიშნულ მონაკვეთში სააპელაციო საჩივრის ავტორს ხარვეზი არ შეუვსია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სააპელაციო სასამართლოსათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს "ალბას" დირექტორ ი. ქ-შვილის სააპელაციო საჩივარი მიღებას არ ექვემდებარებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო და ამავე კოდექსის 374-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე უნდა დარჩენილიყო განუხილველი.

სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინებაზე შპს "ალბას" დირექტორმა ი. ქ-შვილმა (წარმომადგენელი ა. გ-ია) კერძო საჩივარი შეიტანა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოში საქმის განსახილველად დაბრუნება.

კერძო საჩივარში აღნიშნულია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ შპს "ალბას" სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი აპელანტმა ნაწილობრივ გამოასწორა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოში წარადგინა: დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი, 100 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი და შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდის გადავადების შესახებ. სასამართლომ კანონდარღვევით, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე არ დააკმაყოფილა აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილის გადახდის გადავადებაზე და იმ მოტივით, რომ მხარეს არ გააჩნდა შესაბამისი მატერიალური მდგომარეობა, უარი თქვა სააპელაციო საჩივრის მიღებაზე ანუ მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებით აპელანტს წაერთვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გარანტირებული უფლება -სასამართლო წესით თავისი დარღვეული უფლების დაცვის შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, გასაჩივრებული განჩინება გაუქმებას, ხოლო საქმე სააპელაციო სასამართლოსათვის განსახილველად დაბრუნებას ექვემდებარება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს "ალბას" კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის ვადის გაგრძელების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის განჩინების ასლი ამავე წლის 14 სექტემბერს ჩაჰბარდა აპელანტის -შპს "ალბას" დირექტორ ი. ქ-შვილის ოჯახის წევრს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების მიხედვით, გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად. ამავე კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლო უწყების ჩამბარებელმა სასამართლოში გამოსამახებელი პირი ვერ ნახა მხარის მიერ მითითებულ მისამართზე, იგი უწყებას აბარებს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს. უწყების მიმღები ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა, უწყების მიმღები ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს. უწყების ჩაბარება ამ ნაწილით გათვალისწინებული პირისათვის ჩაითვლება უწყების ჩაბარებად ადრესატისათვის, რაც დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით. კანონის მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, შპს "ალბას" დირექტორ ი. ქ-შვილის ოჯახის წევრისათვის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 3 სექტემბრის განჩინების ასლის ჩაბარება უნდა ჩაითვალოს შპს "ალბას" დირექტორ ი. ქ-შვილის მიერ ჩაბარებად. აქვე გასათვალისწინებელია, რომ მითითებულ მისამართზე შპს "ალბას" დირექტორი სხვა დროსაც იბარებდა სასამართლო კორესპონდენტებს და მას აღნიშნულ საკითხზე პრეტენზია არასოდეს გამოუთქვამს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60-61-ე მუხლების შესაბამისად, ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო მოქმედების შესრულების 7-დღიანი ვადის ათვლა მოცემულ შემთხვევაში დაიწყო 2009 წლის 15 სექტემბერს და დასრულდა 2009 წლის 21 სექტემბერს, რომელიც იყო სამუშაო დღე -ორშაბათი. აღნიშნულ ვადაში სააპელაციო საჩივრის ხარვეზი აპელანტს არ შეუვსია და სააპელაციო სასამართლოსთვის არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომლის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამ მუხლში ჩამოთვლილ მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გამოტანისას კანონი არ დაურღვევია, რის გამოც გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დატოვებას ექვემდებარება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს "ალბას" დირექტორ ი. ქ-შვილის (წარმომადგენელი ა. გ-ია) კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

6. მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

განჩინება

#ას-903-1111-08

15 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ხ-ოვამ სარჩელი აღძრა სასამართლოში ზ. მ-ძის მიმართ სესხისა და პროცენტის, სულ - 4603 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ. მან მიუთითა, რომ 2000 წლის 1 ივნისს მხარეთა შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება 8 წლით, რომლის მიხედვით, მოსარჩელემ მოპასუხეს ასესხა 3280 აშშ დოლარი. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ზ. მ-ძის კუთვნილი ქ. გორში, ... ქ. #172\3-ში მდებარე ბინა. მოპასუხემ ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, რის გამოც ძირითადი თანხის გარდა, დამატებით უნდა დაეკისროს ყოველ ვადაგადაცილებულ თვეზე 1,5%-ის გადახდა.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 27 ივლისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ხ-ავას სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მის სასარგებლოდ დაეკისრა 4603 აშშ დოლარის გადახდა, რაც გაასაჩივრა ზ. მ-ძემ.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 21 სექტემბრის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. მ-ძის საჩივარს უარი ეთქვა საჩივრის ავტორის გამოუცხადებლობის გამო, ხოლო თ. ხ-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ზ. მ-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 დეკემბრის განჩინებით ზ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამავე პალატის 2004 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით, ზ. მ-ძის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა ამ განჩინების ჩაბარებიდან 10 დღეში სახელმწიფო ბაჟის გადახდა. ხარვეზის შესახებ განჩინება აპელანტს გაეგზავნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით. საქმის მასალებში წარმოდგენილი გორის შს სამმართველოს უზნის ინსპექტორის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში მითითებულ მისამართზე ზ. მ-ძე არ ცხოვრობდა და, ვინაიდან აპელანტს თავისი ახალი მისამართი სასამართლოსათვის არ უცნობებია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ გზავნილი 2004 წლის 4 დეკემბერს ადრესატისათვის ჩაბარებულად ჩათვალა. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აპელანტს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუსწორებია, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ზ. მ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის განჩინებით ზ. მ-ძის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების სააპელაციო პალატის 2004 წლის 15 დეკემბრის განჩინება და საქმე დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის განჩინებით ზ. მ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მხარეს ავალდებულებს ფაქტობრივი მისამართის მითითებას. ფაქტობრივი მისამართი განსხვავდება რეგისტრაციის ადგილისაგან და გულისხმობს ადგილს, სადაც ფაქტობრივად ცხოვრობს მხარე და სადაც შესაძლებელია მისთვის სასამართლოს კორესპონდენციების მიწოდება და ჩაბარება. ის გარემოება, რომ სხვადასხვა დროსა და დღის სხვადასხვა მონაკვეთში არც ზ. მ-ძე და არც მისი ოჯახის წევრები არ იმყოფებოდნენ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, უტყუარად ადასტურებს ზ. მ-ძის მიერ საცხოვრებელი ადგილისა და მისამართის შეცვლის ფაქტს.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ზ. მ-მემ. მან მიუთითა, რომ მას პირადად არ ჩაჰბარებია ხარვეზის განჩინება. სააპელაციო სასამართლომ 2004 წლის 15 დეკემბრის განჩინებით მისი სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად იმ საფუძველით, რომ მის მეზობელ ა. თ-მეს მისთვის გადასაცემად ჩაჰბარდა ხარვეზის განჩინება და სააპელაციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილის განჩინებით გაუქმდა აღნიშნული განჩინება, საქმე დასაშვებობის ეტაპიდან დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ივლისის განჩინებაში კი სასამართლო მიუთითებს, რომ ფოსტის კურიერი რამდენჯერმე მივიდა მის მიერ მითითებულ მისამართზე და, ვინაიდან იქ არ დახვდა, სასამართლომ ჩათვალა რომ მან მისამართი შეიცვალა. სააპელაციო სასამართლომ იმ საფუძველით, რომ მან არ აცნობა მისამართის შეცვლის შესახებ, მისი სააპელაციო საჩივარი ისევ დატოვა განუხილველად, რაც არასწორია. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ზ. მ-მის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით ზ. მ-მეს მიეცა 10-დღიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული განჩინების ასლი აპელანტს კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა. ზ. მ-მეს აღნიშნული განჩინება პირადად არ ჩაჰბარებია საცხოვრებელ მისამართზე მისი არყოფნის გამო. სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა აპელანტის მეზობელ ა. თ-მეს ზ. მ-მისათვის გადასაცემად. სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით, ზ. მ-მის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დატოვა.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ აპელანტ ზ. მ-მეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება ხარვეზის დადგენის თაობაზე პირადად არ ჩაჰბარებია საცხოვრებელ ადგილზე არყოფნის გამო. სასამართლო გზავნილი ადრესატისათვის გადასაცემად ჩაჰბარდა მის მეზობელ ა. თ-მეს. საქმეში წარმოდგენილი, აპელანტის მეზობლებისა და თავად ზ. მ-მის განმარტებების შესაბამისად, ა. თ-მე აპელანტის მეზობლად არ ცხოვრობს, არამედ დროდადრო მიდის სტუმრად ზ. მ-მის მეზობელთან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, ადრესატის არყოფნის შემთხვევაში ჩაიბარონ შეტყობინება. ეს პირები არიან მხარესთან მცხოვრები ოჯახის სრულწლოვანი წევრები და თუ სამუშაო ადგილის მიხედვით ბარდება მხარეს უწყება -სამუშაო ადგილის ადმინისტრაცია. აღნიშნული მუხლის თანახმად, მეზობელი არ არის უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეუძლია ჩაიბაროს მხარის არყოფნის შემთხვევაში სასამართლო უწყება. აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2004 წლის 27 ოქტომბრის განჩინება ჩაჰბარდა არაუფლებამოსილ პირს -ა. თ-მეს, რაც სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადის ათვლის საფუძველი ვერ გახდება.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლით, რომლის მიხედვით, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ მხარეს სასამართლო უწყება თუ გზავნილი გაეგზავნება საქმეში არსებულ მისამართზე და იგი ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა და თავისი ახალი მისამართი სასამართლოსათვის არ უცნობებია.

მოცემულ შემთხვევაში გორის შს სამმართველოს უფროსის მოადგილე რ. ზ-მის მიერ გაცემული 2004 წლის 6 დეკემბრის #40/2743 ცნობისა და 2004 წლის 4 დეკემბრის ოქმის საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ. მ-მემ საცხოვრებელი მისამართი შეიცვალა. სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა დასახელებულ დოკუმენტებს. ვინაიდან მათი შინაარსიდან ირკვევა, რომ ადრესატი ზ. მ-მე სასამართლო გზავნილის მიტანისას ადგილზე არ იმყოფებოდა და სასამართლო გზავნილი ჩაჰბარდა მეზობელ ალ. თ-მეს. რაც შეეხება ადრესატის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, ამ ინფორმაციას ზემოხსენებული ცნობა და ოქმი არ შეიცავს. აღნიშნულის შესახებ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთხელ უკვე მიუთითა მის 2008 წლის 21 აპრილის განჩინებაში, რაც სააპელაციო სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული.

საკასაციო პალატა იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ მას პირადად არ ჩაჰბარებია ხარვეზის განჩინება და სააპელაციო სასამართლოს არ უნდა დაეტოვებინა მისი სააპელაციო საჩივარი განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, თუ პირველად გაგზავნისას სასამართლოს უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე.

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, თუ მხარეს უწყება ვერ ჰბარდება გარკვეული მიზეზით, მაშინ სასამართლო ვალდებულია, დამატებით გაუგზავნოს მხარეს უწყება და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი, იმსჯელოს უწყების ჩაბარება-არჩაბარების შესახებ, რასაც შესაბამისად მოჰყვება პროცესუალური შედეგი. კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ მხოლოდ ერთხელ გაუგზავნა მხარეს ხარვეზის განჩინება და ვინაიდან აპელანტი ზ. მ-მ აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობდა, ამ საფუძველით მისი სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ისე დატოვა განუხილველად ზ. მ-მის სააპელაციო საჩივარი და ისე ჩათვალა ხარვეზის განჩინება ჩაბარებულად, რომ 73-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, დამატებით არ გაუგზავნია ხარვეზის განჩინება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 27 ოქტომბრის განჩინება არ შეიძლება ჩაითვალოს ზ. მ-მისათვის ჩაბარებულად. აქედან გამომდინარე, ვინაიდან კანონით დადგენილი წესით ზ. მ-მ არ ჩაჰბარებია ხარვეზის განჩინება, შესაბამისად, მას ხარვეზის შევსების ვადა არ დაურღვევია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ზ. მ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ივლისის განჩინება და საქმე დასაშვებობის ეტაპიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს შესაბამის პალატას;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

განჩინება

#ას-978-1172-08

13 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 2 სექტემბერს სარჩელით მიმართა ზ. ფ-მემ სს „ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის“ მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და 1000 ლარის ოდენობით ხელფასის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2003 წლის 26 დეკემბერს დაიწყო მუშაობა სს „ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში“ დაცვის განყოფილებაში გუშაგად, 2004 წლის 11 ოქტომბრიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, გავიდა ბიულეტენზე 2004 წლის პირველ ნოემბრამდე. გამოჯანმრთელების შემდგომ კი, სამსახურში დაბრუნებაზე ადმინისტრაციამ უარი განუცხადა. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მას განთავისუფლების შესახებ ბრძანება მხოლოდ 2005 წლის 31

ავგისტოს ჩაჰბარდა, საიდანაც გაირკვა, რომ 2004 წლის 13 ოქტომბერს გაათავისუფლეს პირადი განცხადების საფუძველზე, მაშინ, როდესაც იგი 2004 წლის 11 ოქტომბრიდან იმყოფებოდა ბიულეტენზე და განცხადება არ დაუწერია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზ. ფ-მემ მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და მოპასუხისათვის 10 თვის განაცდური ხელფასის დაკისრება 1000 ლარის ოდენობით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით ზ. ფ-მის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის“ დირექტორის 2004 წლის 13 ოქტომბრის #72 ბრძანება ზ. ფ-მის სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე ჩაითვალა უკანონოდ და მოპასუხე ორგანიზაციას მის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით განაცდური ხელფასის გადახდა 1000 ლარის ოდენობით, ხოლო ზ. ფ-მეს სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრი შეიტანა ზ. ფ-მემ და მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სამუშაოზე აღდგენა და მოპასუხისათვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების სახით 4280 ლარის დაკისრება.

სააპელაციო სასამართლოში ზ. ფ-მემ წარმოადგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი და განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, მართალია, დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხეს იძულებით განაცდური ხელფასის სახით 1000 ლარის გადახდა დააკისრა, მაგრამ მან აღნიშნული თანხა გამოითვალა მისი სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან სასამართლოში სარჩელის წარდგენამდე, სასამართლოში საქმის განხილვა გაგრძელდა დამატებით რამდენიმე თვეს და პირველი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული პერიოდისთვისაც უნდა დაეკისრებინა იძულებით განაცდურის ანაზღაურება 4280 ლარის ოდენობით.

ზ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი სამუშაოზე აღდგენის ნაწილში სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით დატოვებულ იქნა განუხილველად.

განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზ. ფ-მემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით ზ. ფ-მის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 1 ოქტომბრის განჩინება და საქმე სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 იანვრის განჩინებით ზ. ფ-მის სააპელაციო საჩივარი სამუშაოზე აღდგენის ნაწილშიც მიღებულ იქნა წარმოებაში და მისი განხილვა დაინიშნა სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რის შესახებაც სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ მხარეებს. უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაჰბარდა ზ. ფ-მეს, ხოლო სასამართლო გზავნილი სს „ბათუმის ქიმიურ ფარმაცევტული ქარხნის“ სახელზე დაბრუნდა შეტყობინებით, რომ მითითებულ მისამართზე აღნიშნული ქარხანა არ მდებარეობდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2008 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა განჩინება -დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც აპელანტის მოთხოვნა სამუშაოზე აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან სააპელაციო საჩივარში მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი გარემოებანი იურიდიულად ვერ ამართლებდა აპელანტის მოთხოვნას ამ ნაწილში, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება ზ. ფ-მის სასარგებლოდ სს ბათუმის ქიმიური ფარმაცევტული ქარხნისათვის 1000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება -სს „ბათუმის ქიმიურ ფარმაცევტულ ქარხანას“ ზ. ფ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 5070 ლარი; დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

დასახელებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2008 წლის 18 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა სს „ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის“ დირექტორმა ნ. ბ-მემ, რომლითაც მან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე-422-ე მუხლების თანახმად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განჩინება -დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

განმცხადებულმა განცხადების დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ, მართალია, მოწინააღმდეგე მხარემ ზ. ფ-მემ სააპელაციო საჩივრის განხილვის პერიოდში შეიცვალა იურიდიული მისამართი, მაგრამ ამის თაობაზე სააპელაციო სასამართლოს დროულად აცნობა სს „ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულმა ქარხანამ“, სასამართლოს მიერ კი 2008 წლის 5 თებერვლის მთავარი სხდომის შესახებ უწყება არ გაგზავნიათ კანონით დადგენილი წესით ახალ მისამართზე, კერძოდ, ქ. ბათუმში, ... ქ. #65-ში.

იმ საფუძველით, რომ სასამართლო მთავარ სხდომაზე მხარე არ იყო მოწვეული კანონით დადგენილი წესით, განმცხადებელმა მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განჩინება-დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინებით სს "ქიმიურ ფარმაცევტული ქარხნის" დირექტორ ნ. ბ-ძის განცხადება არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სს "ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანას" 2008 წლის 5 თებერვლის მთავარ სხდომაზე ზ. ფ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვისას, საქმეში მითითებული მისამართი შეცვლილი ჰქონდა, მისამართის შეცვლის თაობაზე სასამართლოსათვის აღარ უცნობებია, ამიტომ სასამართლომ უწყება გააგზავნა მის მიერ მითითებულ მისამართზე. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 5 თებერვლის განჩინება-დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა სს "ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის" დირექტორმა ნ. ბ-ძემ. მან მიუთითა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 თებერვლის განჩინება-დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ზ. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი და სს "ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანას" დაეკისრა მის სასარგებლოდ 5070 ლარის გადახდა. აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. სს "ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანას" უწყება არ ჩაჰბარებია. სს "ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის" გაკოტრების მმართველმა გ. ს-ძემ დროულად აცნობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს იურიდიული მისამართის შეცვლის თაობაზე, მაგრამ ამ მისამართზე სასამართლოს უწყება არ გამოუგზავნია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიიჩნია, რომ სს "ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის" დირექტორ ნ. ბ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგე მხრე -სს „ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა“, ზ. ფ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებულ 2008 წლის 5 თებერვლის მთავარ სხდომაზე მოწვეული არ ყოფილა კანონით დადგენილი წესით, კერძოდ, მათ უწყება არ გაეგზავნათ შეცვლილ მისამართზე -ქ. ბათუმში, ... ქ. #65-ში, მისამართის შეცვლის თაობაზე კი დროულად ეცნობა სააპელაციო სასამართლოს, მაგრამ სასამართლომ სხვა მისამართზე გააგზავნა უწყება.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სს "ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულმა ქარხანამ" მართლაც მიმართა სასამართლოს მისამართის შეცვლის შესახებ და მიუთითა შემდეგი მისამართი -ქ. ბათუმი, ... ქ. #65. სასამართლომ ამ მისამართზეც და მეორე მისამართზე -ქ. ბათუმში, დაბა ..., ... ქ. #65-ში გააგზავნა უწყება, მაგრამ უკან დაბრუნდა შეტყობინება იმის გამო, ამ მისამართზე არ იყო აღნიშნული ქარხანა. სხვა მისამართი კი სასამართლოსთვის ცნობილი არ ყოფილა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას ასეთი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, მხრეს სასამართლო უწყება გაგზავნილი უნდა ჰქონდეს სსკ-ის 70-ე-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, მხოლოდ აღნიშნული მუხლების მოთხოვნათა დაუცველობა შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველი.

მოცემულ შემთხვევაში კი მხარეებს კანონით დადგენილი წესით გაეგზავნათ უწყება სასამართლო პროცესის შესახებ და სს "ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანას" უწყება არ ჩაჰბარდა იმ მიზეზით, რომ მან სასამართლოსათვის ცნობილი მისამართი შეიცვალა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, მხრეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს სს „ქიმიურ ფარმაცევტულ ქარხანას“, 2008 წლის 5 თებერვლის მთავარ სხდომაზე ზ. ფ-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვისას, საქმეში მითითებული მისამართი შეცვლილი ჰქონდა, მისამართის შეცვლის თაობაზე სასამართლოსთვის აღარ უცნობებია, ხოლო სასამართლოსათვის ცნობილ მისამართებზე უწყება გაგზავნილი ჰქონდათ, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 8 თებერვლის განჩინება-დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

სს "ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის" დირექტორ ნ. ბ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 სექტემბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მისამართის შეცვლა საქმის წარმოების დროს

განჩინება

#ას-1030-1301-09 3 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით შპს "აგროტექნიკის ჯგუფის" სარჩელი მოპასუხეების - ფირმა "ს. შ-სა" და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, კერძოდ, სარჩელი საბანკო გარანტიის ფარგლებში გადახდილი თანხის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა და ფირმა "ს. შ-სა" და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" შპს "აგროტექნიკის ჯგუფის" სასარგებლოდ დაეკისრათ 1 392 064,32 აშშ დოლარის გადახდა; შპს "აგროტექნიკის ჯგუფის" სარჩელი საბანკო გარანტიის მიღებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა და ფირმა "ს. შ-სა" და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" შპს "აგროტექნიკის ჯგუფის" სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრათ 76 300 აშშ დოლარი, შპს "აგროტექნიკის ჯგუფის" უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე საბანკო კრედიტზე პროცენტისა და პირგასამტეხლოს სახით დარიცხული 244 405 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, შპს "აგროტექნიკის ჯგუფის" უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე 2008 წლის 17 იანვრიდან ყოველთვიურად 28000 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში, ასევე ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე მიუღებელი შემოსავლის სახით 199 533 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ფირმა "ს. შ-ს" და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" წარმომადგენელმა ქ. ქ-ავამ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინებით ფირმა "ს. შ-სა" და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად გასაჩივრების ვადის გაშვების გამო.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ჩათვალა შემდეგი გარემოებები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება ფირმა "ს. შ-სა" და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" წარმომადგენელ ქ. ქ-ავას გაეზავნა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე, ... ქ. #8-ში. გზავნილის ჩაბარების შესახებ 2009 წლის 3 აგვისტოს საფოსტო შეტყობინების თანახმად, ადრესატმა შეიცვალა მისამართი, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ გზავნილი ჩაბარებულად ჩათვალა 2009 წლის 3 აგვისტოს, ხოლო ვინაიდან აპელანტთა მიერ სააპელაციო საჩი-

ვარი წარდგენილ იქნა 2009 წლის 7 სექტემბერს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო გასაჩივრების კანონით დადგენილი 14 დღიანი ვადა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალების თანახმად, 2009 წლის 17 აგვისტოს ქ. ქ-ავას თანაშემწე -რ. ჭ-ელმა სასამართლოს აცნობა მისამართის შეცვლის თაობაზე და სხდომის მდივანს განუცხადა, რომ გადაწყვეტილების ასლს პირადად ჩაიბარებდა. მან გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა 2009 წლის 21 აგვისტოს უშუალოდ სასამართლოში. თუმცა სასამართლოს განმარტებით ვადის ათვლა აღნიშნული თარიღიდანაც რომ დაწყებულიყო, მათ მიერ სააპელაციო საჩივარი მაინც ვადადარღვევით არის შეტანილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრეს ფირმა "ს. შ-ს" წარმომადგენლებმა დ. კ-ძემ და კ. ნ-შვილმა და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" წარმომადგენელმა ქ. ქ-ავამ, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის, არსებითად განხილვის მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი საფუძველებით:

კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, არასწორია სასამართლოს მსჯელობა მასზედ, რომ წარმომადგენლის ქ. ქ-ავას მიერ მისამართის შეცვლა სასამართლოსათვის ცნობილი არ ყოფილა, ვინაიდან ქ. ქ-ავამ იურიდიული მისამართის შეცვლის თაობაზე 2008 წლის 15 აპრილს აცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შესაბამისად, სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლის დაწყება 2009 წლის 3 აგვისტოდან სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია;

ამას გარდა, კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით, რ. ჭ-ელი, რომელმაც 2009 წლის 21 აგვისტოს ჩაიბარა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ქ. ქ-ავას თანაშემწე არ არის და აღნიშნული სიმართლეც რომ ყოფილიყო, მისთვის გადაწყვეტილების გადაცემა არ ნიშნავდა გადაწყვეტილების მხარის წარმომადგენლისათვის გადაცემას, ვინაიდან მასზე შესაბამისი მინდობილობა გაცემული არ ყოფილა. საზოგადოების უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა ნ. მ-ძე, რომელმაც გადაწყვეტილება ჩაიბარა 2009 წლის 25 აგვისტოს, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, გასაჩივრების ვადის ათვლა 2009 წლის 25 აგვისტოდან უნდა დაწყებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კერძო საჩივარზე თავისი მოსაზრება წარმოადგინა მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა ა. კ-შვილმა, რომლის მოსაზრებით, კერძო საჩივარი უსაფუძველოა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ფირმა "ს. შ-ს" წარმომადგენელ დ. კ-ძისა და კ. ნ-შვილის და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" წარმომადგენელ ქ. ქ-ავას კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა არის 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის თანახმად, მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება ფირმა "ს. შ-ს" და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" წარმომადგენელ ქ. ქ-ავას გაეგზავნა სასამართლოსათვის ცნობილ მისამართზე, ... ქ. #8-ში. გზავნილის ჩაბარების შესახებ 2009 წლის 3 აგვისტოს საფოსტო შეტყობინების თანახმად, ადრესატს გზავნილი ვერ ჩაჰბარდა შეცვლილი მისამართის გამო. სააპელაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის შესაბამისად, გზავნილი ჩაბარებულად ჩათვალა 2009 წლის 3 აგვისტოს, ხოლო, ვინაიდან აპელანტთა მიერ სააპელაციო საჩივარი წარდგენილ იქნა 2009 წლის 7 სექტემბერს, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დარღვეული იყო გასაჩივრების კანონით დადგენილი 14 დღიანი ვადა.

კერძო საჩივრის ავტორების მტკიცებით ქ. ქ-ავამ იურიდიული მისამართის შეცვლის თაობაზე 2008 წლის 15 აპრილს აცნობა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის სახელზე შეტანილი განცხადების ასლი კომპანია "ბი-ელ-სის" მიერ სა-ადვოკატო ოფისის მისამართის შეცვლის თაობაზე. შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორთა მოსაზრებით, სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადის ათვლის დაწყება 2009 წლის 3 აგვისტოდან სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო.

აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, თუ მხარეებმა და მათმა წარმომადგენლებმა არ აცნობეს სასამართლოს თავიანთი მისამართის შეცვლისა და ახალი მისამართის შესახებ, ამას შეიძლება მოჰყვეს მათთვის არახელსაყრელი შედეგი. კერძოდ, უწყება გაიგზავნება სასამართლო-სათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს. აღნიშნული ნორმა ავალდებულებს მხარეებს მისამართის შეცვლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს პროცესის სუბიექტებს და პირველ რიგში საქმის განმხილველ მოსამართლეს, ვინაიდან სასამართლო საქმის განხილვისას ხელმძღვანელობს საქმეში არსებული და წარმოდგენილი მასალებით. ინფორმაცია არ უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, არამედ უნდა იყოს მითითებული საქმეები, რომელთა წარმოებისას ეს ინფორმაცია გათვალისწინებული უნდა იქნეს. განსახილველ შემთხვევაში კი კერძო საჩივარზე თანდართული წერილით დასტურდება, რომ იურიდიული კომპანია "ბი-ელ-სის" ადვოკატმა ა. ლ-ავამ მისამართის შეცვლის თაობაზე განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს. აღნიშნული წერილით ირკვევა, რომ მისამართი შეიცვალა იურიდიული კომპანია "ბი-ელ-სის", რომელიც პირველი ინსტანციაში წარდგენილ მასალებით არ წარმოადგენს მხარის წარმომადგენელს. ასეთი სახის ინფორმაცია არ მისცემდა სასამართლოს იმის საფუძველს რომ მოპასუხის წარმომადგენელ ქ. ქ-ავასთვის გზავნილები გაეგზავნა სხვა მისამართზე. ამასთან, კანცელარია ვერ მოახდენდა იმ საქმეების იდენტიფიცირებას, რომელზეც წარმომადგენლად გამოდიოდა "ბი-ელ-სის" ადვოკატი ქ. ქ-ავა, ვინაიდან კანცელარია საქმეების აღრიცხვას აწარმოებს მხარეთა და არა წარმომადგენელთა მიხედვით.

ამას გარდა, 2009 წლის 29 აპრილს, მას შემდეგ რაც იურიდიულმა კომპანიამ "ბი-ელ-სის" მისამართის შეცვლის თაობაზე აცნობა სასამართლოს, (აცნობა 2009 წ. 15 აპრილს), ქ. ქ-ავას მიერ წარმოდგენილ წერილობით საპაექრო სიტყვაში, მის მიერ მითითებულია ისევ ძველი მისამართი, შესაბამისად, სასამართლოსათვის ცნობილი უკანასკნელი მისამართი იყო ... ქ.#8. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ უსაფუძვლოა კერძო საჩივრის ავტორთა განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ გადაწყვეტილების ასლი არასწორ მისამართზე გაეგზავნათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო, სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივარი მართებულად დატოვა განუხილველად და, შესაბამისად, არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ფირმა "ს. შ-ს" წარმომადგენელ დ. კ-ძისა და კ. ნ-შვილის და ფირმა "ვ. ფ. ლოჯისტიკის" წარმომადგენელ ქ. ქ-ავას კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 21 სექტემბრის განჩინება;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. საპროცესო უფლებამონაცვლეობა

განჩინება

#ას-1023-1217-08

5 თებერვალი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრში ცვლილების შეტანა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 2 ნოემბერს რ. ბ-მის კანონიერმა წარმომადგენელმა (მეურვე) ნ. ბ-მემ სარჩელით მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ნოტარიუს ნ. გ-მის და ი. ჯ-ერის მიმართ, მესამე პირი ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილების შეტანა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 17 დეკემბრის გადაწყვეტილებით რ. ბ-მის კანონიერი წარმომადგენლის ნ. ბ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი რ. ბ-მის კანონიერი წარმომადგენელ-მეურვე კ. ბ-მესა და ი. ჯ-ერს შორის 2004 წლის 3 დეკემბერს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე-მდებარე თბილისში, ... ქ.#16-ში და აღნიშნული ქონება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა რ. ბ-მის სახელზე, მოპასუხეებს -ი. ჯ-ერისა და თ. ჯ-ერის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა თბილისში, ... ქ.#16-ში მდებარე უძრავი ქონება და თავისუფალ მდგომარეობაში გადაეცა რ. ბ-მეს.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ი. და თ. ჯ-ერებმა და ასევე ნოტარიუსმა -ნ. გ-მემ.

ი. და თ. ჯ-ერებმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის.

ნ. გ-მემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება.

2007 წლის 7 ოქტომბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა რ. ბ-მის შვილის ი. ბ-მის განცხადება-შუამდგომლობა, მამის გარდაცვალების გამო საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე და რ. ბ-მის უფლებამონაცვლის დადგენამდე თ. და ი. ჯ-ერებისა და ნ. გ-მის სააპელაციო საჩივრებზე შეჩერდა საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ი. ბ-მის მიერ წარმოდგენილი გარდაცვალების მოწმობით, რომელიც გაიცა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისნის სამსახურის მიერ 2008 წლის 18 სექტემბერს, დასტურდება, რომ რ. ბ-მე დაბადებული 1939 წლის პირველ სექტემბერს გარდაიცვალა 2008 წლის 17 სექტემბერს. ვინაიდან დავის საგანია ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლებამონაცვლეობა მოცემულ შემთხვევაში დასაშვები იყო და შესაბამისად, არსებობდა თ. და ი. ჯ-ერებისა და ნ. გ-მის სააპელაციო საჩივრებზე საქმის წარმოების შეჩერების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის საოქმო განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ჯ-ერმა, მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძვლით, რომ სასამართლოს საქმის წარმოება კი არ უნდა შეეჩერებინა, არამედ თავისი ინიციატივით უნდა შეეწყვიტა ან დაეტოვებინა განუხილველად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტების ან ამავე კოდექსის 272-ე მუხლის "ა" და "ე" ქვეპუნქტების შესაბამისად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის შემოწმების შედეგად თვლის, რომ ი. ჯ-ერის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი ადგენს იმ საფუძვლებს, რომლის დროსაც დასაშვებია საპროცესო უფლებამონაცვლეობა, კერძოდ, მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ ეტაპზე. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში სასამართლო შეაჩერებს საქმის წარმოებას 279-ე მუხლის შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს.

მითითებული მუხლების მიხედვით, სამოქალაქო უფლება ან მოვალეობა შეიძლება ერთი პირიდან მეორეზე გადავიდეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უფლება თუ მოვალეობა სასამართლოს განხილვის საგანია, წარმოიშობა საპროცესო უფლებამონაცვლეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ საპროცესო უფლებამონაცვლეობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გადის ერთ-ერთი მხარე. საპროცესო უფლებამონაცვლეობა -ესაა მხარეებისა და მესამე პირების შეცვლა იმ პირებით, რომლებზეც მათი უფლებები და მოვალეობები გადავიდა. იგი მთლიანად ეფუძვნება უფლებამონაცვლეობას მატერიალურ სამართალში, როდესაც მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით, დასაშვებია სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტების შეცვლა, როდესაც ახალი სუბიექტი მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს თავის თავზე წინამორბედის უფლებებს ან მოვალეობებს.

განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ისნის სამსახურის მიერ 2008 წლის 18 სექტემბერს გაცემული მოწმობით დადგენილია, რომ 1939 წლის პირველ სექტემბერს დაბადებული რ. ბ-ძე გარდაიცვალა 2008 წლის 17 სექტემბერს. დავის საგანს წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა ანუ დავა ქონებრივი ხასიათისაა. ქონებრივი უფლებები კი მემკვიდრეებზე გადადის იმავე სახით, რა სახითაც არსებობდა იგი მამკვიდრებელთან (სკ-ის 1328-ე მუხლი). ამდენად, მატერიალური სამართლის ნორმების მიხედვით უფლებამონაცვლეობა დასაშვებია, შესაბამისად დასაშვებია საპროცესო უფლებამონაცვლეობაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის საოქმო განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა, შესაბამისად, არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ი. ჯ-ერის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის საოქმო განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საპროცესო უფლებამონაცვლეობა

განჩინება

#ას-432-746-09

6 ივლისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ზ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. ა-ძის მიმართ მოპასუხისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: მხარეთა შორის გაფორმდა სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად მოპასუხეს დაუფროვდა მოსარჩელის მიმართ დავალიანება 5985 აშშ დოლარი, საიდანაც 1140 აშშ დოლარი ძირითადი თანხაა, დანარჩენი კი -2002 წლის 25 თებერვლიდან დარიცხული 3%.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: ლ. ა-ძეს სესხი დაფარული აქვს სრულად. ამასთან, იმავე მოთხოვნით მოსარჩელეს უკვე ჰქონდა აღძრული სარჩელი, რომელიც საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 მაისის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით დარჩა განუხილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნ. ზ-შვილის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ლ. ა-ძეს დაეკისრა 3876,20 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში ლ. ა-ძემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინებით ნ. ზ-შვილის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით და საქმეში მის უფლებამონაცვლედ ჩააბა მ. ა-შვილი. აღნიშნული განჩინება სასამართლომ დააფუძნა იმ გარემოებას, რომ ნ. ზ-შვილის მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის დათმობის გარიგების თანახმად, ნ. ზ-შვილმა ლ. ა-ძის მიმართ არსებული მოთხოვნის უფლება დაუთმო მ. ა-შვილს.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ლ. ა-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი, ვინაიდან მოცემული დავის საგანია ნ. ზ-შვილის მოთხოვნების სამართლებრივი საფუძვლების არსებობა-არარსებობის დადგენა, რაც შეეხება მ. ა-შვილს მასთან მხარეს არავითარი სამართლებრივი ურთიერთობა არ ჰქონია, შესაბამისად, ამ უკანასკნელს უფლება არა აქვს, რაიმე მოსთხოვოს მას.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სააპელაციო სასამართლოში ლ. ა-ძის სააპელაციო საჩივრის განხილვისას მოწინააღმდეგე მხარე ნ. ზ-შვილმა სასამართლოს წარუდგინა მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ნ. ზ-შვილმა ლ. ა-ძის მიმართ სადავო მოთხოვნის უფლება დაუთმო მ. ა-შვილს და აღნიშნულის საფუძველზე მოითხოვა მოცემულ საქმეში მის უფლებამონაცვლედ მ. ა-შვილის ჩართვა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ა-ძის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა და სხვა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საქმის განხილვისას მოდავე მხარის ნაცვლად მისი უცვლებამონაცვლის ჩაბმა დაკავშირებულია მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან მის გასვლასთან, რა დროსაც მხარე კარგავს და სხვა პირს გადასცემს თავის საპროცესო სტატუსს. უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მოდავე მხარის მიერ მოწინააღმდეგე მხარის მიმართ არსებული მოთხოვნის სხვა პირისათვის დათმობა. ასეთ დროს მოთხოვნის დამთმო-

ბის სანაცვლოდ საქმეში მხარედ უნდა ჩაებას ის პირი, რომელმაც მოთხოვნა მიიღო და ამასთან ერთად შეიძინა მისი სასამართლო წესით დაცვის უფლება.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ ნ. ზ-შვილმა მ. ა-შვილს დაუთმო და ამ უკანასკნელმა, ნ. ზ-შვილისათვის სათანადო თანხის გადახდის სანაცვლოდ, მიიღო ლ. ა-ძის მიმართ თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რის საფუძველზეც განხორციელდა სადავო უფლებამონაცვლეობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას და მიიჩნევს, რომ მოცემულ დავაში მოსარჩელის უფლებამონაცვლედ მ. ა-შვილის ჩაბმა სავსებით კანონიერია, ვინაიდან მოპასუხის მიმართ არსებული სადავო მოთხოვნის მ. ა-შვილისათვის დათმობით ნ. ზ-შვილი გავიდა მას და ლ. ა-ძეს შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან, როგორც ამას ზემოხსენებული ნორმა ითვალისწინებს.

ამდენად, ლ. ა-ძის კერძო საჩივარი დაუსაბუთებელია და გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

ლ. ა-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 21 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

8. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა

განჩინება

#ას-655-962-09

22 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა: სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს 2000 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს „საქენერგო 2000-ის“ სარჩელი სს „მარნეულის ელექტროქსელების“ მიმართ დავალიანების გადახდის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტლებით სს „მარნეულის ელექტროქსელებს“ შპს „საქენერგო 2000-ის“ მიმართ დაეკისრა ძირითადი თანხის 2.972.554 და საურავის 19.859 ლარის გადახდა.

2002 წლის 8 ნოემბერს, შპს „საქენერგო-2000-ის“ დირექტორმა განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს მოვალის უფლებამონაცვლე პირის სახელზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე, ვინაიდან მოხდა სს „მარნეულის ელექტროქსელების“ რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“. თბილისის საოლქო სასამართლოს 2002 წლის 8 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა და გაიცა ახალი სააღსრულებო ფურცელი.

2009 წლის 23 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მომართა შპს „საქენერგო-2000-ის“ წარმომადგენელმა ლ. ჯ-ძემ, რომელმაც მიუთითა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2007 წლის 10 ოქტომბრის #1-3/736 ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრი-

უციო ენერგოკომპანია" შერწყა სხვა ენერგოკომპანიებს და მათ ბაზაზე შეიქმნა მათი სამართალ-მემკვიდრე კომპანია სს „ენერგია XXI“;

განმცხადებელმა ასევე მიუთითა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქ.თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2007 წლის 15 ოქტომბრის #12734/006-სს ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სს „ენერგია XXI-ს“ რეგისტრაცია, რომელიც წარმოადგენდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ სამართალმემკვიდრეს;

განმცხადებელი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად ითხოვდა სააღსრულებო ფურცლის გაცემას გადაწყვეტილებაში დასახელებული მოვალის სს „მარნეულის ელექტროქსელების“ უფლებამონაცვლე პირის სს „ენერგია XXI-ს“ საწინააღმდეგოდ ვინაიდან დადგინდა, რომ 2000 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილების მოვალის სს „მარნეულის ელექტროქსელების“ უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა სს „ქვემო ქართლის ენერგოკომპანია“, ხოლო ამ უკანასკნელის უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა სს „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“, რომლის უფლებამონაცვლევ იყო სს „ენერგია XXI“, მიჩნეული უნდა ყოფილიყო, რომ სს „ენერგია XXI-ს“ უფლებამონაცვლეობა სს „მარნეულის ელექტროქსელების“ მიმართ ნათელი იყო და დადგინდა, შესაბამისად განცხადება უნდა დაკმაყოფილებულიყო და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2000 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე უნდა გაცემულიყო სააღსრულებო ფურცელი ამ გადაწყვეტილებაში დასახელებული მოვალის სს „მარნეულის ელექტროქსელების“ უფლებამონაცვლე პირის სს „ენერგია XXI-ს“ წინააღმდეგ.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ დააკმაყოფილა შპს „საქენერგო 2000-ის“ წარმომადგენლის ლ. ჯ-ძის განცხადება.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა სს „ენერგია XXI-ის“ მეურვემ დ. ბ-ძემ.

კერძო საჩივრის ავტორის აზრით, 2009 წლის 16 აპრილის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ მიღებული განჩინება მოკლებული იყო ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს იგი გამოტანილი იყო ფაქტობრივი გარემოებების განხილვის გარეშე და უხეშად იყო დარღვეული საპროცესო ნორმები.

კერძო საჩივრის ავტორის განცხადებით, შპს „საქენერგო-2000-ის“ გენერალური დირექტორის ს. ქ-ძისგან 2009 წლის 11 ივნისს მიღებული წერილიდან ირკვევა, ლ. ჯ-ძეს შპს „საქენერგო-2000-ის“ გენერალური დირექტორი ს. ქ-ძისგან არ გააჩნდა კანონით დადგენილი წესით სამოქალაქო საქმეზე #28/595-09 (სააღსრულებო ფურცლის გაცემა მოვალის უფლებამონაცვლე პირის საწინააღმდეგოდ) გაცემული მინდობილობა და მასთან შრომითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა, არც კონკრეტული დავალება მიუღია რომ, ზემოაღნიშნულ საქმეზე წარმოედგინა შპს „საქენერგო-2000“ სასამართლოში. ამავე წერილში აღნიშნული იყო რომ, შპს „საქენერგო-2000-ის“ გენერალური დირექტორისაგან 2008 წლის 5 ივნისს გაცემული რწმუნებულება #01/4 რომელიც ლ. ჯ-ძის მიერ სასამართლოში იქნა წარდგენილი, მას ანიჭებდა უფლებამოსილებას, მხოლოდ ქ. ქობულეთში რუსთაველის ქ. #172 მდებარე სამრეწველო სარემონტო ლაბორატორიისა და საერთო საცხოვრებლის საზოგადოების მფლობელობაში დაბრუნების საკითხზე. 2008 წლის ივლისის ბოლოს, ლ. ჯ-ძეს ადმინისტრაციის თანამშრომლების თანდასწრებით ზეპირი გაფრთხილებით ეცნობა უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და ამავდროულად, 2008 წლის 15 ივლისს ყველა საქმეზე უფლებამოსილება ნოტარიალურად გაფორმებული რწმუნებულებით, მიენიჭა სხვა იურისტს. ხოლო 2009 წლის 24 აპრილს გამოიცა ბრძანება, რომლითაც შპს „ჯ-ძე&ჯ-ძეს“ გენერალურ დირექტორს ლ. ჯ-ძეს შეუწყდა უფლებამოსილება და ეცნობა ამის შესახებ წერილობით.

კერძო საჩივრის ავტორისდ განმარტებით ლ. ჯ-ძეს არ გააჩნდა შპს „საქენერგო-2000-ის“ გენერალური დირექტორისაგან მინიჭებული უფლებამოსილება, რათა მარწმუნებლის სახელით წარმოედგინა ორგანიზაცია თბილისის სააპელაციო სასამართლოში და არ იყო შპს „საქენერგო-2000-ის“ კანონიერი წარმომადგენელი.

ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა 2009 წლის 16 აპრილის განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, განიხილა კერძო საჩივარს და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის განჩინებით დააკმაყოფილა შპს „საქენერგო 2000-ის“ წარმომადგენლის ლ. ჯ-ძის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმომადგენლის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ და გაფორმებულ მინდობი-

ლობაში. იმავე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ მინდობილობას ორგანიზაციის სახელით გასცემს შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა ლ. ჯ-მემ სასამართლოს წარმოუდგინა შპს "საქენერგო 2000-ის" აღმასრულებელი დირექტორის მიერ გაცემული რწმუნებულება, რომელიც გაცემულია 2008 წლის 5 ივნისს 5 წლის ვადით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს.

ბრძანება, რომლითაც შპს "ჯ-ძე&ჯ-ძეს" გენერალურ დირექტორს ლ. ჯ-ძეს შეუწყდა უფლებამოსილება გამოიცა 2009 წლის 24 აპრილს და ეცნობა ამის შესახებ წერილობით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მხოლოდ ამ ბრძანების გამოცემისა და წერილობითი სახით რწმუნებულისათვის შეტყობინების შემდეგ ითვლება წარმომადგენლობა შეწყვეტილად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99 მუხლის მესამე წინადადების თანახმად, უფლებამოსილება შეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონის შესაბამისად, შესრულებული ყველა საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, ლ. ჯ-ძეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გაუქმდა 2009 წლის 24 აპრილს, ხოლო განჩინება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ მიღებულ იქნა 2009 წლის 16 აპრილს, შესაბამისად მის მიერ შესრულებული მოქმედება კანონიერია და ინარჩუნებს მნიშვნელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ 2008 წლის ივლისის ბოლოს ლ. ჯ-ძისათვის ადმინისტრაციის თანამშრომლების თანდასწრებით გაკეთებული ზეპირი გაფრთხილება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და 2008 წლის 15 ივლისს ნოტარიულად გაფორმებული რწმუნებულებით ყველა საქმეზე უფლებამოსილების სხვა რწმუნებულისათვის მინიჭება წარმოადგენს ლ. ჯ-ძისათვის მინდობილობის გაუქმების საფუძველს.

პალატა ასევე არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის განცხადებას, რომ 2008 წლის 5 ივლისს გაცემული რწმუნებულებით ლ. ჯ-ძეს მიენიჭა უფლებამოსილება მხოლოდ ქ. ქობულეთში, ... ქ. #172 მდებარე სამრეწველო სარემონტო ლაბორატორიისა და საერთო საცხოვრებლის საზოგადოების მფლობელობაში გადაცემის საკითხზე. საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულებით ირკვევა, რომ ლ. ჯ-ძეს მიეცა უფლებამოსილება დაეცვა შპს "საქენერგო 2000-ის" ინტერესები საქართველოს სასამართლოებსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში, მათ შორის გადასახდელად წარედგინა სააღსრულებო ფურცელი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები იურიდიულად ვერ ამართლებს და ვერ ასაბუთებს მის მოთხოვნას. შესაბამისად არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე, 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

სს "ენერჯია XXI-ის" მეურვის დ. ბ-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 16 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა

განჩინება

#ას-980-1259-09

9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლ. შვილი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობაში ცვლილებების შეტანა, ნივთის მიკუთვნება

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. შ-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში ქ. ე-შვილის, ნ. და ი. ლ-შაურების, თ. და გ. შ-შვილების მიმართ მამის -ლ. შ-შვილის დანაშთი სამკვიდრო ქონებიდან 1/3-ის მიკუთვნების, 1987 წლის 13 ივლისს ო. შ-შვილის სახელზე და 1989 წლის 19 ივნისს თ. და გ. შ-შვილების სახელზე გაცემულ სამკვიდრო მოწმობებში ცვლილებების შეტანისა და უძრავი ნივთის 1/3-ის მიკუთვნების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ლ. შ-შვილს ჰყავდა სამი შვილი -ქ. ო. და ვ. შ-შვილები. 1948 წელს გარდაიცვალა ლ. შ-შვილი, 1977 წელს -მისი მეუღლე და შვილი -ვ. შ-შვილი, 2004 წელს კი ო. შ-შვილი. ვ. შ-შვილს დარჩა ორი პირველი რიგის მემკვიდრე -თ. და გ. შ-შვილები, ხოლო ო. შ-შვილს -მეუღლე ქ. ე-შვილი და შვილები -ნ. და ი. ლ-შაურები. მოსარჩელე და მისი ძმები შეთანხმდნენ, ერთად მიემართათ ნოტარიუსისათვის მამის სამკვიდროს მისაღებად, მანამდე კი ფაქტობრივად მიიღეს იგი. მოგვიანებით მოსარჩელისათვის ცნობილი გახდა, რომ ო. შ-შვილმა, ისევე, როგორც ვ. შ-შვილის მემკვიდრეებმა მიმართეს ნოტარიუსს და თანაბარწილად მიიღეს ლ. შ-შვილის სამკვიდრო ისე, რომ მოსარჩელის ინტერესები არ გაუთვალისწინებიათ.

მოპასუხე მხარეებმა სარჩელი არ ცნო და მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ქ. შ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ქ. შ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამავე პალატის განჩინებით აპელანტს დაუდგინდა ხარვეზი და დაევა კონკრეტულ ვადაში მისი გამოსწორება, კერძოდ, სააპელაციო საჩივრის საგნის -სადავო სამკვიდროდან სადავო წილის ღირებულების განსაზღვრა და, შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრის დედნის სასამართლოსათვის წარდგენა. აღნიშნული ხარვეზის განჩინება გაეგზავნა როგორც ქ. შ-შვილს, ისე მის წარმომადგენელ ლ. ბ-შვილს და 2009 წლის 28 ივლისს ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენელს. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ზემოხსენებული განჩინება აპელანტისათვისაც ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს. ამავე კოდექსის 62-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე პალატამ გამოიანგარიშა ხარვეზის გამოსასწორებლად მხარისათვის მიცემული ვადა და მიუთითა, რომ ქ. შ-შვილს ხარვეზი 2009 წლის 29 ივლისიდან ამავე წლის 7 აგვისტომდე უნდა აღმოეფხვრა, თუმცა მხარეს აღნიშნული არ განუხორციელებია და სასამართლოსათვის არც შუამდგომლობით არ მიუმართავს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილისა და 374-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო პალატამ სააპელაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ქ. შ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის დადგენის თაობაზე განჩინების ლ. ბ-შვილისათვის გადაცემით სასამართლო გზავნილი ქ. შ-შვილისათვისაც ჩაბარებულად არასწორად მიიჩნია, ვინაიდან 2009 წლის 8 მაისის შემდეგ ლ. ბ-შვილი ქ. შ-შვილის ინტერესებს უკვე აღარ იცავდა, რის გამოც მისი სახელი სააპელაციო საჩივრის კანონით დადგენილ ფორმაში მხარეს აღარ ჩაუწერია. მარწმუნებელი იმთავითვე უკმაყოფილო დარჩა რწმუნებულის მოქმედებებით, როდესაც ამ უკანასკნელმა არ წარუდგინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს, რომ სასამართლო უწყება პირველ რიგში უნდა ჩაბარდეს მხარეს, რათა დაცული იყოს დაინტერესებული მხარის ინტერესები. მოცემულ შემთხვევაში კი სადავო სასამართლო გზავნილი ქ. შ-შვილის არ ჩაბარებია, რადგან მისი გამოგზავნის მომენტში ქ. შ-შვი-

ლი ქ.თბილისში არ იმყოფებოდა და ზაფხულს ყაზბეგის რაიონის სოფელ ... ატარებდა. ამდენად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73¹ მუხლის დანაწესით და განმეორებით გაეგზავნა გზავნილი აპელანტისათვის.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ივლისის განჩინებით აპელანტ ქ. შ-შვილს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა ამ განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში მისი გამოსწორება. ზემოხსენებული განჩინება გაეგზავნა როგორც თავად აპელანტ ქ. შ-შვილს, ისე მის წარმომადგენელ ლ. ბ-შვილს, რომელსაც მარწმუნებელმა მიანიჭა სასამართლოში სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლებამოსილება. ამასთან, მინდობილობა გაცემულ იქნა განუსაზღვრელი ვადით.

საქმის მასალებში წარმოდგენილი შპს "სკს-ს" გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ სასამართლო გზავნილი აპელანტის წარმომადგენელ ლ. ბ-შვილს ჩააბარდა 2009 წლის 28 ივლისს, ხოლო თავად აპელანტს კი არ ჩაბარებია. საფოსტო ბარათზე კურიერმა მიუთითა, რომ ორჯერ იმყოფებოდა ქ. შ-შვილის მისამართზე ქ.თბილისში, მაგრამ ადრესატი სახლში არ დახვდა და არც მის მიერ დატოვებულ შეტყობინებას არ გამოეხმაურა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. შ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმით კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი მას შემდეგ, რაც სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით ჩააბარებს აპელანტს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის გამოსწორების წესისა და პირობების დამდგენელ სასამართლო განჩინებას, თუმცა მხარე ამ განჩინებით განსაზღვრულ ვადაში საჭირო საპროცესო მოქმედებებს არ განახორციელებს და არსებულ ხარვეზს არ გამოასწორებს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტ ქ. შ-შვილისათვის სააპელაციო პალატის 2009 წლის 20 ივლისის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით 2009 წლის 28 ივლისს ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი ჩაიბარა აპელანტის წარმომადგენელმა ლ.ბ-შვილმა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სავსებით სწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. მითითებული კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აპელანტის წარმომადგენლისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება თავად მხარისათვის გზავნილის ჩაბარებულად მიიჩნევის საკმარის საფუძველს წარმოადგენდა.

სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო განჩინების ჩაბარებისას ლ. ბ-შვილი აპელანტის წარმომადგენელი აღარ იყო და მის მიერ ხარვეზის დადგენის თაობაზე სასამართლო განჩინების მიღება აპელანტისათვის მის ჩაბარებად არ უნდა ჩაითვალოს, რაც იმით დასტურდება, რომ სააპელაციო საჩივარში აპელანტს ლ.ბ-შვილი თავის წარმომადგენლად არ მიუთითებია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეს შეუძლია თავის წარმომადგენელს ნებისმიერ დროს შეუწყვიტოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, თუმცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მხარე აღნიშნულის თაობაზე აცნობებს როგორც წარმომადგენელს, ისე სასამართლოს. კანონის ხსენებული დანაწესის დაუცველობა ართმევს მხარეს უფლებას, პრეტენზია გამოთქვას სასამართლოს მიერ იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულებასთან დაკავშირებით, რაც სასამართლომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის დასაბუთებული ვარაუდით განახორციელა.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს კონკრეტულ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც მხარემ სხვა პირისათვის მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გასაუქმებლად უნდა შეასრულოს და ასეთად არ შეიძლება ჩაითვალოს სააპელაციო საჩივრის კანონით განსაზღვრულ ფორმაში წარმომადგენლის მიუთითებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი ქ. შ-შვილის მიერ ლ. ბ-შვილის სახელზე გაცემული მინდობილობით, რომლის იურიდიულ ძალაში ეჭვის შეტანის საფუძველი მას არ გააჩნდა (მინდობილობა გაცემული იყო განუსაზღვრელი ვადით და ითვალისწინებდა სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის უფლებასაც) და ქ. შ-შვილის სააპელაციო საჩივრაზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადა აითვალა აპელანტის წარმომადგენლისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების მომენტიდან - 2009 წლის 28 ივლისიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აპელანტს ხარვეზის გამოსწორების მიზნით სასამართლოსათვის განჩინებაში განსაზღვრულ 10-დღიან ვადაში არ მიუმაართავს, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ქ. შ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 8 სექტემბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა

განჩინება

#ას-1073-1340-09

28 დეკემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ჩ-მემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ლ. და კ. ფ-შვილების, ასევე გ. და გ. ბ-ელების მიმართ ქ.თბილისში, ... ქ#12-ში მდებარე უძრავი ნივთის მოპასუხეთა უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის შესახებ შემდეგი საფუძველებით: მხარეები არიან ქ.თბილისში, ... ქ.#12-ში მდებარე სახლთმფლობელობის 1/6-1/6-ის მესაკუთრეები. მოპასუხემ უკანონოდ დაიკავა, ფლობს და სარგებლობს მოსარჩელის წილი ქონებით და არ ათავისუფლებს მას.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილებით ნ. ჩ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, ლ. და კ. ფ-შვილების, გ. და გ. ბ-ელების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ქ. თბილისში, ... #12-ში მდებარე მოპასუხეების მიერ დაკავებული მეორე სართულის ფართი მთლ.დ და იგი მოსარჩელეს ჩაბარდა თავისუფალ მდგომარეობაში.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ფ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით ლ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ამავე პალატის 2009 წლის 30 ივლისის განჩინებით ლ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და აპელანტს დაევალა 10 დღის ვადაში სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის დაზუსტება და სახელმწიფო ბაჟის -160 ლარის გადახდის ქვითრის წარდგენა. აპელანტის მოთხოვნით მას 2009 წლის 8 და 25 სექტემბრის განჩინებებით ხარვე-

ზის შევსების ვადა 5-5 დღით გაუგრძელდა და განემარტა, რომ ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად. ხარვეზის დადგენის შესახებ 25 სექტემბრის განჩინება 2009 წლის 1 ოქტომბერს ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენელ მ. კ-იანს, ხოლო ამავე წლის 6 ოქტომბერს -ლ. ფ-შვილს. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით და ხარვეზის გამოსასწორებლად მხარისათვის მიცემული ვადა აითვალა 2009 წლის 1 ოქტომბრიდან. ამავე კოდექსის 374-ე მუხლისა და 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის საფუძველზე პალატამ ჩათვალა, რომ მხარეს დადგენილ ვადაში ხარვეზი სრულად არ გამოუსწორებია, რის გამოც სააპელაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველად. სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის დროულად გამოუსწორებლობის საპატიო მიზეზად არ მიიჩნია აპელანტის 2009 წლის 12 ოქტომბრის განცხადებაში მითითებული გარემოება, რომ მისმა წარმომადგენელმა იურიდიულ მომსახურებაზე უარი განუცხადა და, ამასთან, ხარვეზის განჩინების ასლი პირადად არ ჩაბარებია. პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილით საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობის საპატიო მიზეზის არსებობა მხარეს სათანადოდ არ დაუდასტურებია, არც აპელანტს და არც მის წარმომადგენელს მ.კ-იანს უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ დროულად სასამართლოსათვის არ უცნობებია. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლით და ლ.ფ-შვილს დაუბრუნა მის მიერ საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი სახელმწიფო ბაჟი -160 ლარის ოდენობით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ლ. ფ-შვილმა შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების მ. კ-იანსათვის გადაცემა აპელანტისთვისაც მის ჩაბარებად არასწორად მიიჩნია, ვინაიდან ფაქტობრივად მ. კ-იანი ლ. ფ-შვილის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღარ იცავს. ამასთან, წარმომადგენელს სასამართლო გზავნილი პირადად არ ჩაბარებია, მ. კ-იანი იმყოფებოდა სამშობლიაროში, რის გამოც მან იგი დროულად აპელანტს ვერ გადასცა. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ლ. ფ-შვილის მიერ საპროცესო ვადის დარღვევა საპატიოდ უნდა ჩაითვალოს.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა და კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია შემდეგი გარემოებები:

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივლისის განჩინებით ლ. ფ-შვილს დაუდგინდა ხარვეზი და დავალა 10 დღის ვადაში მისი გამოსწორება. აპელანტის მოთხოვნით სააპელაციო პალატის 2009 წლის 8 და 25 სექტემბრის განჩინებებით ხარვეზის შევსების ვადა 5-5 დღით გაუგრძელდა და მხარეს განემარტა, რომ ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში სააპელაციო საჩივარი დარჩებოდა განუხილველად.

შპს "სკს-ს" გზავნილების ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათით დასტურდება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ 25 სექტემბრის განჩინება 2009 წლის 1 ოქტომბერს ჩაბარდა აპელანტის წარმომადგენელ მ. კ-იანს, ხოლო ამავე წლის 6 ოქტომბერს -ლ. ფ-შვილს.

ხარვეზის გამოსწორების მიზნით ლ.ფ-შვილმა სასამართლოს განცხადებით მიმართა 2009 წლის 12 ოქტომბერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო საჩივარი არ უპასუხებს ამავე მუხლის მოთხოვნებს, ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც მას ვადას უნიშნავს. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, სააპელაციო საჩივარი აღარ მიიღება. დასახელებული ნორმით კანონმდებელი შესაძლებლობას აძლევს სააპელაციო სასამართლოს, განუხილველად დატოვოს სააპელაციო საჩივარი მას შემდეგ, რაც სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების დაცვით ჩააბარებს აპელანტს სააპელაციო საჩივარში არსებული ხარვეზის განჩინებას, თუმცა მხარე ამ განჩინებით განსაზღვრულ ვადაში საჭირო საპროცესო მოქმედებებს არ განახორციელებს და არსებულ ხარვეზს არ გამოასწორებს.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტ ლ. ფ-შვილისათვის სააპელაციო პალატის 2009 წლის 25 სექტემბრის განჩინება ხარვეზის შესავსებად ვადის გაგრძელების შესახებ კანონის მოთხოვნათა დაცვით 2009 წლის 1 ოქტომბერს ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან იგი ჩაიბარა აპელანტის წარმომადგენელმა მ. კ-იანმა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვით მხარეებს და მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყებით ეცნობებათ სასამართლო სხდომის ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დრო და ადგილი. უწყება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს. მითითებული კანონის დანაწესიდან გამომდინარე, აპელანტის წარმომადგენლისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარება თავად მხარისათვის გზავნილის ჩაბარებულად მიჩნევის საკმარის საფუძველს წარმოადგენდა.

სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული კერძო საჩივრის ავტორის არგუმენტი, რომ სააპელაციო სასამართლოს სადავო განჩინების ჩაბარებისას მ. კ-იანი აპელანტის წარმომადგენელი აღარ იყო და მის მიერ ხარვეზის დადგენის თაობაზე სასამართლო განჩინების მიღება აპელანტისათვის მის ჩაბარებად არ უნდა ჩაითვალოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი წინადადების შესაბამისად, მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც იგი წერილობით აცნობებს სასამართლოსა და წარმომადგენელს. აღნიშნული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეს შეუძლია თავის წარმომადგენელს ნებისმიერ დროს შეუწყვიტოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, თუმცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტა სასამართლოსათვის იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მხარე აღნიშნულის თაობაზე აცნობებს როგორც წარმომადგენელს, ისე სასამართლოს. კანონის ამ დანაწესის დაუცველობა ართმევს მხარეს უფლებას, პრეტენზია გამოთქვას სასამართლოს მიერ იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულებასთან დაკავშირებით, რაც სასამართლომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის დასაბუთებულ ვარაუდით განახორციელა.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს კონკრეტულ საპროცესო მოქმედებებს, რომელიც მხარემ სხვა პირისათვის მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გასაუქმებლად უნდა შეასრულოს. განსახილველ შემთხვევაში ლ. ფ-შვილმა თავისი წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ სასამართლოს ხარვეზის გამოსასწორებლად მისთვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ აცნობა და მხარემ ვერ დაადასტურა, რომ ხარვეზის განჩინების ჩაბარებისას მ. კ-იანი ლ. ფ-შვილის ინტერესებს არ წარმოადგენდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა საქმეში წარმოდგენილი ლ. ფ-შვილის მიერ მ. კ-იანის სახელზე გაცემული მინდობილობით, რომლის იურიდიულ ძალაში ეჭვის შეტანის საფუძველი მას არ გააჩნდა (მინდობილობა გაცემული იყო 2010 წლის მაისამდე და ითვალისწინებდა სააპელაციო საჩივრის სასამართლოში წარდგენის უფლებასაც) და ლ. ფ-შვილის სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორების ვადა აითვალა აპელანტის წარმომადგენლისათვის სასამართლო გზავნილის ჩაბარების მომენტიდან - 2009 წლის 6 ოქტომბრიდან.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ აპელანტს, ხარვეზის გამოსწორების მიზნით, სასამართლოსათვის განჩინებაში განსაზღვრულ 5-დღიან ვადაში არ მიუმართავს, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მესამე ნაწილზე, ვინაიდან ლ. ფ-შვილს დასახელებული ნორმით გათვალისწინებული საპროცესო ვადის გაშვების საპატიო მიზეზის არსებობა სათანადოდ არ დაუდასტურებია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ლ. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.